

ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

*ხელნაწერის უფლებით*

ნინო კოპალეიშვილი

ბრიტანული, ამერიკული და ქართული პრესის ჟანრთა

ლინგვისტური მახასიათებლები

დისერტაცია წარდგენილია ფილოლოგიის დოქტორის (PH.D) აკადემიური

ხარისხის მოსაპოვებლად

ხელმძღვანელი: თსუ სრული პროფესორი მანანა რუსიეშვილი



2011

## სარჩევი

წინასიტყვაობა .....	3
შესავალი .....	6
თავი I ლიტერატურის მიმოხილვა.....	12
თავი II ბრიტანული და ამერიკული პრესის ენობრივი მახასიათებლები (ახალი ამბავი და ნარკვევი) .....	29
თავი III ინდივიდუალური აზრის გამომხატველი სტატიები ინგლისურენოვან პრესაში (წერილი რედაქციისაგან, კომენტარი/სვეტი).....	83
თავი IV ქართული პრესის ჟანრობრივი მახასიათებლები .....	107
თავი V სტერეოტიპების შექმნის ხერხები მედიაში.....	119
თავი VI ბეჭდვითი მედიის მომავალი - ინტერნეტ გაზეთი? .....	129
დასკვნა .....	136
გამოყენებული ლიტერატურა .....	140

## წინასიტყვაობა

ნაშრომში შესწავლილია ბრიტანული, ამერიკული და ქართული პრესის ჟანრობრივი და ლინგვისტური მახასიათებლები. თითოეული ჟანრი განხილულია სტრუქტურული და ლინგვისტური მახასიათებლების ნიშნით. ჟანრობრივი მახასიათებლების ანალიზისას გათვალისწინებულია როგორც მედიის, ასევე მომიჯნავე ლინგვისტური დისციპლინების (სემანტიკა, პრაგმატიკა, დისკურსის ანალიზი, სემიოტიკა) თეორიული აპარატი და გამოცდილება.

წინამდებარე კვლევა მოიცავს თვისებრივი და რაოდენობრივი კვლევის მეთოდებს. თვისებრივი კვლევის მიზანია კონკრეტული სოციალური სიტუაციის, მოვლენის, როლის, ჯგუფის, ან ინტერაქციის შესწავლა.(Creswell, 2003). ნაშრომში გამოყენებულია მონაცემების შეგროვების შემდეგი რელევანტური მეთოდები: შემთხვევითი შერჩევის პრინციპი, დაკვირვება საგაზეთო სტატიებზე, ინტერვიუ, წერილობითი და აუდიო-ვიზუალური მასალა ინგლისურენოვანი და ქართული პრესიდან. თვისებრივი მასალის ანალიზის მიზნით განხორციელდა კოდირება და მონაცემთა ანალიზი შესრულდა შემდეგი მეთოდებით: ენუმერაცია და დესკრიფციული სტატისტიკა. როგორც ზემოთ აღვნიშნე, ბრიტანული, ამერიკული და ქართული ავტორიტეტული პრესის ჟანრების მაგალითები შერჩეულია შემთხვევითი შერჩევის პრინციპით. სულ, განხილულია 634 სტატია (2002-2010 წლებიდან). ნაშრომი წარმოადგენს მცდელობას, შეისწავლოს და მოიპოვოს პასუხები შემდეგ კითხვებზე:

- (1) დაადგინოს თუ რა ჟანრებით ხასიათდება ბრიტანული, ამერიკული და ქართული პრესა
- (2) შეადაროს ბრიტანული, ამერიკული და ქართული პრესის ჟანრობრივი მახასიათებლები
- (3) დაადგინოს და გამოიკვლიოს ბრიტანული, ამერიკული და ქართული პრესის ჟანრების სტრუქტურული მახასიათებლები

- (4) დაადგინოს და შეისწავლოს ბრიტანული, ამერიკული და ქართული პრესის ლინგვისტური მახასიათებლები (სემანტიკური, პრაგმატიკული, სემიოტიკური თვალსაზრისით)
- (5) დაადგინოს ქმნის თუ არა მედია მითს და რა ლინგვისტურ საშუალებებს იყენებს მითის შესაქმნელად
- (6) შეისწავლოს როგორ არის პერსონალურობა და იმპერსონალურობა გამოსატული პრესის ჟანრებში
- (7) გამოარკვიოს როგორია საგაზეთო სტატიათა დეიქტური ორგანიზაცია

ნაშრომის **სიახლე** მდგომარეობს იმაში, რომ მასში, პირველად, მასშტაბურად არის განხილული ავტორიტეტული საგაზეთო ტექსტის კომპოზიციურ-სტრუქტურული ელემენტების ტიპოლოგიური კლასიფიკაცია, საგაზეთო ტექსტები შესწავლილია სემანტიკური, პრაგმატიკული (დეიქსისი, სამეტყველო აქტების პრაგმატიკული ინტენცია) და აგრეთვე, სემიოტიკური ხატების შექმნის თვალსაზრისით. ნაშრომში საგაზეთო ტექსტები, ლინგვისტური ჭრილის გარდა, განხილულია მომიჯნავე ჰუმანიტარულ მეცნიერებებთან, კერძოდ, მედია კომუნიკაციებისა (media studies) და პოლიტიკურ მეცნიერებებთან მიმართებაში.

კვლევის საერთო მიზნებიდან გამომდინარე ნაშრომში დადგინდა ან დაზუსტდა შემდეგი პრობლემემატიკა :

- (1) მოცემულია საგაზეთო სტატიათა ტიპოლოგიური კლასიფიკაცია
- (2) გამოყოფილია საგაზეთო სტატიათა სემანტიკური მახვენებლები
- (3) გამოყოფილია საგაზეთო სტატიათა სემიოტიკური მახვენებლები
- (4) საგაზეთო სტატიებში გამოვლენილია პრაგმატიკული ასპექტების-სამეტყველო აქტებისა და დეიქსისის რეალიზაციის კონკრეტული მაგალითები და მოცემულია მათი დაწვრილებითი ანალიზი.

კვლევის ობიექტია საგაზეთო სტატია, როგორც დამოუკიდებელი სისტემა მისთვის დამახასიათებელი შემადგენელი ელემენტებითა და წესებით.

კონკრეტულ ემპირიულ საკვლევ მასალას წარმოადგენს ბრიტანული და ამერიკული ავტორიტეტული პრესა The Guardian, The Daily Telegraph, The New York Times, The Washington Post. ქართული პრესიდან - 24 საათი, კვირის პალიტრა, ბანკები და ფინანსები.

წინასიტყვაობაში განხილულია ნაშრომის მიზანი, საკვლევი მასალა. აგრეთვე მონაცემთა შეგროვებისა და ანალიზის მეთოდები.

შესავალში საუბარია სამეცნიერო აქტების ექვს ასპექტზე, მათ ფუნქციებზე და განხილულია ისინი წერილობით დისკურსთან, კერძოდ, საგაზეთო სტატიებთან მიმართებაში. აგრეთვე, საუბარია ცოდნის სხვადასხვა ტიპებზე, რომელიც აუცილებელია წერილობითი დისკურსის წარმოებისა და აღქმისათვის.

I თავში მოცემულია არსებული ლიტერატურის მიმოხილვა. განხილულია სხვადასხვა ავტორების მოსაზრება საგაზეთო ჟანრების შესახებ (ახალი ამბები, ნარკვევი, წერილი რედაქციისაგან, კომენტარი/სვეტი).

II თავში შესწავლილია ბრიტანულ და ამერიკულ პრესაში გავრცელებული ახალი ამბებისა და ნარკვევის სტრუქტურა და ლინგვისტური მახასიათებლები.

III თავი შეისწავლის წერილის რედაქციისაგან და კომენტარის/სვეტის სტრუქტურასა და ლინგვისტურ თავისებურებებს.

IV თავში შესწავლილია ქართულ პრესაში გავრცელებული ახალი ამბების, ნარკვევისა და კომენტარის/სვეტის მახასიათებლები.


V თავი წარმოადგენს მცდელობას, შეისწავლოს თუ რა სტერეოტიპები და იმიჯი ასოცირდება საქართველოსთან ინგლისურენოვანი პრესის მეშვეობით.

VI თავი განიხილავს ინტერნეტ გაზეთს როგორც ბეჭდვითი მედიის შესაძლო მემკვიდრეს.

დასკვნაში შეჯამებულია ჩატარებული ანალიზის კვლევის შედეგები.

### შესავალი

მედია-ტექსტი კოდებისა და ნიშნებისაგან შედგება. რომან იაკობსონი (1962) სამეტყველო აქტებისა და ვერბალური კომუნიკაციის ექვს შემადგენელ ფაქტორს გამოიყოფს: ადრესანტი, ადრესატი, კონტექსტი, გადასაცემი ინფორმაცია (მესიჯი), კონტაქტი და კოდი. კონტაქტში იგულისხმება ფიზიკური ან ფსიქოლოგიური კავშირი ადრესანტსა და ადრესატს შორის, რომელიც საშუალებას აძლევს მათ დაამყარონ წარმატებული კომუნიკაცია. საგაზეთო სტატიების განხილვისას მნიშვნელოვანია სწორედ ამ ფაქტორების გათვალისწინება. იაკობსონი (1962) წერს, რომ ზემოთმოყვანილი ექვსი ფაქტორი განსაზღვრავს ენის სხვადასხვა ფუნქციას, თუმცა იშვიათია ისეთი ვერბალური აქტი, რომელიც მხოლოდ ერთ ფუნქციას შეასრულებდა. ენის ფუნქციებზე საუბრისას იაკობსონი (1962) შემდეგ ექვს ფუნქციას განიხილავს: ემოციურს, რეფერენციულს, პოეტურს, ფატიკურს, მეტალინგვისტურსა და კონატიურს (emotive, referential, poetic, phatic, metalingual, conative). ასევე, მნიშვნელოვანია იაკობსონის მიერ შემუშავებული სქემა, სადაც იგი ხაზს უსვამს კავშირს სამეტყველო აქტების ექვს ასპექტსა და მათ ფუნქციებს შორის.



- referential:** The message in a context that the addressee can seize
- emotive:** Aim is the direct expression of the speaker's attitude about the message
- conative:** Part/Kind of message not liable to a truth test and/or that is performative
- phatic:** Parts of message used to establish, prolong, discontinue communication; to attract/confirm the attention of addressee
- metalingual:** Elements that make sure addresser and addressee understand each other

(იაკობსონი, 1962, გვ. 71)

რეფერენციული ფუნქცია აღნიშნავს შეტყობინებას კონტექსტში, რომელიც შესაძლოა გაშიფროს ადრესანტმა. ემოციური ფუნქციის მისია არის რაიმე შეტყობინების შესახებ მოსაუბრის დამოკიდებულების ცალსახა გამოვლენა.

აღსანიშნავია, რომ საგაზეთო ტექსტების ანალიზისას სამეტყველო აქტების ექვსი ფუნქცია მეტნაკლებად წარმოდგენილია და გამოხატულია სხვადასხვა სემანტიკური თუ სტილისტური საშუალებებით. ახალ ამბებში, ჩვეულებრივ, გვაქვს რეფერენციული ფუნქცია - ფაქტობრივი ინფორმაციის გადმოცემა. ასევე ემოციური ფუნქციაც, რომელიც სხვადასხვა სტილისტური ელფერის მქონე ენობრივი საშუალებებით გადმოიცემა და შესაძლებელია, ჩანდეს ციტატაში. მეტალინგვისტური ფუნქცია, რაც გულისხმობს შესაბამისი რეგისტრისა და სტილის შერჩევას. ხოლო ნარკვევში, წერილში რედაქციისაგან და კომენტარში/სვეტში გარდა ენის ამ სამი ფუნქციისა გვხვდება პოეტური ფუნქცია (გამოხატული სხვადასხვა სტილისტური ხერხებით, პარალელური

კონსტრუქციებით, მყარი სიტყვათშეთანხმებებით, ფონეტიკური გამომხატველობითი საშუალებებით), ფატიკური ფუნქცია (სხვადასხვა მიმართვის ფორმები, რომლებიც ხშირად გამოხატულია სხვადასხვა პირის დეიქსისის საშუალებით და ქვემოთ დაწვრილებით შევისწავლი), და კონატიური ფუნქცია (რომელიც ინდივიდუალური აზრის გამომხატველ სტატიებს მეტად ახასიათებს, როდესაც სურთ, მიიპყრონ მკითხველის ყურადღება, მოუწოდონ და ა.შ.). სხვადასხვა ფუნქციების თანადროული რეალიზება საგაზეთო სტატიებში მკითხველში გარკვეულ ილოკუციურ და პერლოკუციურ ეფექტს აღძრავენ. ჯონ სერლი (1969) აღნიშნავს, რომ საუბრისას ან წერისას ერთმანეთთან ჩვეულებრივ ვასრულებთ ილოკუციურ აქტს.

ე. ბალიაშვილი (2008) თავის სადისერტაციო ნაშრომში აღნიშნავს, რომ ტექსტის პროცესუალობა საშუალებას იძლევა საინფორმაციო საგაზეთო სტატიები განხილული იყოს როგორც კომუნიკაციის ერთ-ერთი ფორმა, რომელშიც მონაწილეობს ადრესანტი/ავტორი და ადრესატი/მკითხველი.

“თანამედროვე ტექსტის ლინგვისტიკა აღიარებულია კომუნიკაციურობაზე ორიენტირებულ დისციპლინად, რაც მოწმობს ფუნქციური ასპექტის წინა პლანზე წამოწევას; მაგრამ ეს ფაქტი არ გამორიცხავს იმას, რომ ზოგიერთი მკვლევარი ტექსტისთვის რელევანტურად სხვა ასპექტებს მიიჩნევს, როგორცაა: ონტოლოგიური, გნოსეოლოგიური, საკუთრივ ლინგვისტური, ფსიქოლოგიური, პრაგმატიკული, კომპოზიციური, სემანტიკური ასპექტები. ზოგი ლინგვისტი კი ტექსტის უზოგადეს მახასიათებლად ანუ კატეგორიად ასახელებს დისტაქსიას-სამეტყველო ჯაჭვის თანმიმდევრულობის სწორხაზოვნების დარღვევას, ინფორმაციულობას, კოჰერენტულობას, აზრობრივ მთლიანობას და დროულ-სივრცობრივ მიმართებებს, ნარატულობას და კონტინუუმს, კონტექსტს და სხვა.” (ბალიაშვილი, 2008, გვ.9). მკვლევარი ეთანხმება ქ-ნ. რ. ენუქიძის მოსაზრებას და განასხვავებს ასოციაციურ პროცესუალობას მხატვრულ ტექსტში და რეპრეზენტულ პროცესუალობას არამხატვრულ ტექსტში. (ბალიაშვილი, 2008, გვ. 10).



საგაზეთო სტატიების ანალიზისას განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ტექსტის სტილისტიკას. როგორც ბალიაშვილი (2008) აღნიშნავს ტექსტის კვლევის სამი სფერო ჩამოყალიბდა: ტექსტის ზოგადი თეორია, ტექსტის გრამატიკა და ტექსტის სტილისტიკა. ტექსტის სტილისტიკა “ენას განიხილავს, როგორც უმნიშვნელოვანეს კომუნიკაციურ საშუალებას საზოგადოებასთან მიმართებაში და წინ წამოსწევს ისეთ კომუნიკაციურ-პრაგმატულ ფაქტორებს, როგორცაა მოტივაცია, განზრახვა, მიზნის განხორციელება. . . ” (გვ. 9).

ტექსტის იმპლიციტური მნიშვნელობის ანალიზისას კი გასათვალისწინებელია ბ-ნ. ლებანიძის მოსაზრება, “ტექსტის ლინგვისტიკის ექსპლიციტურ საფუძველს წარმოადგენს ტექსტის ცნება, იმპლიციტურს-პრაგმატიკა.” (ბალიაშვილი, 2008, გვ. 10). საგაზეთო სტატიაში დაცულია კოჰეზია – ტექსტის ფორმალური ბმულობა და კოჰერენცია – ტექსტის აზრობრივი ბმულობა. ფორმალური ბმულობა სტატიაში შეიძლება აისახოს სივრცითი, მიზეზობრივი, დამატებითი და მაპირისპირებელი კავშირებით.

როლანდ ბართესი (1984) მიიჩნევს, რომ თხრობისათვის დამახასიათებელია კოდების სიმრავლე, რომელიც უზრუნველყოფს ტექსტის მრავალმხრივი ინტერპრეტაციის საშუალებასა და კონოტაციურ ელფერს. ბართესი ხუთ კოდს გამოჰყოფს: ჰერმენევტიკული (როდესაც თხრობა შეიცავს ენიგმას), პროარირეტიკული (როდესაც მოქმედება მოითხოვს შემდგომ ნარატიულ ქმედებას), სემანტიკური (მიანიშნებს ელემენტზე ტექსტში, რომელიც მიუთითებს დამატებით, კონკრეტულ მნიშვნელობაზე კონოტაციის საშუალებით), სიმბოლური (რომელიც წარმოადგენილია როგორც უფრო ღრმა სტრუქტურულ ელემენტად, რომელიც ორგანიზებას უწევს სემანტიკურ მნიშვნელობებს), და კულტურული კოდი (წარმოადგენს ნებისმიერ ელემენტს ნარატივში, რომელიც შეეხება მეცნიერებას ან ცოდნის წყაროს).

ტექსტის ანალიზისას უდავოდ მნიშვნელოვანია მითის ცნებაც. ბართესი (1984) სტატიაში ‘მითი დღეს’ განმარტავს, რომ მითი არის ‘მეტყველების ტიპი’, ‘კომუნიკაციის სისტემა, მესიჯი’ (გვ.1).

“მითი არ შეიძლება იყოს ობიექტი, ცნება ან იდეა, ის არის აღნიშვნის საშუალება, ფორმა” (ბარტესი, 1984, გვ.1). (“Myth cannot possibly be an object, a concept, or an idea; it is a mode of signification, a form.” (Barthes, 1984, p1)).

მითს, შესაძლოა საფუძვლად ედოს გარკვეული ისტორიული ფაქტი და მისი გაგრძელების არეალი არამარტო ზეპირი მეტყველებაა, არამედ წერილობითი კომუნიკაციის საშუალებები, ‘მითიური მეტყველება’ (mythical speech). მითი შესაძლებელია გამოვლინდეს ფოტოგრაფიაში, კინემატოგრაფიაში, სპორტსა და შოუებში.

“ეს არ ნიშნავს იმას, რომ მითიური მეტყველება უნდა განვიხილოთ როგორც ენა; მითი, ფაქტობრივად, მიეკუთვნება ზოგადი მეცნიერების სფეროს, რომელიც ლინგვისტიკის თანასწორია, ეს არის სემიოლოგია.” (ბარტესი, 1984, გვ. 20). (“It does not mean that one must treat mythical speech like language; myth in fact belongs to the province of a general science, coextensive with linguistics, which is semiology.” (Barthes, 1984, p.20)).

ბარტესი (1984) ხაზს უსვამს იმ ფაქტს, რომ მითი სემიოლოგიური სისტემის ნაწილია. იგი სემიოლოგიურ სისტემას (სოსიურის ცნობილი დიქტომიის) აღმნიშვნელის, აღსანიშნისა და ნიშნის ჭრილში განიხილავს. ავტორის თქმით, მითი სწორედ ამ სამი ცნებისაგან (აღმნიშვნელი, აღსანიშნი და ნიშანი) შედგება, თუმცა იგი ტერმინს “ნიშანი” არ იყენებს მითთან მიმართებაში და შემოაქვს ტერმინი “სიგნიფიკაცია” (‘signification’).

“ეს სიტყვა გამართლებულია, რადგან მითს ორი ფუნქცია აქვს: ის მიანიშნებს და გვატყობინებს, ის გვეხმარება, რომ გავიგოთ და, ამავე დროს, თავს გვახვევს.” (ბარტესი, 1984, გვ. 5). (“This word is here all the better justified since myth has in fact a double function: it points out and it notifies, it makes us understand something and it imposes it on us.” (Barthes, 1984, p. 5)).

მედია ტექსტის ანალიზისას მნიშვნელოვანია აგრეთვე ფონური ცოდნის როლის გათვალისწინება, რადგან მის გარეშე შეუძლებელი იქნებოდა ნებისმიერი ახალი ამბის ახსნა. საინტერესოა, თუ როგორ აისახება სტატიაში

ამბის ცოდნის ფაქტორი, და შესაბამისად, როგორ არის გამოვლენილი ახალი ამბის სტრუქტურაში (სათაური, თემა, სტატიის სქემა, მნიშვნელობა, პრესუპოზიცია, მინიშნება და წყობა). სწორედ ამ პრობლემას შეისწავლის ჰოლანდიელი მეცნიერი ვან დაიკი და მიიჩნევს, რომ მკითხველსა და (ზეპირი თუ წერილობითი) ტექსტის ავტორს, ორივეს დიდი ცოდნა სჭირდება თვით უმარტივესი ტექსტების შემქმნისა და გაგებისათვის.

“ახალ ამბებში ცოდნის ‘შესწავლა’ და აღქმა ძალიან მნიშვნელოვანია, რომ გავიგოთ ახალი ამბების შექმნისა და აღქმის ბევრი ფუნდამენტური ასპექტი. როგორც ზემოთ იყო შემოთავაზებული, ჟურნალისტები ვერ მიმოიხილავენ ახალ ამბებს სამყაროს შესახებ გარკვეული ცოდნის გარეშე და განსაკუთრებით სამყაროს შესახებ *ახალი* ცოდნის გარეშე.” (ვან დაიკი, ცოდნა და ახალი ამბები, 2001, გვ. 1). (“The study of knowledge in the news is vital to understand many fundamental aspects of news production and comprehension. As was suggested above, journalists can hardly write news reports without some kind of knowledge 'of the world', and especially *new* knowledge of the world.” (Van Dijk, Knowledge and News, 2001, p.1)).

ვან დაიკი (2001) განასხვავებს პერსონალურ და ინტერპერსონალურ ცოდნას. მისთვის პერსონალური და ინტერპერსონალური ცოდნა ჩვეულებრივ წარმოდგენილია მენტალურ მოდელში და განთავსებულია ეპიზოდურ მეხსიერებაში. კულტურული ცოდნა, ჩვეულებრივ, გაზიარებულია ამ კულტურის ყველა წარმომადგენლის მიერ ბავშვებისა და უცხოელების გარდა. ვან დაიკის (2001) აზრით, კულტურული ცოდნა არის სოციალური შემეცნების საფუძველი. გარკვეულწილად, შესაძლოა დავასკვნათ, რომ კულტურული ცოდნა კავშირშია ფონურ ცოდნასთან, რადგან მისი საშუალებით ადამიანი ახდენს სამყაროს შემეცნებას, ახალი ამბის აღქმასა და ასოციაციების დამყარებას.

სხვადასხვა ტიპის ცოდნის გამოყოფისას ვან დაიკი (2001) უფრო შორს მიდის და ახალი ამბის (ნიუსის) დისკურსის ანალიზისას შემდეგი ტიპის ცოდნის აუცილებლობას უსვამს ხაზს: **კულტურული ცოდნა, ლინგვისტური ცოდნა, დისკურსის/ჟანრის ცოდნა, კონკრეტული, სპეციალიზირებული საკითხის**

ცოდნა (მაგ. ძალადობა ოჯახში), პერსონალური ცოდნა, სიტუაციური/სოციალური შესწავლა და ცოდნა.

## თავი I ლიტერატურის მიმოხილვა

თანამედროვე მსოფლიოს განვითარების სწრაფმა ტემპმა და გლობალიზაციის პროცესებმა დიდი მნიშვნელობა მიანიჭა მასმედიას. ინფორმაციის ხანაში მთელ მსოფლიოში მეტ-ნაკლებად მსგავსი ჟურნალისტური სტანდარტები დამყარდა. ინგლისურენოვანი მედია, კერძოდ, ამერიკული, სხვა ქვეყნებში ადგილობრივი ჟურნალისტური პროდუქციის წარმოების საფუძველი გახდა. მიუხედავად ამისა, ინგლისურენოვანი მედია ერთგვაროვანი მაინც არ არის, ეს იმითაა გამოწვეული, რომ პრესა და ზოგადად მედია, სოციალურად განპირობებულია, აგრეთვე უნდა გავითვალისწინოთ განსხვავებული კულტურული ფონი.

უდავოა, რომ პრესის ენას დიდი გავლენა აქვს ადამიანთა კომუნიკაციაზე. ჟურნალისტის პირადი შეხედულება თუ ინდივიდუალიზმი სტატიაში ენობრივი საშუალებებით ვლინდება, კონკრეტული ენობრივი ერთეულის არჩევა როგორც წერილობითი, ისე ზეპირი დისკურსისას თითქმის ყოველთვის განპირობებულია ადრესანტის პრაგმატიკული მიზანმიმართებით.

ინგლისელი ლინგვისტი და ჟურნალისტი ალან ბელი (1999) მედიის ენით მეცნიერთა დაინტერესებას შემდეგი მიზეზებით ხსნის:

1. ენის ამა თუ იმ თავისებურებების შესასწავლად მედია უფრო ხელმისაწვდომია.
2. მზარდია ინტერესი მედიის ენის გარკვეული ასპექტებისა და, განსაკუთრებით, საგაზეთო სტატიის სათაურების მიმართ.
3. ინტერესი იმ ენობრივი თავისებურებების მიმართ, რომელიც მედიის გარდა საზოგადოებაშიც გვხვდება მაღალია.
4. მედიას დიდი გავლენა აქვს მეტყველებაზე.

5. ენობრივი საშუალებებით გამომჟღავნებული მედიის ღირებულებების აქტუალურობა.
6. მედიის ენაში აისახება საზოგადოების შეხედულებები და კულტურა.
7. მედიის ენის ზეგავლენა საზოგადოებრივ აზრზე.

მედიის ენის კვლევისას ხშირად გვხვდება ტერმინი “ტექსტი.” იგი ნებისმიერ ჟურნალისტურ პროდუქციას აღნიშნავს, იქნება ეს ტელევიზიური, რადიოპროგრამა, ფოტო თუ სტატია. მედია ტექსტი, ჩვენს შემთხვევაში, სტატია ნიშნებისა და კოდებისაგან შედგება. მკვლევართა შორის მათ თაობაზე სხვადასხვა აზრია გავრცელებული. რეინერი, ვოლი და კრუგერი (2001) თვლიან, რომ ნიშანს კოდების ერთობლიობა ქმნის. ისინი ნიშნის სამ ტიპს გამოჰყოფენ: პირობითს ანუ სიმბოლურს, ხატობრივსა და ინდექსურს. (ფ.რეინერი, პ. ვოლი, ს. კრუგერი, 2001). უნდა აღინიშნოს, რომ ნიშანთა ამგვარი კლასიფიკაცია თავდაპირველად ამერიკელ ლინგვისტს ჩარლზ პირსს ეკუთვნოდა.

სიმბოლურია ნიშანი, როცა არ ჩანს აშკარა კავშირი ნიშანსა და ობიექტს შორის. (რეინელი, ვოლი და კრუგერი, 2001). პირსი ასეთ ნიშანს პირობითს უწოდებდა. აქ არ ჩანს პირდაპირი თუ შინაგანი კავშირი აღსანიშნსა და აღმნიშვნელს შორის. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ სტატია პირობითი ანუ სიმბოლური ნიშნებისაგან შედგება, რადგანაც სიტყვა, თავისთავად, პირობითი ნიშანია.

ხატობრივი, იკონური ნიშნის საუკეთესო მაგალითია ფოტო, სადაც ხატობრივ ნიშანსა და ობიექტს შორის ფიზიკური მსგავსება არსებობს. რაც შეეხება ინდექსურ ნიშანს- ინდექსურია ნიშანი, როდესაც გარკვეული პირდაპირი კავშირი არსებობს აღმნიშვნელსა და აღსანიშნს შორის. მაგალითად, ბოლი-ცეცხლის ინდექსური ნიშანია, ცრემლი - სევდის ან სახარულის ნიშანია. ინდექსურ ნიშანს გაზეთში მონაცემთა გრაფიკული გამოსახულებები შეესაბამება.

რეინერი, ვოლი და კრუგერი (2001) შემდეგ კოდებს გამოჰყოფენ, რომლებიც, მათი აზრით, ხშირად გვხვდება სხვადასხვა სახის მედია ტექსტში.

პირველი კოდია ტანსაცმლის ტიპი, მეორე - ფერი. მაგალითად, შავი სამგლოვიარო ფერია დასავლეთის ქვეყნებში. აზიურ ქვეყნებში, ძირითადად, ამ ფუნქციას თეთრი ფერი ასრულებს. ხშირად გვხვდება ტექნიკური კოდიც, რომელიც განსაზღვრავს, თუ რა გზით წარმოიშვა კონკრეტული მედია ტექსტი, ანუ, უფრო ზუსტად, საქმე გვაქვს ფოტოსთან თუ სიუჟეტთან.

მედია-ტექსტს, შესაძლოა, რამდენიმე მნიშვნელობა ჰქონდეს, რომელთა დეკოდირებაც დამოკიდებულია მკითხველის თეზაურუსსა და მის მიერ ნიშანთა წაკითხვის უნარზე. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ნიშანი პოლისემანტიკურია და იძლევა მრავალგვარი ინტერპრეტაციის საშუალებას. თუმცა, ზოგჯერ განსაკუთრებული მნიშვნელობა ანუ ის მნიშვნელობა, რომელსაც უპირატესობა მიენიჭა მინიშნებულია იმისდა მიხედვით, თუ როგორ არის აგებული ტექსტი. (ფრენერი, პ. ვოლი, ს. კრუგერი, 2001).

ტექსტის ლინგვისტიკაზე საუბრისას ე. ბალიაშვილი (2008) თავის სადისერტაციო ნაშრომში წერს, რომ “ტექსტი არ არის ჯაჭვისებრ მიკროსტრუქტურათა მარტივი ერთობლიობა, არამედ იგი წარმოადგენს გლობალურ მთლიანობას, მაკროსტრუქტურას. წინადადებათა ჯაჭვი, რომელსაც არ გააჩნია მაკროსტრუქტურა, არ არის ტექსტი.” (გვ. 7). მისი აზრით, ტექსტი ფუნქციურ მახასიათებლებთან (ფორმისა და შინაარსის) აღმნიშვნელ ნიშნებთან ერთად შეიცავს “პრაგმატიკულ-კომუნიკაციურ ასპექტს.” (ბალიაშვილი, 2008, გვ.7). იგი საგაზეთო სტატიებს პროცესუალობის პრიზმაში განიხილავს, სადაც ტექსტი კომუნიკაციის ერთ-ერთი ფორმაა და მოცემულია ადრესანტი/ავტორი და ადრესატი/მკითხველი. აგრეთვე, მნიშვნელოვანია რომ ბალიაშვილი (2008) ინგლისურენოვანი საგაზეთო ჟანრებისათვის დამახასიათებელ 5Ws და 1H სქემას სემანტიკური მახასიათებლების კუთხით განიხილავს.

გალპერინი ცალკე გამოჰყოფდა საგაზეთო სტილს და მის ფუნქციურ მახასიათებლად მიიჩნევდა ინფორმაციასა და შეფასების საშუალებას, ხოლო ვ. ვინოგრადოვი საგაზეთო სტილს არ განასხვავებდა პუბლიცისტური სტილიდან და წამყვან ფუნქციურ მახასიათებლად მიიჩნევდა ზემოქმედებას. (ბალიაშვილი, 2008). “საგაზეთო სტატიაში აშკარა დიალოგი სტატიის ავტორსა და მკითხველს

შორის არ ხდება, მაგრამ ყველა სტატია გულისხმობს კონტაქტს ავტორსა და მკითხველს შორის და მათ უმრავლესობაში სტატიის ავტორი აღწერს დასახულ მიზანს, უმეტეს შემთხვევაში მკითხველზე ზემოქმედებს. ამრიგად, ტექსტი არის სუბიექტურობის რეალიზაცია ობიექტურად არსებული ენის საშუალებით, ე.ი. ყოველი ტექსტი სუბიექტურობის პრინციპს ემყარება და ენობრივ ერთეულთა არჩევანი პრაგმატიკული ფაქტორებით განისაზღვრება. ამ არჩევანის საფუძვლად კი მოსაუბრის მოტივი და მიზანდასახულობა უნდა ჩაითვალოს.” (ბალიაშვილი, 2008, გვ. 17).

მედია ტექსტის მაკრო და მიკროსტრუქტურაზე საუბრისას მნიშვნელოვანია ჰოლანდიელი ლინგვისტის თეუნ ვან დაიკის (Teun Van Dijk) მოსაზრება. მკვლევარის აზრით, სტატიებში ხშირად ვპოულობთ სუბიექტურობის კვალს, რომელიც აისახება მათ თემატიკაში, სემანტიკასა და სინტაქსში. მაკროსტრუქტურა ძირითადად პრობლემის თემატურ ასახვასთან არის დაკავშირებული. ვან დაიკი (1985) თვლის, რომ ცოდნა, რწმენა, დამოკიდებულება და იდეოლოგია გადმოცემულია კოგნიტიურ კონსტრუქციაში და წარმოდგენილია მაკროსტრუქტურის საშუალებით. იგი ხაზს უსვამს, რომ საგაზეთო სტატიებში უნდა ვეძებოთ სუბიექტივიზმის კვალი, რომელიც ყველაზე კარგად გადმოცემულია სტრუქტურული ელემენტების საშუალებით (სათაური, ლიდი, დასასრული) და მაკროსტრუქტურაში აისახება.

ვინაიდან ლინგვისტები თანხმდებიან, რომ საგაზეთო სტატიების ანალიზი მნიშვნელოვანია არამარტო ინფორმაციისა და შეფასების, არამედ პრაგმატიკული ზემოქმედების თვალსაზრისითაც, გათვალისწინებული უნდა იყოს პრაგმატიკული ინტენციისა და პრაგმატიკული იმპლიკატურის (implicature) ცნებები. ამ საკითხს დაწვრილებით განიხილავს ბახი (2008) სტატიაში “პრაგმატიკის გამოყენება ეპისტემოლოგიასთან მიმართებაში” (“Applying Pragmatics to Epistemology”). მკვლევარის აზრით, როდესაც მოსაუბრე წარმოთქვამს წინადადებას კონკრეტული სემანტიკური შინაარსით და არ ირჩევს სხვა წინადადებას ამ შინაარსის გამოსახატად, საქმე გვაქვს სასაუბრო მიზანმიმართებასთან (conversational implicature). (ბახი, 2008). პრაგმატიკული

რეგულაციებისა და სემანტიკური შინაარსის ურთიერთკავშირზე საუბრისას ბახი (2008) თვლის, რომ მსმენელი მოსაუბრის მიმართ შემდეგ ფაქტორებს ითვალისწინებს, რაც, თავისთავად, მიჰყვება გრაისის თეორიას:

- თუ მოსაუბრეს შეეძლო უფრო ძლიერი განცხადების გაკეთება, ის ამას გააკეთებდა.
- თუ მოსაუბრეს სურდა, ყოფილიყო უფრო სპეციფიკური, მას შეეძლო ამის გაკეთება.
- თუ რაიმე განსაკუთრებული გარემოება უკავშირდებოდა არსებულ სიტუაციას, მოსაუბრე ამას აღნიშნავდა (ბახი, 2008, გვ.72).

ამიტომაც, აღქმის პროცესში დიდი მნიშვნელობა ენიჭება, თუ რა კონსტრუქციების საშუალებით არის აგებული წინადადება, გამონათქვამი, რომელიც, თავის მხრივ, მიუთითებს რამდენად განსაკუთრებულია სიტუაცია. (ბახი, 2008).

2003 წელს კარლო დალა პოზამ და კლაუდიო გაროლამ წამოიწიეს პროექტი “პრაგმატიკის ლოგიკა.” პროექტის მიზანი იყო, შეესწავლათ შემდეგი “ილოკუციური აქტების” (მტკიცება, ვარაუდი, ბრძანება) ლოგიკური თვისებები. დალა პოზასა და კლაუდიო გაროლას მიხედვით არსებობს წინადადებებისა და მტკიცებების (assertions) ლოგიკა. წინადადებები შეიძლება იყოს ჭეშმარიტი (true) ან ყალბი, ხოლო მტკიცებულება (assertions) გამართლებული ან გაუმართლებელი. (ბელინი, 2008).

პოლიტიკური და მედია-ტექსტების ანალიზისას ლინგვისტები მრავალფეროვან მეთოდებს იყენებენ. აღსანიშნავია, რომ კადმუს კირალამ (2010) ბარაკ ობამასა და მისი ოპონენტის ჯონ მაკკეინის მიერ ამერიკის შეერთებული შტატების საპრეზიდენტო არჩევნების კამპანიის დროს 2008 წელს გაკეთებული პოლიტიკური სიტყვების ანალიზისას სისტემური ლინგვისტური ანალიზის ხერხები გამოიყენა და მ. ჰელიდეს მიერ შემოთავაზებული სისტემური ფუნქციონალური გრამატიკის პრინციპებს დაეყრდნო. კირალა (2010) ცდილობს, ამ გზით დაადგინოს ტექსტების იდეოლოგიური მსგავსება-განსხვავებანი.



აღსანიშნავია, რომ სისტემურ ფუნქციურ გრამატიკას ხშირად ეყრდნობიან კრიტიკული დისკურსის ანალიზის დროს ტექსტში დაფარული იდეოლოგიის დეკოდირების მიზნით. (კირალა, 2010). ავტორმა არჩევანი შეაჩერა სისტემურ ფუნქციურ გრამატიკაზე, რადგან მისი საშუალებით შესაძლებელია ტექსტის ანალიზი არსებული კომპონენტების ფუნქციური შესაძლებლობების საფუძველზე. შესაბამისად, სხვა მეთოდებისაგან განსხვავებით, ამ შემთხვევაში, კვლევის საგანია, რა საშუალებით მოხდა იდეოლოგიისა და ტექსტის კოდირება. თითოეულ ტექსტს აქვს რეგისტრი (ტექსტის სიტუაციური კონტექსტი), სფერო (ტექსტის საგანი და ინსტიტუციური კონტექსტი), ტენორი ((tenor) სოციალური როლი და ურთიერთობები), ასახვის სტილი (mode), ჟანრი (სტილისტური მსგავსება ტრადიციულ დისკურსში) და კავშირი (cohesion) (რამდენად არსებობს კავშირი ტექსტიდან ტექსტზე გადასვლისას). სტატიის სფერო განისაზღვრება შერჩეული ლექსიკის მიხედვით და კოდირებულია “იდეურ მნიშვნელობაში,” რომლის სამი ასპექტიცაა “პროცესი,” “მონაწილე” და “გარემოება.”

ტენორი ასახავს, რამდენად გამოხატავს ტექსტი პირად კონტაქტს (ფორმალობა, სიახლოვე ფამილარობა, პასუხისმგებლობა და ა.შ.) და კოდირებულია “ინტერპერსონალურ მნიშვნელობაში.” (კირალა, 2010).

რაც შეეხება ასახვის სტილს, ის წარმოადგენს ინფორმაციის გადაცემის საშუალებას და მნიშვნელოვანია, თუ რა დონემდეა იგი კოდირებული “ტექსტუალურ მნიშვნელობაში.” აგრეთვე, ამ მხრივ, გასათვალისწინებელია ტერმინები “თემა” და “რემა.” “თემა” მიუთითებს, რა ინფორმაცია იყო ცნობილი ტექსტში და “რემას” შემოჰყავს ახალი ინფორმაცია. სისტემური ფუნქციური გრამატიკა შემდეგ ენობრივ ჯგუფებს აღიარებს: ნომინალური, ვერბალური, ადვერბიალური და კავშირი. ამ ტიპის გრამატიკა აღიარებს მხოლოდ ერთი ტიპის ფრაზას, პროპოზიციულ ფრაზას (prepositional phase).

კირალა (2010) მასალის ანალიზისათვის იყენებს ოთხ საფეხურს.

1. გამოჰყოფს ყველა ვერბალურ ჯგუფს;

2. თითოეული ჯგუფი უნდა ფუნქციონირებდეს როგორც პროცესი წინადადებაში;
3. ეძებს და გამოკვეთს წინადადების შინაგან სტრუქტურას ექსპერიენსული ფუნქციის გათვალისწინებით;
4. ცდილობს, დაადგინოს თითოეული წინადადების ფუნქცია წინადადებათა ნაკრებში. (კირალა, 2010, გვ. 9-10).

მედიის ჟანრობრივი მახასიათებლების შესახებ არსებული ლიტერატურა ოთხ ძირითად ჟანრს განიხილავს, რომელსაც წინამდებარე ნაშრომი დაწვრილებით შეისწავლის. ესენია ახალი ამბები, ნარკვევი, წერილი რედაქციისაგან და კომენტარი/სვეტი.

აკადემიკოსი ვინოგრადოვი კომუნიკაციური ასპექტის შემდეგ ფუნქციებს გამოჰყოფს: ურთიერთობა, შეტყობინება, ზემოქმედება (общение, сообщение, воздействие) (რ. ენუქიძე, 2000). უნდა აღინიშნოს, რომ გაზეთის სხვადასხვა ჟანრისთვის სხვადასხვა ფუნქციაა დამახასიათებელი. შეტყობინება - ეს ფუნქცია მკვეთრად გამოხატული აქვს ახალ ამბავს. ნარკვევში, გარდა კონკრეტული შეტყობინებისა, იკვეთება - ზემოქმედების ფუნქციაც. რაც შეეხება - ურთიერთობას - ეს ფუნქცია თანდათანობით ჩნდება კომენტარში, სადაც ხშირად არის მოცემული მკითხველისადმი მიმართული ფრაზები. იგივე ტენდენცია შეიმჩნევა ვებ გვერდებზე, სადაც მოცემულია კომენტარის/სვეტის ავტორის ელ-ფოსტა, იმ მიზნით რომ მკითხველმა თავისი მოსაზრება მისწეროს რედაქციას.

ჯონ ჰარტლი (1990) ახალ ამბავს მიიჩნევს დისკურსად, რომელიც გამოხატავს გარკვეულ შინაარსს იმავე პრინციპით, როგორც მეტყველება იქმნება ენის ელემენტების საშუალებით. ახალი ამბები განისაზღვრება მახასიათებლების მიხედვით. ეს იმას ნიშნავს, რომ ახალი ამბავი გარკვეულ კრიტერიუმებს უნდა აკმაყოფილებდეს. რასაკვირველია, მკვლევართა მოსაზრება ახალი ამბების მახასიათებლებზე განსხვავდება, თუმცა არსებობს გარკვეული კრიტერიუმები, რომლებსაც ყველა მკვლევარი იზიარებს.

ჯორჯ ჰუ (1988) ახალი ამბების შემდეგ თვისებებს გამოჰყოფს: *დროულობა, სიახლოვე, განსაკუთრებულობა, შედეგობრიობა, იშვიათობა და ადამიანთა ინტერესი.*

მელვინ მენსერი (1993) ახალი ამბის განსაზღვრის სამ ძირითად კრიტერიუმს ასახელებს: *შესაბამისობა (რელევანტურობა), სასარგებლოება (საჭიროება) და ინტერესი.*

ბრაიან ბრუკსის (1996) აზრით, შესაბამისობა, სასარგებლოება და ინტერესი საკმაოდ ფართო ცნებებია ახალი ამბების ღირებულების შესაფასებლად. მისი აზრით, ამ ფართო სტანდარტებში ჟურნალისტები პოტენციური სტატიის სპეციფიკურ ელემენტებს ეძებენ. უფრო დაწვრილებით, იგი ახალი ამბების შემდეგ კრიტერიუმებს გამოჰყოფს:

ა) ზეგავლენა (impact). ახალი ამბის რელევანტურობის შეფასების ერთ-ერთი გზაა. მაგალითად, იმის გარკვევა, თუ რამდენ ადამიანზე მოახდინა ზეგავლენა ამა თუ იმ მოვლენამ ან იდეამ და რამდენად სერიოზულად.

ბ) კონფლიქტი (conflict). თხრობის დროს ლიტერატურა იქნება ეს თუ ჟურნალისტიკა კონფლიქტი ყოველთვის გარკვეულ ადგილს იკავებს. იგი ცხოვრების ძირითადი ელემენტია, რადგანაც ადამიანთა შეტაკებები, მათი ურთიერთობები და შინაგანი ძალა ყოველთვის საინტერესო თემაა.

გ) სიახლე (Novelty). მნიშვნელოვანია, თუმცა არამარტო ახალ ამბებში.

დ) გამორჩეულობა (prominence). ბუნებრივია, ახალი ამბები შეიძლება შეეხოს ვინმე პერსონას და რაც უფრო ცნობილია სახელი, მით უფრო დიდია ამბავი. ხალხს ყოველთვის აინტერესებს მდიდრებისა და ცნობილების ცხოვრების წესი.

ე) სიახლოვე (Proximity). ზოგადად, ხალხი უფრო მეტად დაინტერესებულია იმით, რაც მათ გეოგრაფიულ მდებარეობასთან ახლოს ხდება.

ამიტომ, ბუნებრივია, როცა კითხულობენ ან უსმენენ საერთაშორისო ან ლოკალური მნიშვნელობის ახალ ამბავს, ძირითადად, სურთ გაიგონ, რა გავლენას მოახდენს მათ უშუალო გარემოცვაზე.

ვ) დროულობა (Timeliness). ახალი ამბავი არ უნდა 'დაძველდეს'. გარდა იმისა, რომ ახალი ამბავი უნდა იყოს შესაბამისი და საჭირო, ის დროულად უნდა იყოს მიწოდებული, სანამ აქტუალობას დაჰკარგავს.

ბ. ბრუკსის (1996) მიერ გამოყოფილი *ზეგავლენის* კრეიტერიუმი ჯ. ჰუს (1988) *შედევობრიობას* შეესაბამება, *გამორჩეულობა – განსაკუთრებულობას, სიახლოვე* და *დროულობა* ორივე მკვლევართან გვხვდება.

ჯონ ჰარტლი (1990) აღნიშნავს, რომ ახალი ამბავი ღირებული უნდა იყოს და ახალი ამბის შემდეგ ღირებულებებს გვთავაზობს:

*სიხშირე* (Frequency) - აქ იგულისხმება ამბის ხანგრძლივობა.

*ზღვარი* (Threshold) - ამბის მოცულობა.

*არაორაზროვნება* (unambiguity) - აქ მნიშვნელობა ენიჭება ამბის გადმოცემის სიზუსტეს. ჰარტლი (1990) შენიშნავს, რომ ახალ ამბებში ტექსტის პოლისემურობა მინიმუმამდეა დაყვანილი. ცხადია, ამ მხრივ, ახალი ამბავი განსხვავდება ლიტერატურული ნაწარმოებისაგან.

*შინაარსიანობა* – ჰარტლი (1990) ორ პუნქტს გამოჰყოფს:

ა) კულტურული სიახლოვე (cultural proximity)

ბ) რელევანტურობა (relevance)

*განგრძობადობა* (continuity) - ჰარტლი (1990) ისეთ ამბავს გულისხმობს, რომელიც გარკვეული დროის განმავლობაში უქცდება. ასეთ ამბებს ინგლისურენოვან ჟურნალისტიკაში *მიმდინარე* ამბავს ანუ *ხანგრძლივად* განხილვად ამბავს - ("running story") – უწოდებენ. *კომპოზიცია* (composition) - ამ შემთხვევაში, კონკრეტული სტატია არ იგულისხმება, არამედ გაზეთის ნომერი

ან სატელევიზიო გადაცემა. კომპოზიცია, ძირითადად, სხვადასხვა სახის ამბების შერწყმაა. (ჰარტლი, 1990).

შემდეგი კრიტერიუმია *რეფერენცია ელიტარულ ერებზე* (Reference to elite nations) - ჰარტლი (1990) თვლის, რომ ამბები ომზე, არჩევნებზე, განსაკუთრებული მნიშვნელობის უბედურ შემთხვევებზე ან კატაკლიზმებზე ამის კარგი მაგალითია.

*რეფერენცია ელიტარულ ადამიანებზე* (Reference to elite persons)- ჩემი აზრით, რეფერენცია ელიტარულ ერებსა და ადამიანებზე ერთიანდება ბრუკსის (1996) მიერ გამოყოფილ ტერმინში *prominence* (*გამორჩეულობა*), რადგანაც ამ ტერმინში იგულისხმება ცნობილი ადამიანები, ქვეყნები და მოვლენები. ამის გარდა, ჰარტლი (1990) კიდევ ორ კრიტერიუმს გამოყოფს: *პერსონალიზაცია* (personalisation) და *ნეგატიურობა* (negativity). აღსანიშნავია, რომ *ნეგატიურობა* ახალი ამბის შერჩევის ერთ-ერთი მთავარი კრიტერიუმია. უარყოფითი ახალი ამბავი მყისიერად იპყრობს მკითხველის ან მაყურებლის ყურადღებას.

ჰარტლის (1990) მიერ ჩამოთვლილი ახალი ამბის ღირებულებები უკვე მზა პროდუქციისთვის დამახასიათებელი თვისებებია. მაგალითად, სიხშირე, ზღვარი, არაორაზროვნება, კომპოზიცია, განგრძობადობა, პერსონალიზაცია. რაც შეეხება შინაარსიანობას, მოულოდნელობას, რეფერენციას ელიტარულ ერებსა და ადამიანებზე, ნეგატიურობას - ეს ის მახასიათებლებია, რომლებიც ახალი ამბის გაშუქება- არგაშუქების საკითხს წყვეტს.

მკვლევართა უმრავლესობა (ჯ. ჰუ, 1988; ბ. ბრუკსი, 1996; ფ. ფედლერი 1997; ბ. იტული და დ. ანდერსონი, 1994) ახალი ამბების ისეთ მახასიათებლებს გამოჰყოფს, რომელთა მიხედვით წყდება, ახალი ამბავი გაშუქდეს თუ არა.

არსებული ლიტერატურის საფუძველზე ახალი ამბები იყოფა: მძიმე და მსუბუქ ახალ ამბებად.

ფრედ ფედლერი (1997) ტერმინის მძიმე ახალი ამბების ურთიერთიანაცვლებად შემდეგ ტერმინებს გვთავაზობს: hard news, spot news,

straight news, breaking news (მძიმე ახალი ამბები, ახალი ამბის ადგილზე გაშუქება, დაუყოვნებლად მიწოდებული ახალი ამბავი, უახლესი ამბავი).

მეორე მხრივ, მკვლევართა უმრავლესობა მსუბუქ ახალ ამბავს ნარკვევთან აიგივებს. (ფ. ფედლერი, 1997; ბ. იტული, დ. ანდერსონი, 1994).

“მსუბუქ ახალ ამბებს ძირითადად ნარკვევს უწოდებენ. ის ართობს და ინფორმაციას აძლევს მკითხველს. მან შეიძლება მკითხველში სიცილი ან ტირილი, სიყვარული ან სიძულვილი, შური ან სიბრალული გამოიწვიოს. მსუბუქი ახალი ამბების წერის მანერა შესაძლოა ნაკლებ ოფიციალური იყოს და უფრო მეტ ციტატას და აღწერას შეიცავდეს.” (ფ. ფედლერი, 2001, გვ. 112).

ჯ. ჰუ (1988) ახალი ამბის ორ თვისებას: *დაყოვნებულ და მყისიერ ეფექტს* გამოჰყოფს. ცხადია, *მყისიერი ეფექტის* მქონე ახალი ამბავი კითხვისთანავე ახდენს ზემოქმედებას, ხოლო დაყოვნებული შედეგის მქონე ახალი ამბები, ძირითადად, გადასახადების რეფორმას, წესდებებს, სამართლებრივ გადაწყვეტილებებსა და მეცნიერთა აღმოჩენებს შეეხება, რომელსაც ხანგრძლივი შედეგი აქვს მკითხველთა ცხოვრებაზე – ეს არის მნიშვნელოვანი და სერიოზული ამბები, მაგრამ მათ ემოციური ზემოქმედება აკლიათ. (ჯ. ჰუ, 1988).

ახალი ამბების შექმნის, დაწერის სხვადასხვანაირი გზა არსებობს. ახალი ამბების ფორმატი, რომელსაც ყველა მკვლევარი ერთხმად აღიარებს და პრაქტიკულად, როგორც ჩანს, ყველაზე მეტადაა გავრცელებული, ე.წ. “გადმოტრიალებული პირამიდის” სტილია (inverted pyramid). ასეთი სახის ახალი ამბავი, როგორც წესი, შემაჯამებელი ლიდით იწყება. ამ ლიდში ყველაზე მთავარ საკითხზე გამახვილებული ყურადღება. შემდეგ ნაწილში ნაკლებ მნიშვნელოვანი, იერარქიულად განლაგებული დეტალებია მოცემული. ასეთი სტრუქტურის მქონე ახალ ამბავს შესაძლოა სპეციალური დასასრული არც ჰქონდეს და ციტატით ან შედარებით უმნიშვნელო ფაქტის აღნიშვნით მთავრდებოდეს.

ბრუს იტული და დუგლას ანდერსონი (1994) შენიშნავენ, რომ გადმოტრიალებული პირამიდის ფორმატი მე-20 საუკუნის დასაწყისში პირველი

მსოფლიო ომის დროს გავრცელდა ამერიკაში. ეს ბუნებრივიცაა, რადგანაც, ომის პირობებში, ცხელი წერტილიდან გადმოგზავნილ ინფორმაციაში თავშივე მოცემული უნდა ყოფილიყო ყველაზე მთავარი ფაქტი.

ჯ. ჰუ (1988), გადმოტრიალებული პირამიდის ფორმატის გარდა, კიდევ 4 ტიპს გამოჰყოფს: თანაბარი მნიშვნელობის ფაქტების შემცველი სტატია – ეს არის ამბავი, რომელიც ერთნაირად მნიშვნელოვან რამდენიმე ფაქტს ეძღვნება. ასეთი ტიპის ნაშრომი შემდეგი სქემის მიხედვით ვითარდება: ლიდი- ფაქტი 1- ფაქტი 2- ფაქტი 3- ფაქტი 4.

ჯ. ჰუ (1988) ცალკე გამოჰყოფს ქრონოლოგიურ თხრობას, სადაც ამბავი მკაცრი ქრონოლოგიური თანმიმდევრობითაა აღწერილი. უნდა აღინიშნოს, რომ ახალ ამბებში უფრო ხშირია ქვიშის საათის სტილით დაწერილი სტატია, რომელიც *გადმოტრიალებული პირამიდის სტილსა და ქრონოლოგიურ თხრობას* აერთიანებს. გარდა ამისა, ჯ. ჰუ (1988) გამოჰყოფს *ამბავს დასასრულით და და ისეთ ამბავს, რომელსაც შეუძლია მკითხველის ინტერესი ხანგრძლივი დროით შეინარჩუნოს (suspended interest stories).*

ბრუს იტული და დუგლას ანდერსონი (1994) ახალი ამბების წერის 2 ფორმატს გამოჰყოფენ: *გადმოტრიალებული პირამიდისა და ქვიშის საათის სტილს.*

როი პიტერ კლარკი (მედიის ფაკულტეტის დეკანი პოინტერ ინსტიტუტში) ქვიშის საათის სტილის შემდეგ უპირატესობებს ასახელებს:

- უმთავრესი ინფორმაცია სტატიის თავშივეა მოცემული;
- ავტორს შეუძლია გამოიყენოს ნარატივი (თხრობა);
- უმნიშვნელოვანესი ინფორმაცია შეიძლება გამეორდეს თხრობის დროს, რათა მკითხველმა შეძლოს მისი კარგად აღქმა;
- გადმოტრიალებული პირამიდისაგან განსხვავებით, ქვიშის საათის სტილს გაწონასწორებული სტრუქტურა აქვს;
- ასეთი ფორმატი იზიდავს მკითხველს და სტატია მთავრდება ლოგიკური დასასრულით, რაც არ აძლევს საშუალებას რედაქტორს ბოლო ჩამოაჭრას, შეკვეცოს სტატია. (ბ. იტული, დ. ანდერსონი, 1994).

ქეროლ რიჩი (1994) წერს: “ქვიშის საათის სტილის სტატია მძიმე ახალი ამბით იწყება, შემდეგ კი ქრონოლოგიურ თხრობაზე გადადის. ის ან ავტორისეული კომენტარით მთავრდება, ან ახალი ამბის ქრონოლოგიური შედეგით. ეს ტექნიკა გამოსადეგია სასამართლო პროცესის და სხვა ამბების გასაშუქებლად, რომლებიც ამბის მოყოლის საშუალებას იძლევა. ამასთანავე, კარგი საშუალებაა, თავიდან ავიცილოთ ხშირი ატრიბუცია.” (გვ. 219). ქ. რიჩი (1994) და ფ. ფედლერი (2001) ახალი ამბების წერის კიდევ ერთ ტექნიკას გამოჰყოფენ, ესაა ჩამონათვალის ტექნიკა (list technique). ფ. ფედლერი (2001) წერს, რომ რეპორტიორები ხშირად იყენებენ სიას ახალი ამბების წერის დროს იმ მიზნით, რომ გამოხატონ სხვადასხვა იდეა, თემა ან მაგალითი. ახალი ამბავი შეიძლება დაიწყოს ერთი ან ორი მთავარი საკითხის შეჯამებით და შემდეგ გადავიდეს საკითხების ჩამონათვალზე, რომელიც, თანმიმდევრულადაა მოცემული ტექსტში და, ვიზუალურად, თითოეული ახალი აბზაციით იწყება.

მკვლევარები ასევე გვთავაზობენ ნარკვევის კლასიფიკაციას თემატური თვალსაზრისით. ბ. იტული და დ. ანდერსონი (1994) გვთავაზობენ ნარკვევის 5 ტიპს, რომელიც მრავალფეროვან თემებს მოიცავს.

- 1) პიროვნების პროფილის ამსახველი სტატიები (ბიოგრაფიული ცნობები (Personality Profile)). ასეთ სტატიებში ხშირია ციტატები და სხვადასხვა სცენების აღწერა პიროვნების სურათის ნათლად გადმოცემის მიზნით.
- 2) ყოფითი ამბები (Human Interest stories). ასეთი სახის სტატიები უცნაური, პრაქტიკული, ემოციური ან გასართობი ღირებულების მქონე მოვლენას შეეხება. ამის მაგალითებია, თუ როგორ ირჩევენ სილამაზის დედოფალს, აკეთებენ სარეცხ მანქანას ან როგორ ახერხებს ხალხი საარსებო მინიმუმის შოვნას ქვეყანაში, სადაც უმუშევრობის დონემ პიკს მიაღწია.
- 3) სპეციფიკური პოპულარული ამბები (Trend stories). აქ ერთიანდება უახლესი შეხედულებები და კონკრეტული ცნობილი ორგანიზაციების ახლებური მიდგომა გარკვეული საკითხების მიმართ. ამ ჯგუფში შეიძლება შევიდეს, მაგალითად, სიახლეები მოდის სამყაროდან.
- 4) ამბის ღრმა კვლევა (In-depth stories). ეს არის სტატია, რომელიც



დაფუძნებულია გამოკვლევაზე, გამოკითხვასა და ინტერვიუზე. ასეთი სახის სტატია მოვლენების დეტალურ ანგარიშს იძლევა. ბ. იტული და დ. ანდერსონი (1994) აღნიშნავენ, რომ ასეთი სახის სტატია შეიძლება იყოს ახალ ამბავზე ორიენტირებული ნარკვევი ან საგამომძიებლო სტატია. აღსანიშნავია, რომ ღრმა კვლევა არ არის მხოლოდ ამ ტიპის სტატიის დიფერენციალური ნიშანი. იგი შეიძლება ნებისმიერი სახის ნარკვევში იყოს მოცემული. მაგალითად, მაშინ როცა ჟურნალისტი ქვეყანაში გარკვეულ სოციალურ და ეკონომიკურ პრობლემებს შეისწავლის, ან საზოგადოების დაუცველი ფენის ცხოვრებით ინტერესდება.

5) ფონური (Backgrounder) სტატია, რომელიც მკითხველს აწვდის ცოდნას რაიმე ფაქტის შესახებ. ბ. იტული და დ. ანდერსონი (1994) აცხადებენ, რომ ასეთ სტატიას ზოგჯერ უწოდებენ ანალიზს (analysis piece), რადგან იგი მოვლენების ანალიზს მოიცავს. ფონურ სტატიაში მკითხველი იღებს სრულ ინფორმაციას, როგორ მივიდა ქვეყანა, ორგანიზაცია, თუ პიროვნება კონკრეტულ მდგომარეობამდე.

ზემოთმოცემული კლასიფიკაციისაგან განსხვავებით ფ. ფედლერი (2001) ნარკვევის შემდეგ ტიპებს გვთავაზობს:

- 1) პიროვნების ბიოგრაფიული ცნობები და პროფილი (Profiles; Personality Feature). აღსანიშნავია, რომ ნარკვევის ეს ტიპი აგრეთვე გვხვდება ბ. იტულსა და დ. ანდერსონთან (1994).
- 2) ისტორიული ნარკვევი (Historical Features). ასეთი სახის სტატია მნიშვნელოვან თარიღებს ეხება.
- 3) სათავეადასავლო ნარკვევი (Adventure Features). ფ. ფედლერი (2001) აღნიშნავს, ასეთ ნარკვევში ციტატა და აღწერა განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს. მაგალითად, კატასტროფის შემდეგ გადარჩენილთა მონათხრობი ეფექტური საშუალებაა შესაბამისი სურათის დასახატად.
- 4) სეზონური ნარკვევი (Seasonal Features). ფ. ფედლერი (2001) მოიაზრებს სტატიებს, რომლებიც კონკრეტულ დღესასწაულებს და წელიწადის დროს

შეეხება. აღსანიშნავია, რომ კონკრეტული დღესასწაულისადმი მიძღვნილი სტატია ისტორიულ ნარკვევშიც შეიძლება გაერთიანდეს.

- 5) განმარტებითი ნარკვევი (Explanatory Features). ფ. ფედლერი (2001) კიდევ რამდენიმე ტერმინს გვთავაზობს: ესენია, ადგილობრივი სიტუაცია, ინტერპრეტაციული, გვერდითი სვეტი (local situation, interpretive, sidebars). როგორც ფედლერი (2001) ხსნის, ასეთ ნარკვევში დეტალურად არის ახსნილი ორგანიზაციის საქმიანობა, მიმართულებები. მაგალითად, ბანკის გაქურდვის შემდეგ განმარტებით ნარკვევში შეიძლება აღწერილი იყოს, რა სახის წვრთნებს გადიოდნენ ბანკის მოსამსახურეები, რომ შეწინააღმდეგებოდნენ გაძარცვას. ამასთანავე, განმარტებითი ნარკვევი შესაძლოა, შეისწავლიდეს ტერაქტში მონაწილე ტერორისტთა ვინაობას, ბიოგრაფიას, ტაქტიკას, მიზნებს. ვთვლი, რომ თუ ნარკვევი ამბის უფრო დეტალურ ახსნას გვთავაზობს, მას ბ. იტულისა და დ. ანდერსონის (1994) მიერ გამოყოფილი ტერმინი 'ამბის ძირფესვიანი კვლევა' უფრო შეესაბამება. გარდა ამისა, ეს ტერმინი უფრო ზოგადია და სხვადასხვა თემატიკას იტევს. ხოლო ე. წ. გვერდითი სვეტი (sidebar) - რომელიც დამატებით ინფორმაციას იძლევა და სტატიას ერთვის, ცალკე სტატიად არ უნდა მივიჩნიოთ დამოუკიდებელი სტატუსის არქონის გამო. როგორც ჩანს, აქ ტერმინის აღრევასთან გვაქვს საქმე, რადგან ფედლერი (2001) გვერდით სვეტს (sidebar) უწოდებს ისევ და ისევ ამბის ღრმა კვლევას (in-depth story).
- 6) ნარკვევი - რჩევები (How-to-do-it-Features). როგორც ტერმინიდან ჩანს, ასეთი სახის ნარკვევი მკითხველს პრაქტიკულ რჩევებს აძლევს.
- 7) ნარკვევი გმირის უჩვეულო საქმიანობის ან/და ჰობის შესახებ (Unusual Occupation or Hobby Features). ასეთი სახის ნარკვევში ადამიანთა ისეთი საქმიანობა შევა, რომელიც რაღაცით უჩვეულოა ან ძალიან მოსაწყენი. ასეთი სახის ნარკვევი ბ. იტულისა და დ. ანდერსონის (1994) მიერ გამოყოფილ *ყოფით ამბებს* შეესაბამება.
- 8) გმირის პირადი გამოცდილების გადმომცემი ნარკვევი (Personal Experience Features). ფ. ფედლერი (2001) წერს, რომ ახალი ამბავი, როგორც წესი,

მესამე პირში იწერება, ხოლო ნარკვევში, შესაძლოა, შეგვხვდეს პირველი პირი, სადაც ავტორი მოგვითხრობს თუ რა გადახდა თავს.

- 9) სცენის მიღმა, ანუ “კულისების” ნარკვევი (Behind-the-Scenes Features). ასეთი სახის ამბები აღწერს რა ხდება სცენის მიღმა, თუნდაც კონცერტის მიმდინარეობის დროს. უნდა აღინიშნოს, რომ ასეთი ტიპის ნარკვევი შესაძლებელია, ყოფილი ამბების ჯგუფში შევიდეს და მისი ცალკე დასახელება არ არის მიზანშეწონილი.
- 10) ნარკვევი სადაც ამბის მონაწილე თვით არის ავტორი (Participatory Features). ასეთ ნარკვევში ავტორი მოგვითხრობს თავს გადახდენილი ამბის შესახებ, ან თავად ცდილობს, საკუთარ თავზე გამოსცადოს, რის შესახებაც წერს. თუმცა, მაშინ როცა ფედლერი (2001) კლასიფიკაციაში უკვე ცალკე გამოჰყო პირადი გამოცდილების გადმოცემა ნარკვევი, მიმაჩნია, რომ ამ უკანასკნელი ტიპის ნარკვევის ცალკე დასახელება საჭირო აღარ არის.
- 11) სამედიცინო ნარკვევი (Medical Features). ეს არის ნარკვევი, რომელიც სამედიცინო საკითხებზე იწერება, კერძოდ, დაავადებებზე, მკურნალობის გზებზე, წინსვლებზე მედიცინის დარგში და სხვა.
- 12) ბიზნეს ნარკვევი (Business Features). ასეთი სახის სტატიები აქცენტს ერთ პიროვნებაზე ან ბიზნესზე აკეთებს. უნდა აღინიშნოს, რომ ფედლერის (2001) მიდგომა განსხვავებულია ბ. იტულისა და დ. ანდერსონის (1994) მიდგომისაგან. ფედლერი (2001) ნარკვევის ტიპების დეტალურ ჩამონათვალს გვთავაზობს, მაგრამ უნდა გვახსოვდეს, რომ ასეთი ზედმიწევნითი დახასიათების დროს კიდევ რომელიმე დეტალი შეიძლება დარჩეს ყურადღების მიღმა და ზოგადი სურათი სრულყოფილად მაინც ვერ გადმოსცეს. მაგალითად, ფედლერის სამედიცინო ნარკვევი შესაძლოა გავაერთიანოთ ბ. იტულისა და დ. ანდერსონის (1994) მიერ გამოყოფილ მიმართულებებში (Trends), რომელიც სხვადასხვა თემაზე დაწერილ სტატიებს აერთიანებს.

ბოლოდროინდელი კვლევების თანახმად ინგლისურენოვან საზოგადოებას დღეს გაცილებით უფრო იზიდავს სხვადასხვა შეფასების გამომხატველი

სტატიები, ვიდრე რამდენიმე ათწლეულის წინ. ინდივიდუალურ აზრს საგაზეთო ჟანრებიდან გამოხატავს: წერილი რედაქციისაგან და კომენტარი/სვეტი.

მელვინ მენხერი (1993) სვეტის შემდეგ განმარტებას გეთავაზობს:

სვეტი - გაზეთში გამოყოფილი ვერტიკალური სივრცეა. გაზეთის გვერდი ძირითადად ხუთ სვეტადაა დაყოფილი. აგრეთვე ეს არის სტატია, რომელიც შეხედულებას ან ძლიერ პოზიციას გამოხატავს. აქვე, მოცემულია ავტორის სახელი და გვარი. სვეტი ხშირად ექსპერტის მიერაა დაწერილი - მაგალითად, შეიძლება არსებობდეს სპორტული სვეტი (sports column), მედიცინის სვეტი (a medical column), პოლიტიკური და სოციალური (political or social commentary) და ა.შ.

რედაქციის წერილის საპირპისპირო გვერდზე (op-ed page) განთავსებულია კომენტარი/სვეტი და მასთან დაკავშირებული ილუსტრაციები. (მ. მენხერი, 1993).

მაშასადამე, არსებული ლიტერატურის საფუძველზე, გაზეთისათვის დამახასიათებელია შემდეგი ჟანრები: *ახალი ამბები, ნარკვევი, წერილი რედაქციისაგან და სვეტი/კომენტარი*. ახალი ამბების კლასიფიკაცია შესაძლოა მოხდეს: *მიძიმე და მსუბუქ ახალ ამბებად, დაყოვნებული და მყისიერი ეფექტის მქონე ახალ ამბებად*. ახალი ამბების ძირითადი მახასიათებლები - შინაარსიანობა, მოულოდნელობა, რეფერენცია ელიტარულ ერებსა და ადამიანებზე და ნეგატიურობაა. შედარებით უფრო მრავალფეროვანია *ნარკვევის* კლასიფიკაცია (*პიროვნების ბიოგრაფიული ცნობები, ყოფითი ამბები, პოპულარული მიმართულებები, ამბის ღრმა კვლევა, ფონისეული სტატია, ისტორიული ნარკვევი, სათავგადასავლო ნარკვევი, სეზონური ნარკვევი, განმარტებითი ნარკვევი, ნარკვევი რჩევები, ნარკვევი უზვეულო საქმიანობისა და პრობის შესახებ, პირადი გამოცდილების გადმომცემი ნარკვევი, სცენის მიღმა ანუ "კულისების" ნარკვევი, ნარკვევი სადაც ამბის მონაწილე თვით არის ავტორი, სამედიცინო და ბიზნეს ნარკვევი*). თუმცა, როგორც ზემოთ აღვნიშნე, სხვადასხვაგვარი კლასიფიკაცია შესაძლოა გაერთიანდეს რამდენიმე ძირითადი ჯგუფის ქვეშ. ნარკვევის კლასიფიკაცია, რომელსაც არსებული ლიტერატურის საფუძველზე მართებულად მივიჩნევ შემდეგია – პიროვნების ბიოგრაფიული

ცნობები და პროფილი (Profiles; Personality Feature), ისტორიული ნარკვევი (Historical Features), სათავგადასავლო ნარკვევი (Adventure Features), განმარტებითი ნარკვევი (Explanatory Features) ანუ ამბის ძირფესვიანი კვლევა (in-depth story), ნარკვევი – რჩევები (How-to-do-it-Features), ნარკვევი გმირის უჩვეულო საქმიანობის ან/და ჰობის შესახებ (Unusual Occupation or Hobby Features), აქვე, მოვიაზრებ ე.წ. ყოფით ამბებს, მიმართულებები (Trends) - სადაც შეგვიძლია გავაერთიანოთ სამედიცინო და/ან ბიზნეს სფეროში დაწერილი ნარკვევი. გაზეთში ავტორის ინდივიდუალური აზრის გამოხატვას ემსახურება ძირითადად ორი ჟანრი - წერილი რედაქციისაგან და სექტი/კომენტარი.

ქვემოთ მოცემულ თავებში უფრო დაწვრილებით განვიხილავ თითოეულ საგაზეთო ჟანრს და მათ ლინგვისტურ მახასიათებლებს სემანტიკური/პრაგმატიკული და სემიოტიკის ჭრილში.

## **თავი II ბრიტანული და ამერიკული პრესის ენობრივი მახასიათებლები (ახალი ამბები და ნარკვევი)**

თანამედროვე ჟურნალისტიკის სტანდარტების ჩამოყალიბებაზე დიდი გავლენა იქონია ინგლისურენოვანმა, განსაკუთრებით, ამერიკულმა პრესამ. ამ თავში ასახულია ინგლისურენოვანი პრესისათვის დამახასიათებელი ტენდენციები, ჟანრობრივი და ლინგვისტური თავისებურებები, დაწვრილებით განხილულია არაპერსონალური ჟანრები და შესაბამისი მაგალითები.

სტატიაში პოლიტიკა და ინგლისური ენა ( “Politics and the English Language”) ცნობილი ბრიტანელი მწერალი და ჟურნალისტი ჯორჯ ორველი აღნიშნავს, რომ ინგლისურ ენაში, განსაკუთრებით პოლიტიკის სფეროში, რთული ფრაზების, გაცვეთილი მეტაფორების, სხვადასხვა სტილისტური ხერხებისა და მათი შემცველი ერთეულების (შედარება, იდიომი, ანდაზა) გამოყენების ტენდენცია იკვეთება. როგორც ორველი (1968) შენიშნავს, ამ სტილისტური ხერხების ზედმეტად ხშირი და არაზუსტი გამოყენება ნაწერის

ბუნდოვანებას იწვევს. მისი აზრით, თანამედროვე პროზას ახასიათებს ინფორმაციის ნაკლები სიზუსტე.

ორველი ასევე (1968) ხაზს უსვამს, რომ გრძელი და ბუნდოვანი ფრაზები, ძირითადად, პოლიტიკასთან მიმართებაში გამოიყენება და ამის მთავარი მიზეზი არაგულწრფელობაა. იგი აღნიშნავს, რომ ავტორები უპირატესობას შექმდე ფრაზებს ანიჭებენ: არასამუშაო მდგომარეობაში ჩაყენება render inoperative, მძიმედ დააწვა militate against, კონტაქტის დამყარება make contact with, გახდეს საგანი be subjected to, გამოიწვიოს give rise to, მისცეს საფუძველი give grounds for, ჰქონდეს შედეგი have the effect of, ითამაშოს წამყვანი როლი play a leading part (role) in, თავი აგრძნობინოს make itself felt, დაიწყო ფუნქციონირება take effect, გამოხატოს ტენდენცია exhibit a tendency to, ემსახუროს მიზანს serve the purpose of, დაამყაროს საფუძველი lay the foundations, მიაღწიოს რადიკალურ ტრანსფორმაციას achieve a radical transformation. ამ ფრაზების გამოყენება ხშირად ხდება ისეთი მარტივი ზმნების ამოგდების ხარჯზე, როგორცაა გატეხვა break, შეჩერება stop, გაფუჭება spoil, შეკეთება mend, მოკვლა kill და ა.შ. ავტორი აგრეთვე საუბრობს გაცვეთილი მეტაფორებისა და სახეცვლილი ფრაზული გამოთქმების სულ უფრო ხშირი გამოყენების ტენდენციაზე.

უნდა აღინიშნოს, რომ თანამედროვე ჟურნალისტიკის ენა დღეს გამარტივებისკენ მიისწრაფვის, თუმცა ბრიტანულ პრესაში (განსაკუთრებით პოლიტიკურ სტატიებში) დღესაც შეიმჩნევა ელემენტები, რომლებზეც ორველი (1968) საუბრობდა 50-ზე მეტი წლის წინ. ასე მაგალითად, ბრიტანულ პრესაში დღემდე გვხვდება ისეთი ფრაზები, რომელთა ჩანაცვლება უფრო 'მარტივი' სინონიმებითა და ეკვივალენტებითაც შესაძლებელია: თავშეკავებულობის გამოჩენა exercise restraint, ეჭვქვეშ ყოფნა be under any doubt, მიანიშნებდა ბრიტანული ტონის გამძაფრებაზე marked a hardening of British tone, არ დარჩა ადგილი ორაზროვნებისათვის left no room for ambiguity, შესაძლოა ჯერ კიდევ

არსებობდეს საკმარისი ადგილი მანევრებისათვის might yet be sufficient room for manouevre, გამოსატოს ღრმა წუხილი express grave concerns, როგორც ჩანს ესკალაცია ხდება appear to escalate, დაუნინგ სტრიტზე სჯერათ, რომ მიღება ზეწოლის ქვეშ განხორციელდა Downing Street believes the admissions were made under duress. . . ანუ, ორველი (1968) სამართლიანად აღნიშნავს, რომ გრძელი და ოდნავ ბუნდოვანი ფრაზების ხშირი გამოყენება გამოწვეულია სიმართლის შენიღბვის მიზნით, რაც პოლიტიკური სფეროსათვისაა დამახასიათებელი.

ბრიტანულისგან განსხვავებით, ამერიკული პრესა (რ. ფ. კლარკი, 1994) უფრო მეტად სასაუბრო ენის გავლენას განიცდის. აქ წერის უმთავრესი პრინციპები – აზრის გამოსატვის სიმარტივე და სიცხადეა. როი პიტერ კლარკი თავის ნაშრომში ‘ამერიკული სასაუბრო ენა და ჟურნალისტიკის ენა’ (რ. ფ. კლარკი, 1994) სწავლობს ამერიკული სასაუბრო ენის გავლენას ჟურნალისტიკის ენაზე და ამერიკული პრესის ენის შემდეგ მახასიათებლებს გვთავაზობს:

- ჟურნალისტიკის ენა აქტიურია;
- ჟურნალისტიკის ენა გარეგნულად დატვირთულია;
- ჟურნალისტიკის ენა დემოკრატიულია, შეიძლება ვუწოდოთ ამერიკულიც. როგორც ჩანს, კლარკი აქ გულისხმობს დემოკრატიულ პროცესებთან და ღირებულებებთან დაკავშირებული სიტყვებისა და ფრაზების სიახლოვეს ამერიკულ კულტურულ ღირებულებებთან;
- თუმცა ჟურნალისტიკის ენა განსხვავებულია მეტყველებისაგან, მაგრამ, ამავე დროს, სხვა პროზაულ ფორმებთან შედარებით ყველაზე მეტად ჰგავს მეტყველებას;
- ჟურნალისტიკის ენა მარტივია;
- ჟურნალისტიკის ენის ყველაზე ღირებული თვისება სიცხადეა და მისი უმთავრესი შედეგი ადვილად აღქმადობაა.

მიუხედავად იმისა, რომ ერთიანი ჟურნალისტური სტანდარტის გავრცელებამ და გლობალიზაციის პროცესმა თანდათანობით საერთო ჟურნალისტური წერის მანერა დაამკვიდრა ამერიკულ პრესაში, სხვა ინგლისურენოვანი პრესისგან განსხვავებით, მარტივი მოქმედების გამომხატველ ზმნებს ენიჭება უპირატესობა.

ასევე აღსანიშნავია, რომ ამერიკულ სტატიაში, ზოგადად, აქცენტი კეთდება მოქმედების გამომხატველ და ფართოდ გავრცელებულ ზმნებზე *-fired, said, questioned*, რაც, საერთო ჯამში, აჩქარებს კითხვის ტემპს. ბრიტანულ სტატიაში გავრცელებული რთული ფრაზები (*of-phrase, gerunds, present participal*) საწინააღმდეგო ეფექტს ქმნის: მოსალოდნელია დაამსხვრიოს ერთ-ერთი უკანასკნელი ტაბუ *to break one of the final taboos*; ერთად უნდა დამსხდარიყვნენ, რომ შეთანხმებულიყვნენ პირობებზე *are expected sitting down together to try to agree terms on*.

## **2. 2 ინგლისურენოვანი პრესისათვის დამახასიათებელი ჟანრები**

როგორც შესავალში აღვნიშნე, წინამდებარე ნაშრომი ინგლისურენოვანი პრესის შემდეგ ჟანრებს შეისწავლის: (1) ახალი ამბები, (2) ნარკვევი, (3) წერილი რედაქციისაგან და (4) კომენტარი/სვეტი.

როგორც ცნობილია, გაზეთში ყველაზე დიდი ადგილი ისეთი სახის სტატიებს უჭირავს, სადაც ჟურნალისტის ინდივიდუალური აზრი არ ჩანს. ახალი ამბები და ნარკვევი სწორედ ორი ასეთი ტიპის ჟანრია. ამ თავში დაწვრილებით განვიხილავ ახალ ამბებსა და ნარკვევს, მათ ჟანრობრივ, სტრუქტურულ და ლინგვისტურ მახასიათებლებს ბრიტანულ და ამერიკულ პრესაში.

## **2. 3 ახალი ამბის გამოყოფის კრიტერიუმები და სტრუქტურა**



ახალი ამბები მასობრივი ინფორმაციის ყველაზე თვალსაჩინო მაგალითია. ნებისმიერი სახის მასობრივი ინფორმაციის საშუალება: ტელევიზია, რადიო, პრესა, უმთავრესად, ახალი ამბის გაშუქებაზე მუშაობს. ახალ ამბავში ჟურნალისტის ინდივიდუალური აზრი არ არის გამოხატული და, როგორც წესი, ასეთი სახის სტატიის შექმნისას ავტორი გარკვეულ ფორმატს უნდა აკმაყოფილებდეს.

როგორც წინა თავიდან ჩანს, ახალი ამბები გამოირჩევა დამახასიათებელი კრიტერიუმებით. არსებული ლიტერატურის საფუძველზე ახალი ამბის მახასიათებელ კრიტერიუმებად მიგვაჩნია შემდეგი:

ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი კრიტერიუმია— **დროულობა**. აქ იგულისხმება ინფორმაციის დროულად მიწოდება. მეორე მნიშვნელოვანი კრიტერიუმია **სიახლე**. შემდეგი კრიტერიუმია მკითხველზე **ზეგავლენის, ზემოქმედების ხარისხი**. მეოთხე თვისებაა **გამორჩეულობა** (prominence) და **განსაკუთრებულობა**, რამდენად ცნობილია და აქტუალური ქვეყანა, მოვლენა ან პიროვნება, რომელსაც ეძღვნება ნარკვევი. მეხუთე კრიტერიუმია **ნეგატიურობა** – პრესა და განსაკუთრებით, ტელევიზია ყველაზე დიდ აქცენტს უარყოფით ინფორმაციაზე აკეთებს. სპირო ტ. აგნიუ, პრეზიდენტ ნიქსონის ვიცე-პრეზიდენტი, ჟურნალისტებს “ნეგატიურობაზე მოლაყებ მაგნატებს” უწოდებდა (nattering nabobs of negativism). ხოლო პრეზიდენტ კლინტონის პრესმდივანმა განაცხადა: რეპორტიორების ფილოსოფიით “კარგი ახალი ამბავი საერთოდ არ არის ამბავი” (good news is no news), რაც მანამდე დამკვიდრებული ფრაზის “ახალი ამბავი კარგი ამბავი არ არის” (no news is good news) შებრუნებული და ფართოდ გავრცელებული ვარიანტი გახდა. ნეგატიურობის ერთ-ერთი გამოვლინება არის **კონფლიქტიც**. ახალი ამბის ბოლო კრიტერიუმია **შესაბამისობა, რელევანტურობა**, სადაც იგულისხმება მკითხველთან **სიახლოვეც** (გეოგრაფიული და/ან კულტურული). ამაზე მიუთითებს ის ფაქტი, რომ ახალი ამბავი ხშირად საინტერესოა საზოგადოებისათვის თუ გეოგრაფიულად და კულტურულად ახლოსაა. ეს მარტივი ფაქტით აიხსნება, ადამიანები უფრო მეტად დაინტერესებულნი არიან ამბებით, რომლებიც მათ სოციალურ,

კულტურულ მდგომარეობასა და გეოგრაფიულ მდებარეობაზე ახდენს ზეგავლენას.

წინამდებარე ნაშრომში მიმოხილულ ლიტერატურაში, ძირითადად, ახალი ამბების ორწევრა კლასიფიკაცია გვხვდება: სერიოზული, მძიმე ახალი ამბები და მსუბუქი ახალი ამბები.

მძიმე ახალი ამბები ისეთ სერიოზულ და ხშირად ნეგატიურ ამბებს ეხება, როგორცაა მკვლელობა, უბედური შემთხვევა, ხანძარი, კატასტროფა, არჩევნები, შეტაკების შედეგები.

მძიმე ახალი ამბების მაგალითად შეიძლება შემდეგი ლიდი მივიჩნიოთ:

“At least 27 people, including a senior British diplomat, were killed yesterday and hundreds injured when two suspected al-Qa’eda suicide bombers attacked the British consulate and the headquarters of HSBC bank in Istanbul.” (The Daily Telegraph, November 21, 2003).

“27 ადამიანზე მეტი, მათ შორის, მაღალი რანგის ბრიტანელი დიპლომატი დაიღუპა გუშინ და სავარაუდოდ, ასობით დაიჭრა ბრიტანეთის საკონსულოსა და SBC ბანკის სათაო ოფისზე აღ-ქაიდას თვითმკვლელების თავდასხმისას სტამბულში.” (დეილი ტელეგრაფი, 21 ნოემბერი, 2003).

მსუბუქი ახალი ამბები ხშირად შეიძლება გაიგივებული იყოს ნარკვევთანაც.

“One would have thought a former career in public relations and a familiarity with the machinations of the Press might have helped her to easily avoid a blooper.

But Sarah Brown, despite her reputation as an experienced and professional PR woman, broke her own publisher's embargo yesterday by announcing she had agreed a deal to write her memoirs.” (The Independent, June 4, 2010).

“შეიძლებოდა გეფიქრათ, რომ მისი პროფესიული გამოცდილება საზოგადოებრივ ურთიერთობებში და პრესის მექანიზმების კარგად ცოდნა დაეხმარებოდა მას ადვილად აერიდებინა თავი შეცდომისათვის. მაგრამ, სარა

ბრაუნმა, მიუხედავად მისი რეპუტაციისა როგორც საზოგადოებასთან ურთიერთობის გამოცდილი და პროფესიონალი სპეციალისტი, საკუთარი გამომცემლის ემბარგო დაარღვია და განაცხადა, რომ დათანხმდა მემუარების წერას.” (ინდიფენდენტი, 4 ივნისი, 2010).

### *ახალი ამბების სტრუქტურა*

სტატიების სტრუქტურის განხილვისას ძირითადად შემდეგი სახის ფორმატებს ასახელებენ: *გადმოტრიალებული პირამიდის სტილი, დაყოფილი ინტერესის მქონე სტატია, ჩამონათვალის ტექნიკა, ქვიშის საათის სტილი, სტატია თანაბარი მნიშვნელობის ფაქტებით და სტატია დასასრულით* (ჯ. ჰუ, 1988; ბ. ბრუკსი, 1996; ფ. ფედლერი 1997; ბ. იტული და დ. ანდერსონი, 1994). ქვემოთ, უფრო დაწვრილებით, განვიხილავ არსებულ ფორმატებს და ახალი ამბებისთვის დამახასიათებელ სტილს.

როგორც დაკვირვებამ ცხადყო, ამერიკულ გაზეთში, ბრიტანულისაგან განსხვავებით, ახალი ამბების შესახებ სტატიის შუა ნაწილში ხშირად (57.7% გამოკვლეული მასალის) ვხვდებით აბზაცს, რომელიც აჯამებს მოწოდებულ ინფორმაციას. ამ აბზაცს ამერიკელი ჟურნალისტები Nut graph-ს უწოდებენ (ბ.იტული და დ. ანდერსონი, 1994). ამ ნაწილში კიდევ ერთხელ არის ხაზგასმული, თუ რის შესახებაა სტატია. მაგალითად,

“The assault underscored the risks of a war that began with lightning speed and is now approaching its most crucial phase. Optimistic statements in Washington may have created expectations that this war would be swift and relating casualty-free. Certainly, allied forces have covered considerable ground and thrust deep into Iraq. But now that the military has raced toward American forces are girding for real battle.” (The New York Times, March 24, 2003).

“თავდასხმამ ხაზი გაუსვა ომის დაწყების საფრთხეებს, რომელიც ელვის სისწრაფით დაიწყო და ახლა ყველაზე გადამწყვეტ ფაზას უახლოვდება. ოპტიმისტურმა განცხადებებმა ვაშინგტონში, შესაძლოა, ისეთი მოლოდინი შექმნა, რომ ეს ომი სწრაფი და უსისხლო იქნებოდა. რასაკვირველია, მოკავშირე ძალებს მნიშვნელოვანი ტერიტორიები და გავლენა აქვთ ერაყის შიგნით. მაგრამ ახლა, როდესაც სამხედროები ცენტრალური ერაყისაკენ მიიწევენ, ამერიკელი

სამხედროები ძალას იკრებენ ნამდვილი ბრძოლისთვის.” (ნიუ იორკ ტაიმსი, 24 მარტი, 2003).

ამ აზრში, რომელიც სტატიის ე.წ შეჯამებას (nut graph-ს) წარმოადგენს, გარკვეულწილად, ანალიზიც არის მოცემული და რაც მთავარია, ხაზი ესმება სტატიის მთავარ თემას - ამერიკას რეალური და მძიმე ომი ელოდება.

არსებულ ლიტერატურაზე დაყრდნობით ასალი ამბების სტრუქტურისათვის დამახასიათებელ შემდეგ ფორმატებს დავასახელებ: *გადმოტრიალებული პირამიდის სტილი, ქვიშის საათის ფორმატი, სტატია თანაბარი მნიშვნელობის ფაქტებით და სტატია დასასრულით.*

როგორც ზემოთაა აღნიშნული, გადმოტრიალებული პირამიდის ფორმატით გადმოცემული სტატია ყველაზე მნიშვნელოვანი ინფორმაციით იწყება და მას მოსდევს ფონური ინფორმაცია (background).

“The differences between the United States and Turkey were evident Monday night during a telephone call between Bush and Recep Tayyip Erdogan. . .” (The Washington Post, March 13, 2003)

“აზრთა სხვადასხვაობა აშკარა გახდა ამერიკის შეერთებულ შტატებსა და თურქეთს შორის, ორშაბათ საღამოს ბუშსა და რისეფ ტაიფ ერდოგანს შორის სატელეფონო საუბრისას. . .” (ვაშინგტონ პოსტი, მარტი 13, 2003).

შემდეგი სტატია კი სპეციალური დასასრულის გარეშე, ციტატით მთავრდება.

“ ‘It’s a vicious circle,’ he said.” (The Washington Post, March 13, 2004).

“ ‘ეს სახიფათო წრეა,’ თქვა მან.” (ვაშინგტონ პოსტი, 13 მარტი, 2004).

*ქვიშის საათის სტილის სტატიის დასაწყისი გადმოტრიალებული პირამიდის ლიდს ჰგავს, ანუ მთავარი ინფორმაცია თავშია მოთავსებული. ასეთი სახის სტატია ხშირად შემაჯამებელი ლიდით იწყება (ლიდის საკითხი უფრო დაწვრილებით ქვემოთაა განხილული):*

“Shiite Muslim anger against Americans spilled into Friday Prayers in Sadr City, the poor Baghdad district where two Iraqis and two American soldiers were killed Thursday night.”(The New York Times, October 11, 2003).

“შიიტი მუსულმანების ბრაზი ამერიკელების მიმართ გამოვლინდა პარასკევს, დღის ღოცვების დროს სადრში, ბაღდადის ღარიბ რაიონში, სადაც ორი ერაყელი და ორი ამერიკელი ჯარისკაცი დაიღუპა ხუთშაბათს ღამით.” (ნიუ იორკ ტაიმზი, 11 ოქტომბერი, 2003).

ეს ლიდი ნათლად ხსნის, რის შესახებაც სტატია. ამის შემდეგ სტატიის შუა ნაწილიდან იწყება ქრონოლოგიური თხრობა. ავტორი თანმიმდევრულად აღწერს მომხდარ ფაქტებს.

“The spark for the recent violence appeared to be a suicide attack on Thursday morning at an Iraqi police station, in which a bomber crashed through a gate in a car and detonated a powerful bomb, killing at least eight other people.

*Several hours later*, United States troops surrounded Mr. Sadr’s headquarters several blocks away. Local residents and clerics said that the soldiers entered the headquarters and that several of them were beaten up and had their guns taken away.

Iraqi witnesses said that *militia members then blocked off* the street in front of the headquarters, and that *a short time later* three Humvees with Americans drove up to the blockade.

Accounts differ to *what happened next* . . .”(The New York Times, October 11, 2003)

“ბოლოდროინდელი ძალადობის გამოვლენას წარმოადგენდა თვითმკვლელის თავდასხმა ერაყის პოლიციის სადგურზე ხუთშაბათს ღამით, როდესაც თვითმკვლელი შეეჯახა კარიბჭეს მანქანით და ააფეთქა ნაღმი, რომელმაც სულ მცირე რვა ადამიანი იმსხვერპლა.

რამდენიმე საათის შემდეგ ამერიკის შეერთებული შტატების ჯარებმა ალყა შემოარტყეს ბატონი სადრის სათაო ოფისს რამდენიმე საცხოვრებელი სახლის მიღმა. ადგილობრივმა მაცხოვრებლებმა და სასულიერო მსახურებმა

განაცხადეს, რომ სამხედროები სათაო ოფისში შევიდნენ, რამდენიმე მათგანი ცემეს და იარაღი წაართვეს.

ერაყელმა მოწმეებმა განაცხადეს, რომ შემდგომ მილიციის წარმომადგენლებმა გადაკეტეს ქუჩა სათაო ოფისის წინ და ცოტა ხნის შემდეგ ამერიკელები სამი ჰუმვით მივიდნენ ბლოკადის ადგილას.

განსხვავებული ვერსიები არსებობს თუ რა მოხდა შემდეგ. . .” (ნიუ იორკ ტაიმსი, 11 ოქტომბერი, 2003).

ამბის ქრონოლოგიური გადმოცემა ჩანს შემდეგ ფრაზებში: რამდენიმე საათის შემდეგ *several hours later*, შემდგომ მილიციის წარმომადგენლებმა გადაკეტეს *გზა militia members then blocked off the street*, ცოტა ხნის შემდეგ *a short time later*, რა მოხდა შემდეგ *what happened next*. სტატიის ქრონოლოგიურ თხრობაში ჩანს სივრცითი – ტემპორალური ურთიერთობა, რომელიც ასახულია კავშირებით და ზმნიზებით: *then, next, later*.

არსებული ლიტერატურა განსაზღვრავს ახალი ამბის კიდევ ერთ ტიპს სტატიას თანაბარი მნიშვნელობის ფაქტებით, სადაც რამდენიმე თემამ ერთდროულად წინ წამოწეული (ჯ. ჰუ, 1988). მ. მენხერი (1993) ასეთი ტიპის სტატიას მრავალეფემენტოვანი სტატიას უწოდებს. საკვლევ მასალაში ბრიტანული გაზეთიდან ამ სახის სტატიის მაგალითი არ აღმოჩნდა, ხოლო ამერიკულ გაზეთში შედარებით უფრო გავრცელებულია (6.7%). ასეთი სტატიის ღირს იწყება ერთი თემით, შემდგომში კი სხვა თემები შემოდის. როგორც წესი, ამგვარ სტატიას არ აქვს განსაკუთრებული სახის დასასრული და უახლესი ინფორმაციით ან ციტატით მთავრდება.

ცალკე უნდა დასახელდეს ისეთი სახის სტატია, რომელსაც დასასრული აქვს, აჯამებს სიტუაციას და ანალიზს შეიცავს.

“The US decision comes from the same mindset that kept the US away from everyone else’s line of thought on global warming. It was reasonable to imagine, after September 11, that missile defense might vanish from the agenda. If the sole superpower could be terrorized by a handful of men with retractable knives and by what might be a solitary mad scientist arms with a

job-lot of anthrax germs, what use could missile defense be? That remains a reasonable line of thought. It just happens not to be shared by the US president.” (The Guardian Weekly, December 20-26, 2001).

“ამერიკული მხარის გადაწყვეტილება იმავე მოსაზრებიდან გამომდინარეობს, რამაც განაპირობა ამერიკელების განდგომა ყველა დანარჩენებისგან გლობალური დათბობის საკითხებთან დაკავშირებით. გონივრული იყო, წარმოგვედგინა, რომ 11 სექტემბრის შემდეგ რაკეტებით თავდაცვა დღის წესრიგიდან გაქრებოდა. თუ ერთადერთი ზესახელმწიფო იქნებოდა დატერორებული დანებით შეიარაღებული რამდენიმე ადამიანითა და მარტოსული დაავადებული მეცნიერების იარაღით - ციმბირის წყლულის ბაქტერიებით, მაშინ რა სარგებელი ექნებოდა რაკეტებით თავდაცვას. ეს გონივრული აზრია. უბრალოდ, მას ამერიკის პრეზიდენტი არ იზიარებს.” (გარდიან ვიკლი, დეკემბერი 20-26, 2001).

ეს დასასრულის მქონე სტატიის ყველაზე თავისუფალი მაგალითია. ის შეიცავს არამარტო ფაქტის ანალიზს, არამედ ირონიასაც. ასეთი დასასრული, ჩვეულებრივ, საერთაშორისო ახალ ამბებს ახასიათებს, სადაც ჟურნალისტი სიტუაციის აღწერასთან ერთად მის შეჯამებასაც გვთავაზობს.

სტატია მკვეთრად გამოყოფილი დასასრულით უფრო დამახასიათებელია *ანალიზისთვის*, რომელიც ცალკე უანრადაა გამოყოფილი. ჩვეულებრივ, ახალი ამბავი, უმეტეს შემთხვევაში, რესპოდენტის ციტატით სრულდება, რომელიც სიტუაციას აფასებს. მაგალითად, ერთ-ერთი სტატია, რომელიც ავღანეთის ომში დაღუპულთა რიცხვს ეხება, შემდეგი ციტატით მთავრდება:

“In fact, this rate was far higher in the Afghanistan conflict - perhaps four times higher - than in the 1999 Balkans was.”(The Guardian Weekly, February 14-20, 2002).

“ფაქტია, რომ ეს რიცხვი უფრო მაღალი იყო ავღანეთში კონფლიქტის დროს- შესაძლოა ოთხჯერ უფრო მაღალი - ვიდრე 1999 წელს ბალკანეთში.” (გარდიან ვიკლი, 14-20 თებერვალი, 2002).

თუ დასასრული დასკვნის ფუნქციას ასრულებს და ავტორის სიტყვებითაა გადმოცემული, მაშინ სტატია ახალი ამბის ანალიზად შეიძლება მივიჩნიოთ, რადგან შეფასება და ანალიზი ამ ტიპის სტატიისთვისაა დამახასიათებელი.

*“Mr. Da Silva’s victory would be in the most potent of recent political shifts in Latin America against globalisation. He is likely to become Brazil’s first leftwing president since Goulart was ousted in 1964.”* (The Guardian Weekly, October 10-16, 2002).

“ბატონი და სილვას გამარჯვება ერთ-ერთი ყველაზე ძველამოსილი ბოლოდროინდელი პოლიტიკური ცვლილება იქნება ლათინურ ამერიკაში გლობალიზაციის წინააღმდეგ. და სილვა ბრაზილიის პირველი მემარცხენე პრეზიდენტი გახდება 1964 წელს პრეზიდენტ გულარტის გადდების შემდეგ.” (გარდიან ვიკლი, 10-16 ოქტომბერი, 2002).

ზემოთმოყვანილი კონკრეტული მაგალითი საერთაშორისო ახალი და ახალი ამბის ანალიზს წარმოადგენს. ის ამოღებულია საერთაშორისო ახალი ამბების გვერდიდან და აგრეთვე მოიცავს ანალიზს.

არსებული ლიტერატურა აგრეთვე განასხვავებს სტატიის ერთ-ერთ ფორმატს – *ჩამონათვალის ტექნიკას*. (რიჩი, 1994). აღსანიშნავია, რომ ჩამონათვალის ტექნიკა არ გამოხატავს სრულფასოვანი სტატიის ფორმატს. ჩამონათვალი გაზეთში ხშირად ერთვის სტატიას. დამატებითი ინფორმაცია, რომელსაც ჩამონათვალი შეიცავს, ხშირად ჩარჩოშია ჩასმული. ასე რომ, ჩამონათვალი შესაძლოა იყოს მოცემული - ტექსტურ ჩარჩოში (text box) ან გვერდითა სვეტში (sidebar). თუ ჩამონათვალი გამოყენებულია საგაზეთო სტატიაში, იგი სტატიის მხოლოდ ნაწილია და მთლიანად ფორმატს არ განსაზღვრავს. ქვემოთმოყვანილი მაგალითი ამოვიღეთ სტატიიდან თანაბარი მნიშვნელობის ფაქტებით, რომლის შუა ნაწილშიც ინფორმაცია ჩამონათვალის ტექნიკითაა მოცემული. სტატია 2003 წელს დაიბეჭდა ჟურნალში USA Today.



“Among other developments:

- The Turkish parliament approved a plan to let U.S. warplanes fly over Turkey in the war against Iraq. The measure falls short of Washington’s initial request for permission to base 62,000 troops in the country.
- The Vatican expressed “deep pain” over the start of the U.S.-led war in Iraq, faulting both sides for failing to find a peaceful solution. Pope John Paul II dedicated a dawn Mass in his private chapel to peace.
- Security concerns about terrorist attacks in the USA focused on nuclear power plants, with security fortified at generating stations in Alabama, Arizona, Maryland and Ohio. Security nationwide remained at its highest level since the September 11 attack.” (USA Today, March 21,2003).

“სხვა მოვლენებთან ერთად:

- თურქეთის პარლამენტმა მოიწონა გეგმა, რომელიც უფლებას აძლევს ამერიკულ საომარ თვითმფრინავებს თურქეთის საჰაერო სივრცე ერაყთან ბრძოლის დროს გამოიყენონ. ეს უფლება არ ითვალისწინებს ვაშინგტონის პირვანდელ თხოვნას, მიეღო ნებართვა განეღებინა 62 000 ქვეითი ჯარისკაცი ქვეყნის ტერიტორიაზე.
- ვატიკანმა “ღრმა მწუხარება” გამოთქვა ამერიკის მიერ ერაყთან ომის წამოწყების გამო და ორივე მხარე გააკრიტიკა, რომ ვერ შეძლეს მშვიდობიანი გადაწყვეტილების მიღება. პაპმა ჯონ პოლ II თავის სამლოცველოში საღამოს მესა მიუძღვნა მშვიდობის დამყარებას.
- ტერორისტული თავდასხმებისგან თავის დასაცავად ამერიკაში ბირთვული ქარხნების უსაფრთხოების საკითხი დადგა და დაცვა გაძლიერდა გენერაციულ სადგურებზე შემდეგ შტატებში ალაბამა, არიზონა, მერილენდი და ოჰაიო. უსაფრთხოებაზე ზრუნვა მოელო

ქვეყნის მასშტაბით უმნიშვნელოვანესი საკითხია 11 სექტემბრის თავდასხმის შემდეგ.” (USA Today, March 21, 2003).

ამ მაგალითიდანაც ნათლად ჩანს, რომ ჩამონათვალის ტექნიკა ზოგადად სტატიის ფორმატი არ არის.

კვლევის საფუძველზე შევეცადე, დამედგინა ახალ ამბებში ზემოთ მოცემული სტრუქტურებიდან რომელი იყო ამ ჟანრისთვის ყველაზე დამახასიათებელი. შემთხვევითი შერჩევის პრინციპით შეირჩა სულ 120 სტატია ბრიტანული და ამერიკული პრესიდან. მონაცემების SPSS-ში დამუშავების შედეგად მივიღე შემდეგი:

#### ბრიტანული პრესა

გადმოტრიალებული პირამიდის სტილი	88.3
დაყოვნებული ინტერესის მქონე სტატია	1.7
ჩამონათვალის ტექნიკა	1.7
ქვიშის საათის სტილი	5.0
სტატია თანაბარი მნიშვნელობის ფაქტებით	0
სტატია დასასრულით	3.3

#### ამერიკული პრესა

გადმოტრიალებული პირამიდის სტილი	85.0
დაყოვნებული ინტერესის მქონე სტატია	0
ჩამონათვალის ტექნიკა	1.7
ქვიშის საათის სტილი	0
სტატია თანაბარი მნიშვნელობის ფაქტებით	6.7

სტატია დასასრულით	6.7
-------------------	-----

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე ბრიტანულ და ამერიკულ პრესაში ახალი ამბებისათვის ყველაზე მეტად დამახასიათებელი სტრუქტურა-გადმოტრიალებული პირამიდის სტილია.

**ახალი ამბების ლიდი**

ლიდი, ძირითადად, სტატიის პირველი აბზაცია. საინტერესოა, არსებობს თუ არა მნიშვნელოვანი განსხვავება ლიდის ზომის მიხედვით ბრიტანულ და ამერიკულ პრესაში. ამ მიზნით შემთხვევითი შერჩევის პრინციპით შევისწავლე 120 სტატიის ლიდი (60 სტატია ბრიტანული გაზეთიდან და 60 სტატია ამერიკული პრესიდან). კვლევამ უჩვენა, რომ ლიდის საშუალო ზომა ბრიტანულ პრესაში 38 სიტყვაა. ამასთანავე, არსებულ მონაცემებში ყველაზე მცირე ზომის ლიდი 10 სიტყვისგან შედგებოდა, ხოლო ყველაზე დიდი ზომის ლიდი - 84 სიტყვისგან. რაც შეეხება ამერიკულ პრესას სიტყვების საშუალო რაოდენობა ლიდში 39-ს შეადგენდა. ლიდში სიტყვების მინიმალური რაოდენობა იყო 15, ხოლო მაქსიმალური – 77. შესაბამისად, მიუხედავად გავრცელებული აზრისა, რომ ამერიკულ პრესაში ლიდი უფრო ლაკონურია, არსებითი განსხვავება ლიდის ზომებს შორის ბრიტანულ და ამერიკულ პრესაში არ აღინიშნება.

ახალ ამბებში ყველაზე მეტად გავრცელებული ლიდი შემაჯამებელი ლიდია (50%-ზე მეტი). ახალი ამბების ლიდი, ძირითადად, ერთი წინადადებისაგან შედგება, თუმცა გვხვდება ორწინადადებიანი ლიდიც. ლიდში შეზღუდულია სიტყვების რაოდენობაც. ფ. ფედლერი (2001) წერს: “მიჩნეულია, რომ 25 სიტყვიანი ლიდი რთული წასაკითხია, ხოლო 29 სიტყვიანი ლიდი ძალიან რთული. უმჯობესია, რომ ლიდში 18-დან 20-მდე სიტყვა გვექონდეს.” (ფ. ფედლერი, 2001, გვ. 143).

მკვლევართა უმრავლესობა (ბ. იტული და დ. ანდერსონი, 1994; ფ.ფედლერი, 2001; ჯ. ჰუ, 1988; ფ. ნელი, 1999) პირველ რიგში, **შემაჯამებელ ლიდს** ასახელებს. ამ სახის ლიდი შემდეგი სახის კითხვებს სცემს პასუხს:

რა მოხდა?

ვინ იყო ჩართული?

სად მოხდა?

როდის მოხდა?

რატომ მოხდა?

როგორ მოხდა?

შემაჯამებელი ლიდი შესაძლოა ყველა ამ კითხვას ერთად ვერ სცემდეს პასუხს, მაგრამ ამ 6 ელემენტიდან რამდენიმე მთავარ კითხვაზე პასუხი სწორედ ლიდში უნდა ჩანდეს. დანარჩენი კი შემდგომ აბზაცებში გადანაწილდება. ქვემოთმოყვანილი შემაჯამებელი ლიდი სამ კითხვაზე სცემს პასუხს: ვინ, რა, როდის.

“The Bush administration plans to ask the United Nations to lift international penalties against Iraq in phases, retaining United Nations supervision of Iraq’s oil sales for now but transferring other parts of its economy to a new Iraqi authority in coming months, administration officials said today.”(The New York Times, April 19, 2003).

“ბუშის ადმინისტრაცია გეგმავს, თხოვნით მიმართოს გაერთიანებული ერების ორგანიზაციას თანდათანობით შეამსუბუქოს საერთაშორისო სანქციები ერაყის წინააღმდეგ. გაერომ უნდა შეინარჩუნოს ზედამხედველობა ერაყთან ნავთობით ვაჭრობაზე ამჟამად, მაგრამ ეკონომიკის სხვა ასპექტების მართვა ერაყის ახალ მთავრობას მომავალი რამდენიმე თვის განმავლობაში უნდა გადასცეს, განაცხადეს ბუშის ადმინისტრაციის მოხელეებმა დღეს.” (ნიუ იორკ ტაიმსი, 19 აპრილი, 2003).

გარდა შემაჯამებელი ლიდისა ბ. იტული და დ. ანდერსონი (1994) სპეციალურ ლიდებს გამოჰყოფენ, სადაც 6 ტიპია გაერთიანებული.

- 1) ნარატივი
- 2) კონტრასტი
- 3) სტოკატო (თხრობა დანაწევრებულია)
- 4) შეკითხვა
- 5) ციტატა
- 6) არცერთი ზემოთქმული

ჩატარებული კვლევის საფუძველზე აღმოჩნდა, რომ ამერიკულ პრესაში შემდეგი ლიდის ტიპებია გავრცელებული: შემაჯამებელი, კონტრასტული, ციტატა და არცერთი ზემოთქმული (აქ იგულისხმება ის ლიდი, რომელიც არცერთი კონკრეტული ლიდის ტიპს არ შეესაბამება). რაც შეეხება ბრიტანულ პრესას, ლიდის ტიპებს შორის გავრცელებულია შემაჯამებელი, კონტრასტული და ციტატა. ამასთან, შემაჯამებელი ლიდი ყველაზე მეტად არის გავრცელებული (68.3% - ამერიკული პრესა და 76.7% - ბრიტანული პრესა). შედარებით ნაკლებად, მაგრამ მნიშვნელოვნად არის გავრცელებული ლიდი - ციტატა, რომელიც ხშირად მოცემულია ირიბ თქმაში (16.7% - ამერიკულ პრესაში, ხოლო 18.3% - ბრიტანულ პრესაში). ქვემოთ მოცემულია ცხრილი, რომელიც გვთავაზობს კვლევის შედეგად მიღებულ მონაცემებს ლიდის ტიპებისა და გავრცელების მიხედვით.

ლიდის ტიპი	ამერიკული პრესა	ბრიტანული პრესა
შემაჯამებელი ლიდი	68.3%	76.7%
ციტატა	16.7%	18.3%
კონტრასტული ლიდი	13.3%	5.0%
არცერთი ზემოთქმული	1.7%	-
	100%	100%

როგორც ზემოთაა აღნიშნული, ლიდი - ციტატა უმეტესად ირიბ თქმაშია და შესაბამისად, უფრო მეტად შემაჯამებელი ლიდის ფუნქციას ასრულებს. თუმცა, მიზანშეწონილად მიმაჩნია ლიდის ამ ტიპის ცალკე გამოყოფა, რადგან საკმაოდ გავრცელებულია და არსებულ ლიტერატურაშიც დამკვირდებულია.

“President Bush today rejected criticism that he had exaggerated the urgency of going to war with Iraq and said American forces were ‘on the hunt’ for Saddam Hussein.” (The New York Times, July 31, 2003)

“დღეს პრეზიდენტმა ბუშმა უარყო კრიტიკა იმის შესახებ, რომ მან გააზვიადა ერაყთან ომის აუცილებლობა და განაცხადა, რომ ამერიკელი

ჯარისკაცები ‘დაგეშილები იყვნენ’ სადამ ჰუსეინზე.” (ნიუ იორკ ტაიმსი, 31 ივლისი, 2003).

კონტრასტული ლიდი, როგორც წესი, ორ განსხვავებულ სურათს აღწერს.

“*As the standoff over Iraq intensifies* and worldwide protests against a United States-led strike to disarm Saddam Hussein grow, *American sailors aboard* one of the country’s premier aircraft carriers, at sea for longer than any carrier since the Persian Gulf War, are struggling to maintain morale.” (The New York Times, March 11, 2003).

“მაშინ როდესაც განხეთქილება ერაყის შესახებ ღრმავდება და სადამ ჰუსეინის განიარაღების მიზნით აშშ-ს მიერ წარმოებული კამპანიისადმი მსოფლიო პროტესტი ძლიერდება, ამერიკელი მეზღვაურები, მესაჭეები ქვეყნის ერთ-ერთი უმთავრესი ხომალდის რომელიც ზღვაში სპარსეთის ყურის ომის შემდეგ ყველაზე დიდხანს იმყოფება, სულისკეთების შესანარჩუნებლად იბრძვიან.” (ნიუ იორკ ტაიმსი, 11 მარტი, 2003).

ავტორი აღწერს სიტუაციას და ორ განსხვავებულ ფაქტზე ამახვილებს ყურადღებას, კერძოდ, პარალელს ავლებს მშვიდობის მოთხოვნით გაფიცვასა და ამერიკის შეერთებული შტატების საზღვაო ძალებში გამეფებულ განწყობას შორის. კონტრასტი, მოცემულ შემთხვევაში, მიიღწევა დასაწყისში მოცემული კავშირით as (მაშინ როდესაც) და ორი განსხვავებული აზრის ასინდეტური შეერთებით. ჯორჯ ჰუ (1988) შემაჯამებელი ლიდის ორ ვარიანტს გამოჰყოფს: “ბრმა ლიდი” (blind lead) და დაყოვნებული იდენტიფიკაციის ლიდი (delayed-identification lead). (ჯ. ჰუ, 1988). “ბრმა ლიდს” (blind lead) ჯ. ჰუ (1988) შემდეგნაირად ხსნის – “ის საშუალებას აძლევს ავტორს სწრაფად გადავიდეს ამბავზე, პირველი აბზაცის გადატვირთვის გარეშე . . . ის ზღუდავს ინფორმაციას პირველ აბზაცში და ნაწილს მეორე აბზაცში გვაწვდის.” (ჯ. ჰუ, 1988). <sup>(1)</sup> ჯ. ჰუს (1988) განმარტებით დაყოვნებული იდენტიფიკაციის ლიდში

---

<sup>(1)</sup> “A four-year-old Carolton boy was injured Saturday when he ran in front of a pickup truck on Main Street. William Abbott of 26 W. Main St. in stable condition at Carolton General hospital.” (ჯ. ჰუ, 1988)

(delayed-identification lead) სახელი პირველ აბზაცშია მოცემული და დანარჩენი ინფორმაცია მეორე აბზაცშია განთავსებული.

ფრანსუა ნელი (1999) ახალი ამბების ლიდის 4 ტიპს გამოჰყოფს: მრავალელებმენტიანი ლიდი, მყისიერი იდენტიფიკაციის ლიდი, დაყოვნებული ლიდი, შემაჯამებელი ლიდი.

უნდა აღინიშნოს, რომ ამ კვლევის ფარგლებში შეკრებილ ნიმუშებში არ აღმოჩნდა მრავალელებმენტიანი ლიდის მაგალითის არცერთი შემთხვევა, რაც მიუთითებს რომ, სავარაუდოდ, ამ ტიპის ლიდი ფართოდ გავრცელებული არ უნდა იყოს.

ჯ. ჰუს მსგავსად ფ. ნელი (1999) თვლის, რომ მყისიერი იდენტიფიკაციის ლიდში რესპოდენტის სახელი და გვარი პირდაპირაა დასახელებული, ხოლო დაყოვნებულ ლიდში იდენტიფიკაცია თავიდანვე არ არის მოცემული.

ნელის (1999) მიერ გამოყოფილი მყისიერი იდენტიფიკაციისა და დაყოვნებული იდენტიფიკაციის ლიდები (მათი ფუნქციიდან გამომდინარე) შემაჯამებელი ლიდის ვარიანტებად შეიძლება იყოს განხილული, რადგანაც ორივე ტიპის ლიდი შინაარსობრივად ახალ ამბავს აჯამებს. სრული იდენტიფიკაცია შესაძლოა თავიდანვე იყოს მოცემული სტატიის დასაწყისში ან შემდგომ აბზაცში, რომელიც ლიდს უკვე აღარ წარმოადგენს. ქვემოთ მოცემულია შემაჯამებელი ლიდის მაგალითი, რომელიც რესპოდენტის იდენტიფიკაციას თავიდანვე არ ახდენს.

“Using an experimental drug injected once a month, medical researchers have blunted peanut allergies, protecting people from reacting so violently that their lives could be threatened if they accidentally ate as little as a fraction of a peanut.” (The New York Times, March 11, 2003).

“ექსპერიმენტალური წამლის გადასხმით თვეში ერთხელ სამედიცინო სფეროს მკვლევარებმა შეამსუბუქეს მიწის თხილის ალერგია და დაიცვეს ადამიანები შიშისგან, რომ მათ სიცოცხლეს შესაძლოა საფრთხე სერიოზულად დაემუქროს თუ პატარა ნამცეციც კი შემთხვევით მიიღეს.” (ნიუ იორკ ტაიმსი, 11 მარტი, 2003).

ამ ლიდში უფრო მნიშვნელოვანია იმის აღნიშვნა, თუ რა აღმოაჩინეს, ვიდრე ვინ მოახერხა ეს. ამიტომაც, ლიდში “ვინ” დასახელებულია ზოგადად სამედიცინო მკვლევარები (medical researchers). ქვემოთმოყვანილი შემაჯამებელი ლიდი თავიდანვე ახდენს იდენტიფიკაციას.

“*Mayor Michael R. Bloomberg* summoned Broadway musicians and producers to Gracie Mansion last night for round-the-clock negotiations . . .” (The New York Times, March 11, 2003).

“გასულ ღამეს მერმა მაიკლ რ. ბლუმბერგმა მოიწვია ბროდვეის მუსიკოსები და პროდიუსერები გრეისი მენშენში ხანგრძლივი მოლაპარაკებების გასამართად. . . .” (ნიუ იორკ ტაიმსი, 11 მარტი, 2003).

როგორც ზემოთ აღვნიშნე, შემაჯამებელი ლიდის ფუნქცია ირიბ თქმაში შესაძლოა ციტატამაც შეასრულოს:

“*Saddam Hussein* may be playing a significant role in coordinating and directing attacks by his loyalist against American forces in Iraq, senior American officials said Thursday.” (The New York Times, October 31, 2003)

“სადამ ჰუსეინი, შესაძლოა, მნიშვნელოვან როლს თამაშობდეს მისი ერთგული ხალხის მიერ ერაყში ამერიკის ჯარების წინააღმდეგ თავდასხმების კოორდინირებასა და მართვაში, განაცხადა მაღალი რანგის ამერიკელმა მოხელემ ხუთშაბათს.” (ნიუ იორკ ტაიმსი, 31 ოქტომბერი, 2003).

ამ ლიდში შემდეგ კითხვებზეა პასუხი გაცემული- ვინ? რა? სად? როდის? და გამოხატავს რესპოდენტის მოსაზრებას.

როგორც წესი, ახალი ამბების ლიდის სტრუქტურა მარტივია. აქ შემდეგი წყობაა გავრცელებული *ქვემდებარე-შემასმენელი (რომელიც მოქმედებით გვარშია და გარდამავალია) და ობიექტი*. ფ. ფედლერი (2001) შენიშნავს, რომ “თუ ამ წყობიდან გადახვევას ვხვდებით, ეს გამოწვეულია იმით, რომ ჟურნალისტი ამბის სხვა ელემენტებსაც უსვამს ხაზს.” (ფ.ფედლერი, 2001, გვ.133).



“An American Black Hawk crashed near Saddam Hussein’s hometown in Iraq Friday, *killing* six people on board in the second deadly downing of a U.S. helicopter in five days.” (The New York Times, Feb. 16, 2003)

“პარასკევს ამერიკულმა შვეულმფრენმა ავარია განიცადა სადამ ჰუსეინის მშობლიური ქალაქის მახლობლად ერაყში, ბორღზე მყოფი ექვსი ადამიანი გარდაიცვალა. ბოლო ხუთი დღის განმავლობაში ეს ამერიკული შვეულმფრენის უკვე მეორე კატასტროფაა, რომელიც სიკვდილით დასრულდა.” (ნიუ იორკ ტაიმსი, 16 თებერვალი, 2003).

იმ მიზნით, რომ ავტორმა სხვა ელემენტებიც ჩართოს ლიდში, იგი აწყო დროის მიმდებარე ფორმას იყენებს. როგორც საკვლევი მასალა გვიჩვენებს, ლიდში სხვა ელემენტების ჩასართავად ხშირად გამოყენებული ინგ-იანი ფორმები. ამასთანავე, აღსანიშნავია, რომ ლიდში, ძირითადად, ასინდეტური შეერთებები გვხვდება. ქვემოთმოყვანილ მაგალითში დამატებითი ელემენტები ლიდში კავშირის as შემდეგ არის მოცემული:

“Michael Howard *vowed to turn* the Tories into ‘the most effective political campaigning machine in the world’ yesterday *as* he placed one of Britain’s top media fixers in charge of relations with the press.” (The Daily Telegraph, November 21, 2003).

“გუშინ როდესაც ბრიტანეთის ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი მედია შუამავალი პრესასთან ურთიერთობის ხელმძღვანელად დაასახელა, მაიკლ ჰოვარდმა დაიფიცა, რომ იგი ტორებს ‘მსოფლიოში ყველაზე ეფექტურ ძალად გადააქცევდა პოლიტიკურ კამპანიაში.’ ” (დეილი ტელეგრაფი, 21 ნოემბერი, 2003).

ეს ლიდიც მიჰყვება ფორმულას: ქვემდებარე – შემასმენელი - დამატება, რაც გავრცობილია as კავშირით შემოტანილი მიზეზის გარემოების ქვეწყობილი წინადადებით. ლიდში ზმნის to vow-ს გამოყენება ამდაფრებს მკითხველში ამბის აღქმას.

მაშასადამე, ახალი ამბებისათვის დამახასიათებელია შემაჯამებელი ლიდი, რომელიც 6 ძირითადი კითხვიდან ყველაზე მთავარს სცემს პასუხს. შემაჯამებელ ლიდში შეიძლება გვქონდეს დაყოვნებული ან მყისიერი

იდენტიფიკაცია. ამასთანავე, შემაჯამებელი ლიდის ფუნქცია შესაძლოა ციტატამაც შეასრულოს. ამიტომაც, ხშირად გვხვდება ლიდის სახით ციტატა. ახალ ამბებში, აგრეთვე, ფართოდაა გავრცელებული კონტრასტული ლიდი. კონტრასტული ლიდი უფრო მეტად ამერიკული პრესისასთვის არის დამახასიათებელი, თუმცა ნაკლები სიხშირით ბრიტანულ პრესაშიც არის მოცემული.

### **შეფასება ახალ ამბებში**

დასავლურ ჟურნალისტიკაში ჟანრის განსაზღვრისას განასხვავებენ ფაქტს (მოვლენას), ანალიზსა და ინდივიდუალურ აზრს.

ფაქტი, მოვლენა გვხვდება ნებისმიერი სახის სტატიაში, მასზე იგება ამბავი, ფაქტის არარსებობის შემთხვევაში შეუძლებელი იქნებოდა სტატიის შექმნა. მოვლენის აღსაქმელად, როგორც ზემოთაა აღნიშნული, აუცილებელია სამყაროს შესახებ გარკვეული ცოდნა (კულტურული, ლინგვისტური, კონკრეტული სპეციალიზირებული საკითხის ცოდნა და ა.შ.). ახალი ამბავი აგებულია, როგორც წესი, არსებული ცოდნის საფუძველზე და “ახალ ცოდნაზე” – ახალ ფაქტზე. მაგალითად,

“U.S. ground troops overran Baghdad’s outer defenses today in a swift attack . . .” (The Washington Post, April 3, 2003).

“ამერიკულმა სახმელეთო ჯარებმა გაანადგურეს ბაღდადის გარე თავდაცვა დღეს ხანმოკლე შეტაკების დროს. . . .” (ვაშინგტონ პოსტი, 3 აპრილი, 2003).

ერთი და იგივე მოვლენა შესაძლოა საფუძველად დაედოს სვეტს, ახალ ამბავსა და ნარკვევს.

ანალიზი სტატიაში ისეთი მოსაზრების ან მოვლენის გადმოცემას აღნიშნავს, რაც უკვე ცნობილი და მიღებულია. ამასთანავე, ანალიზში ხშირად მოიაზრება ჟურნალისტიკის მიერ მოვლენების დაკავშირების უნარი და საკითხის საფუძველიანი ცოდნა. მაგალითად,

“Senior U.S. commanders expressed confidence that their troops have crushed of the six Republican Guard divisions ringing Baghdad severely damaged two others and effectively cut off the capital from the southern and eastern sections of the country. They also reported signs that Hussein’s control over his forces appeared to be weakening in the face of relentless U.S. bombing. *But the same commanders also voiced fear that*, with U.S. troops pulling so close to Baghdad, Iraqi generals might order a chemical weapons attack . . .”(The Washington Post, April 3, 2003).

“მაღალი-რანგის ამერიკელმა სარდლებმა დარწმუნებით განაცხადეს, რომ მათმა ჯარებმა ბაღდადზე გარშემორტყმული რესპუბლიკური დაცვის ექვსი დივიზია დაამარცხეს, მნიშვნელოვნად დააზიანეს ორი დანარჩენი და ეფექტურად გათიშეს დედაქალაქი ქვეყნის სამხრეთ და აღმოსავლეთ ნაწილებისგან. მათ აგრეთვე განაცხადეს, რომ ამერიკის მხრიდან გამუდმებული დაბომბვების შედეგად აშკარად ჩნდებოდა ჰუსეინის კონტროლის შესუსტების ნიშნები მის ჯარებზე. მაგრამ იმავე მთავარსარდლებმა აგრეთვე გაახმოვანეს შიში, რომ ამერიკელი ჯარები ისე უახლოვდებოდნენ ბაღდადს, რომ ერაყის გენერლებს შეეძლოთ გამოეყენებინათ ქიმიური იარაღი . . . “ (ვაშინგტონ პოსტი, 3 აპრილი, 2003).

ამ კონკრეტულ მაგალითში სტატიის ავტორი არც იწუნებს და არც იწონებს სარდლების მოსაზრებას, იგი უბრალოდ ახმოვანებს მათ განცხადებას. აქ ახალი ამბის გადმოცემა, ჩვეულებისამებრ, იმპერსონალურია, რადგან არ ჩანს ჟურნალისტის აზრი. ახალ ამბებში არ გვხვდება პირველი პირის ნაცვალსახელი I.

ადამიანის აზროვნება, ზოგადად, ასახავს საგაზეთო სტატიების იერარქიას. კერძოდ, ჯერ ჩნდება მოვლენა - ფაქტი, შემდეგში ადამიანი აკეთებს ამ ფაქტის - მოვლენის ანალიზს ანუ პარალელს ავლებს სხვა მოვლენებთან, ითვალისწინებს ზოგად ღირებულებებს და ბოლო ეტაპზე - ადამიანი გამოხატავს ინდივიდუალურ აზრს ანუ აყალიბებს საკუთარ შეხედულებას კონკრეტული მოვლენის შესახებ. რაც შეეხება გაზეთს, ძირითადად, ახალ ამბებში გვხვდება ფაქტები, ზოგჯერ მოცემულია ანალიზიც,

თუმცა ეს უკანასკნელი არ არის აუცილებელი მახასიათებელი. ნარკვევში აქცენტი გაკეთებულია ფაქტის აღწერასა და ანალიზზე, რაც თავის მხრივ, დაფუძნებულია ფაქტებზე. ხოლო წერილში რედაქციისაგან ან კომენტარში, ყველა ზემო მომენტთან ერთად, ჩნდება ინდივიდუალური აზრიც. ახალ ამბებში ანალიზი აქტუალიზდება შენიშვნით, ციტატით, სტატიის სპეციფიკური დასასრულით. ანალიზი ხშირად გადმოცემულია შენიშვნით, რომელიც კონკრეტულ ფაქტზეა დამყარებული.

"So Mr. Bush *is continuing to refer as broadly as possible* to the sacrifice of all, as when reporters asked him in California on Tuesday to comment directly on the attack against the helicopter.

'I am saddened that there's a loss of life,' replied Mr. Bush.' " (The New York Times, Nov. 5, 2003)

“ასე რომ, ბატონი ბუში ისევ ცდილობს, ზოგადად მოიხსენიოს ყველას მიერ გაღებული მსხვერლი, როდესაც ჟურნალისტებმა სთხოვეს მას კალიფორნიაში, სამშაბათს კომენტარი გაეკეთებინა შვეულმფრენის წინააღმდეგ თავდასხმაზე. ‘მე ვწუხვარ, რომ არის მსხვერპლი,’ უპასუხა ბატონმა ბუშმა.” (ნიუ იორკ ტაიმსი, 5 ნოემბერი, 2003).

ამ მაგალითში ჟურნალისტი შენიშნავს, რომ პრეზიდენტი ბუში ზოგად კომენტარს აკეთებს. შემდგომში, ამ დაკვირვებას ციტატით განამტკიცებს. ეს მაგალითი ცხადყოფს, რომ ამ კონკრეტული ფაქტის ანალიზი რემარკის სახითაა გამოხატული და ინდივიდუალურ აზრად ვერ ჩაითვლება, რადგანაც ის უფრო ფაქტის კონსტატაციაა, ხოლო ინდივიდუალური აზრი უფრო მეტად თავისუფალ მსჯელობასა და ფაქტების ინტერპრეტაციაზეა დამყარებული.

ქვემოთოყვანილ მაგალითში ჟურნალისტი, ისევ შენიშვნის მეშვეობით, აკეთებს ანალიზს. სტატიაში შეჯამებულია ჩინეთის მიერ გატარებული ღონისძიებები, შემდგომ აბზაცში კი ამ ღონისძიებების ჩამონათვალი გვაქვს. გარდა ამისა, შენიშვნა ანალიზური ელემენტია, ის გარკვეულწილად წინასწარ ამზადებს მკითხველს შემდგომი აბზაცისათვის.

"In the past week China *has become much more transparent* in its reporting of cases and *more draconian* in stamping out the spread of the disease . . .

The heads of government were expected to endorse and perhaps expand on the recommendations made by their ministers last weekend: screening all departing passengers and banning any traveller who shows symptoms of sars; putting all suspects under surveillance; making all travellers from infected countries complete health declarations." (The Guardian Weekly, May1-7, 2003).

“გასულ კვირას ჩინეთი გაცილებით უფრო მეტად ღია გახდა შემთხვევების გაშუქებისას და უფრო მკაცრი დაავადების გავრცელების შეჩერების მიზნით. . .

მთავრობის მესვეურებისგან ელოდებოდნენ მათი მინისტრების მიერ მიღებული რეკომენდაციების გავრცელებას გასულ კვირას, კერძოდ: ქვეყნიდან გამსვლელი ყველა მგზავრის შემოწმებას და ყველა პირისთვის, ვინც მძიმე რესპირატორული დაავადების სიმპტომებს ამჟღავნებდა ქვეყანაში შესვლის აკრძალვას; ყველა საეჭვო პირის ზედამხედველობის ქვეშ აყვანას და ყველა მგზავრისთვის იმ ქვეყნებიდან, სადაც დაავადება გავრცელებულია ჯანმრთელობის დეკლარაციის შევსების მოთხოვნას.” (გარდიან ვიკლი, 1-7 მაისი, 2003).

ამ მაგალითში რემარკა აქტუალიზებულია ზედსართავ სახელებში: უფრო ღია (გამჭვირვალე), უფრო მკაცრი. . . more transparent, more draconian.

შენიშვნა ფაქტის აღწერაზეც შეიძლება იყოს დაფუძნებული. მაგალითად,

"Baghdad, meanwhile, was unnerved Thursday by more explosions and a terrorist threat against school children." (The New York Times, October 31, 2003).

“ბაღდადი აუღელვებელი რჩებოდა უფრო მეტი აფეთქებებისა და სკოლის ბავშვებისადმი ტერორისტული მუქარის ფონზე.” (ნიუ იორკ ტაიმსი, 31 ოქტომბერი, 2003).

სტატიის ავტორი ფრაზით - *was unnerved* ( *აუღელვებელი რჩებოდა*) – აღწერს ბაღდადის მდგომარეობას.

შემდეგი მაგალითი შენიშვნის ერთ-ერთ სახედ შეიძლება ჩაითვალოს:

"Marlin Fitzwater, who was White House press secretary to President Bush's father, recalled that the elder Mr. Bush 'went to a number of memorial ceremonies' where he met with families of troops killed in action in the Persian Gulf war of 1991. At that time of that war, the Pentagon barred media coverage of coffins arriving at Dover Air Force Base in Delaware. The ban was relaxed during the Clinton administration, but then reinforced by the second Bush administration in the run-up to the current hostilities in Iraq." (The New York Times, Nov. 5, 2003).

“მარლინ ფიცვოტერი, პრეზიდენტ ბუში უფროსის დროს თეთრი სახლის პრეს მდივანი, იხსენებდა, რომ უფროსი ბატონი ბუში ‘რამდენიმე მემორიალურ ცერემონიას დაესწრო’, სადაც იგი შეხვდა ჯარისკაცების ოჯახებს, რომლებიც გარდაიცვალნენ სპარსეთის ყურეში საომარი მოქმედებების შედეგად 1991 წელს. იმ პერიოდში ომის დროს, პენტაგონმა აკრძალა კუბოების გადაღება დავერის საჰაერო ძალების ბაზაზე დელავერში. ეს აკრძალვა მოიხსნა კლინტონის ადმინისტრაციის დროს, მაგრამ შემდგომში, ისევ მიღებულ იქნა მეორე ბუშის ადმინისტრაციის მიერ ერაყთან მიმდინარე დაპირისპირებების ფონზე.” (ნიუ იორკ ტაიმსი, 5 ნოემბერი, 2003).

ავტორი ხაზს უსვამს გარკვეულ ისტორიულ ფაქტებს, რომელიც მკითხველს ზოგად წარმოდგენას უქმნის, თუმცა არაა ახსნილი მათი მნიშვნელობა, არ ჩანს ჟურნალისტის პირადი აზრი. ეს კონკრეტული მინიშნება მკითხველს სხვადასხვა ინტერპრეტაციის საშუალებას აძლევს. ჟურნალისტის მხრიდან ასეთი შემთხვევები კი სიტუაციისა და ფაქტების აღწერაა. იმპერსონალურია შემდეგი მაგალითიც:

"Mr. Rumsfeld, who routinely cautions that the American military is not designed for manhunts, also said that . . ." (The New York Times, Nov. 7, 2003).

“ბატონი რამსფელდი, რომელიც მუდმივად გვაფრთხილებს რომ ამერიკული ჯარები არ არიან გაწვრთნილი ადამიანების დასაჭერად, აგრეთვე აცხადებს რომ . . . .” (ნიუ იორკ ტაიმსი, 7 ნოემბერი, 2003).

ფრაზა - *მუდმივად გვაფრთხილებს (routinely cautions)* - ძლიერი კონოტაციის სიტყვებისაგან შედგება, თუმცა მასში არ ჩანს ინდივიდუალური აზრი. შემთხვევითი პრინციპით შერჩეული 60 ახალი ამბების სტატიიდან 38%-ში გვხვდება შენიშვნა, რომელიც ემსახურება ანალიზს სტატიაში, თუმცა შენიშვნა ფაქტზეა დაფუძნებული და არაპერსონალურია.

ახალ ამბებში შეფასება გადმოცემულია, როგორც წესი, ციტატით და ზოგადად ანალიზის ფართო სურათის ჩვენებას ემსახურება, რადგანაც თუ მკითხველს საშუალება აქვს, გაიგოს სხვადასხვა ავტორიტეტული პირის მოსაზრება ამა თუ იმ მოვლენის შესახებ, იგი თავისდაუნებურად მოვლენის გაანალიზებასაც იწყებს. ახალ ამბებში ციტატის მეშვეობით შეიძლება გაჩნდეს ინდივიდუალური აზრი სტატიაში, მაგრამ, მეორე მხრივ, ციტატაც ფაქტის ტოლფასია, რადგან იგი სტატიის ავტორს არ ეკუთვნის.

“In March, during his only trip to Afghanistan in office, he met a wounded soldier, maybe 19, who had lost three limbs. “I go into a place like this, I go to Walter Reed — it’s just hard for me to think of anything to say,” an emotional Mr. Obama told advisers as he left.” (The New York Times, August 28, 2010).

“მარტში, ავღანეთში მისი პირველი ვიზიტისას, ის შეხვდა დაჭრილ ჯარისკაცს, რომელიც 19 წლის თუ იქნებოდა, მან სამი კიდური დაკარგა. ‘როცა ასეთ ადგილს ვნახულობ, ვოლტერ რიდში (სამხედრო სამედიცინო ცენტრი ვაშინგტონში) მივდივარ - ჩემთვის ძალიან რთულია რაიმის თქმა,’ განუცხადა ემოციურმა მისტერ ობამამ თავის მრჩეველებს წასვლისას. (ნიუ იორკ ტაიმსი, 28 აგვისტო, 2010).

ზემოთ მოცემულ მაგალითში პრეზიდენტ ბარაკ ობამას ემოცია და შეფასება ჟურნალისტმა ციტატით გადმოსცა და შენიშვნის მეშვეობით, რომელიც ლინგვისტური თვალსაზრისით ზედსართავი სახელით “ემოციური” (“emotional”) გადმოიცა, ხაზი გაუსვა ციტატით აღწერილ გარემოებას.

შემდეგი ლიდი ციტატით იწყება და ინდივიდუალურ აზრს შეიცავს:

"There are absolutely no grounds for considering homosexual unions to be in any way similar or even remotely analogous to God's plan for marriage and family,' the document said."(The New York Times, July 31, 2003).

“აბსოლუტურად არ არსებობს არანაირი საფუძველი იმისა, რომ ჰომოსექსუალისტური კავშირი რაიმე გზით მაინც ჰგავს ან ოდნავ მაინც არის ქორწინებისა და ოჯახის ღმერთის მიერ შექმნილი გეგმის ანალოგიური,' ნათქვამია დოკუმენტში.” (ნიუ იორკ ტაიმის, 31 ივლისი, 2003).

ციტატა შესაძლოა ფაქტსაც გადმოსცემდეს. მაგალითად,

"The British government, the president said, has learned that Saddam Hussein recently sought significant quantities of uranium from Africa."(The New York Times, July 21, 2003).

“ბრიტანეთის მთავრობამ, განაცხადა პრეზიდენტმა, შეიტყო, რომ სადამ ჰუსეინი ბოლო დროს აფრიკაში ურანიუმის მნიშვნელოვან რაოდენობას ეძებდა.”(ნიუ იორკ ტაიმის, 21 ივლისი, 2003).

ზემომოყვანილი მაგალითების საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ ციტატის საშუალებით ჩნდება ინდივიდუალური აზრი სტატიაში, თუმცა იქედან გამომდინარე, რომ იგი სტატიის ავტორს არ ეკუთვნის, ციტატა სტატიაში ფაქტის ფუნქციას ასრულებს და ახალი ამბის არაპერსონალურობას არ არღვევს.

რაც შეეხება *სტატიას დასასრულით*, ის ძირითადად 2 სახისაა: დასასრული - ციტატა და დასასრული - დასკვნა.

“The ex-minister Tony Worthington, who tried to amend the bill to allow scrutiny, said: ‘On one hand we are forgiving debt, while on the other we are adding to Tanzania’s debt with this order.’” (The Guardian Weekly, December 20-26, 2001).

“ყოფილმა მინისტრმა ტონი ვორთინგტონმა, რომელიც ცდილობდა დოკუმენტის შეცვლას უფრო მეტი განსჯის საშუალების მიზნით განაცხადა: ‘ერთის მხრივ, ჩვენ ვაპატიეთ ვალი, ხოლო მეორეს მხრივ, ამ ბრძანების გამოცემით ტანზანიას გავუზარდეთ ვალის რაოდენობა.’” (გარდიან ვიკლი, 20-26 დეკემბერი, 2001).



ამ მაგალითში სიტუაციის შეჯამება ციტატის საშუალებით ხდება, ჟურნალისტი გვთავაზობს შეფასებას ისე რომ თავად ინდივიდუალურ აზრს არ გამოხატავს.

ახალი ამბების ერთ-ერთ სტრუქტურულ მახასიათებლად მოცემულია სტატია დასასრულით. *დასასრული* ფაქტების ანალიზს წარმოადგენს. დასასრულის პირველივე წინადადებაში მოცემულია ჟურნალისტის მიერ მოვლენათა შეჯამება.

*“Morale among the alliance troops is low for a victorious force. Mostly, strangers to Kabul, they are housed in grim barracks and subsist on meager rations. Wages have not been paid in five months, and what booty was grabbed on the way to Kabul has been cashed in and spent, according to several junior-ranking troops.”* (The Guardian Weekly, December 20-26, 2001).

“მოკავშირე ძალებს შორის გამარჯვებული ძალების მორალი დაბალია. უმეტესად, მათთვის უცხოა ქაბული, ისინი განთავსებულნი არიან ნაცრისფერ ბარაკებში და იკვებებიან უღიმღამო საკვები რაციონით. ხელფასები ბოლო ხუთი თვის მანძილზე არ მიუღიათ, და რაც ჰქონდათ წამოღებული გზაზე ქაბულისკენ უკვე გადაახურდავეს და დახარჯეს, დაბალი რანგის ჯარისკაცებისგან მიღებული ინფორმაციის თანახმად.” (გარდიან ვიკლი, 20-26 ოქტომბერი, 2001).

ამ კონკრეტული მაგალითიდან გამომდინარე ცხადია, რომ ჟურნალისტის ანალიზი და მოვლენათა შეჯამება დამყარებულია მის დაკვირვებაზე, ფაქტებსა და ინტერვიუებზე.

უფრო მეტი თვალსაჩინოებისათვის, ამერიკული გაზეთიდან შემდეგ მაგალითს მოვიყვანო.

“While the Bush administration has blamed Mr. Arafat, there has also been a feeling among some that Israel had not done enough to shore up Mr. Abbas so he could stand up to Mr. Arafat and take action against Hamas and other militant groups” (The New York Times, September 7, 2003).

“სანამ ბუშის ადმინისტრაცია ბატონ არაფატს ადანაშაულებდა, აგრეთვე გაჩნდა მოსაზრება რომ ისრაელმა არ გააკეთა საკმარისი, რომ დახმარებოდა ბატონ აბასს წინააღმდეგობა გაეწია ბატონი არაფატისთვის და მიეღო ზომები

ჰამასისა და სხვა მილიტარული ჯგუფების წინააღმდეგ.” (ნიუ იორკ ტაიმსი, 7 სექტემბერი, 2003).

ეს სტატია დასათაურებულია როგორც ახალი ამბის ანალიზი, news analysis, ანუ სათაურშივე მინიშნებულია, რომ იგი უფრო მოვლენების ანალიზია, ვიდრე მოვლენების პირდაპირი გადმოცემა. ახალი ამბავი ამერიკულ გაზეთში ზედმიწევნით არაპერსონალურია. ახალ ამბებში ანალიზი შესაძლოა გადმოიცეს შენიშვნით, ციტატით და დასასრულით, თუმცა, როგორც წესი, ისინი ფაქტებზე ორიენტირებულია.

ახალი ამბების ყველაზე მთავარი თვისებაა მოვლენების გამაფრება და მათი სიახლის წარმოჩენა. მაგალითად, ახალ ამბავში ნაკლებად გამოიყენება დროის გარემოებები “გუშინ” yestersday ან “წინა დღეს” the day before, ამ შემთხვევაში, ჟურნალისტი თარიღს მიანიშნებს, უფრო ზუსტად კი ფრაზას – “ამ კვირას” this week - იყენებს.

“. . . it was revealed this week.” (The Guardian Weekly, May1-7, 2003). “. . . ეს ნათელი გახდა ამ კვირას.” (გარდიან ვიკლი, 1-7 მაისი, 2003).

ამასთანავე, ეფექტის გამაფრების მიზნით აქცენტი გადადის ზმნებზე და ხშირად გამოიყენება ძლიერი კონოტაციის ზმნები დაფიცება, მოთხოვნა, დაშვება, დაჟინება, თხოვნა, ამბოხება, არგუმენტირება და ა.შ. vow, urge, admit, insist, pledge, rally, argue და ა. შ.

ქვემოთოყვანილ მაგალითში, სტატიის ავტორი ლიდში ზმნას to vow (დაფიცება) იყენებს, რათა უფრო მეტად ეფექტური გახადოს დასაწყისი. ამით იგი ხაზს უსვამს ახალი ამბის მნიშვნელობას.

“President Bush vowed last night to attack Iraq with the ‘full force and might’ of the U.S. military if Saddam Hussein does not flee within 48 hours, setting the nation on an almost certain course to war and denouncing countries that refuse to support him.” (The Washington Post, March 18, 2003).

“გუშინ პრეზიდენტმა ბუშმა დაიფიცა, რომ იერიშს მიიტანდა ერაყზე ამერიკის სამხედრო ძალების ‘მთელი ძალითა და ღონით,’ თუ სადამ ჰუსეინი არ დატოვებდა ქვეყანას 48 საათის განმავლობაში და შესაბამისად, ომის კურსს

აიღებდა და დაგმო ის სახელმწიფოები, რომლებიც სადამ ჰუსეინს დახმარების ხელს გაუწევდნენ.” (ვაშინგტონ პოსტი, 18 მარტი, 2003).

ინფორმაციას ემოციურ ელფერს ანიჭებენ ზმნები გაქცევა, დაგმობა (flee, denounce); ფრაზა *ძალითა და ღონით სავსე* (full of force and might).

ქვემოთყვანილ მაგალითში ჟურნალისტი ცდილობს, გაამძაფროს ჯორჯ გალოვეის აღიარება და გარკვეული წინააღმდეგობა გადმოსცეს, რასაც ზმნების - აღიარება, დაჟინება (concede, insist) - აქტუალიზაციის საშუალებით ახდენს:

“George Galloway conceded last week that intermediaries in his fundraising activities could have siphoned off money from Saddam Hussein- but insisted he had never done so” (The Guardian Weekly, May1-7, 2003).

“გასულ კვირას ჯორჯ გალოვეიმ აღიარა, რომ თანხების მოძიების კამპანიის შუამავლებს შეეძლოთ ფულის მიღება სადამ ჰუსეინისგან - მაგრამ ირწმუნება, რომ ეს არასოდეს მომხდარა.” (გარდიან ვიკლი, 1-7 მაისი, 2003).

ამავე მაგალითში გამოყენებულია კოლოკვიალიზმი - siphon off (მიღება, გადაცემა)

უფრო მეტი სიცხადისთვის კიდევ ერთ მაგალითს მოვიყვანო, სადაც ზმნის - დაპირება, განცხადება (to pledge) - გამოყენება სტატიის ლიდს შთამბეჭდაობას მატებს.

“The French president Jacques Chirac pledged publicly that France ‘would have no choice but to oppose’ a second UN resolution.” (The New York Times, October 31, 2003).

“საფრანგეთის პრეზიდენტმა ჟაკ შირაკმა საჯაროდ განაცხადა, რომ საფრანგეთს ‘არ ექნებოდა სხვა არჩევანი გარდა იმისა რომ წინააღმდეგობა გაეწია’ გაეროს მეორე რეზოლუციისათვის.” (ნიუ იორკ ტაიმსი, 31 ოქტომბერი, 2003).

აქ ფრაზა ‘საჯაროდ განაცხადა’ (დაჰპირდა) (pledge publicly) ხაზს უსვამს ჟაკ შირაკის მდგომარეობას, ცხადია, ‘pledge’ გაცილებით უფრო ეფექტურია, ვიდრე მისი სინონიმი ‘promise’.

როგორც დაკვირვებამ აჩვენა, სტატიაში ასახული მოვლენების გამძაფრება არამარტო ზმნებით, არამედ ზედსართავი სახელების საშუალებითაც შეიძლება მოხდეს.

“The *long search* for justice in the Balkans entered a *dramatic phase this week* when Slobodan Milosevic faced *unprecedented charges* of genocide and crimes against humanity.” (The Guardian Weekly, Feb. 16-20, 2002).

“სამართლიანობის ხანგრძლივი ძიება ბალკანეთში დრამატულ ფაზაში შევიდა ამ კვირას, როდესაც სლობოდან მილოშევიცი კაცობრიობის წინააღმდეგ გენოციდისა და დანაშაულის უპრეცედენტო ბრალდებებს დაუპირისპირდა.” (გარდიან ვიკლი, 16-20 თებერვალი, 2002).

აქ ზედსართავი სახელები - დიდი ხნის, დრამატული, უპრეცედენტო long, dramatic, unprecedented - მეტ სიმძაფრეს ჰმატებენ აღწერას.

ქვემოთმოყვანილ მაგალითში ზედსართავი სახელის საშუალებითაა გამძაფრებული ტექსტში აღწერილი ემოცია.

“He issued a *stark warning* . . . .” (The New York Times, March 18, 2003).

“მან დაუფარავად გააფრთხილა. . . .” (ნიუ იორკ ტაიმსი, 18 მარტი, 2003).

ყოველივე ზემოთ აღწერილის საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ ახალ ამბებში ციტატის, შენიშვნისა და დასასრულის სახით ჩნდება შეფასება, მაგრამ მთავარი კითხვა, რომელსაც მონაცემებისა და მაგალითების ანალიზისას უნდა გავცეთ პასუხი, არის - ვეძებთ თუ არა სუბიექტივიზმის კვალი ახალ ამბებში? ციტატის შერჩევის პროცესის და ობიექტური შენიშვნის მიღმა შესაძლოა ჟურნალისტის სუბიექტური დამოკიდებულება იმალებოდეს ან პრაგმატიკული ინტენცია. ზეპირი კომუნიკაციის დროს ფსიქოლოგიის პროფესორმა ა. ქიტიაშვილმა აღნიშნა, რომ “სუბიექტივიზმი ყოველთვის არსებობს ტექსტში, მაშინაც კი თუ ზედაპირზე არ ჩანს და სჭირდება ღრმა ანალიზი.” (ინტერვიუ, 2 ივლისი, 2011).

## 2.4 ნარკვევი

სტილისტური თვალსაზრისით გაზეთში ერთ-ერთი საინტერესო ჟანრია ნარკვევი, რომელსაც მსუბუქ ახალ ამბავსაც უწოდებენ.

ნარკვევის მიზანი არ არის მხოლოდდამხოლოდ მკითხველის ინფორმირება, რაც ახალი ამბის ფუნქციას წარმოადგენს. ნარკვევმა მკითხველში გარკვეული განცდა უნდა აღძრას და მას ესთეტიური სიამოვნება

უნდა მიანიჭოს. მეღვინ მენხერი (1993) აღნიშნავს, რომ ახალ ამბავსა და ნარკვევს შორის მთავარი განსხვავება ისაა, რომ ახალი ამბავი ინფორმაციას იძლევა, ხოლო ნარკვევის მიზანი უფრო მეტად მკითხველის გართობაა. ამასთანავე, ახალი ამბავი მოვლენის ანგარიშია, ხოლო ნარკვევი მრავალფეროვანი ფორმატით შეიძლება გადმოიცეს. “ზოგიერთი ნარკვევი იუმორისტულია, ზოგიერთი - სერიოზული, ზოგს კი ვერცერთ ჩარჩოში ვერ მოვაქცევთ.” (მ. მენხერი, 1993, გვ. 124).

ქვემოთმოყვანილი მაგალითი ახალ ამბავზე ორიენტირებული ნარკვევიდანაა, ის შემაჯამებელი ლიდით იწყება:

“U.S. Army troops seized the southern edge of this key Euphrates River City today as Iraqi militia fighters appeared to retreat in the face of overwhelming fire power.” (The Washington post, April 2, 2003)

“ამერიკის შეერთებული შტატების ჯარებმა დაიკავეს სამხრეთ ეფრატის სანაპიროს ეს მნიშვნელოვანი ქალაქი დღეს, მაშინ როდესაც ერაყის მილიციის მებრძოლებმა უკან დაიხიეს გაძლიერებული ცეცხლის ქვეშ.” (ვოშინგტონ პოსტი, 2 აპრილი, 2003).

სტატიის შუა ნაწილში მოცემულია აღწერა, თუ როგორ ხვდებოდა მოსახლეობა ჯარისკაცებს. ამბავს უფრო მეტი მნიშვნელობა ემატება მოვლენის ცოცხალი აღწერის ხარჯზე.

“*Hundreds of curious civilians, many of them smiling, waving, lined the narrow, dusty streets* while soldiers from the 101<sup>st</sup> Airborne Division pressed to within half a mile of the *gilded dome of the tomb of Ali*, a site venerated by Shiite Muslims as the burial site of the prophet Muhammad’s son-in-law.” (The Washington post, April 2, 2003).

“ასობით ცნობისმოყვარე მოქალაქე დამწკრივდა ვიწრო, მტვრიან ქუჩებში, უმრავლესობა იღიმებოდა და ხელს უქნევდა, მაშინ როდესაც ჯარისკაცებმა 101-ე საჰაერო დივიზიიდან ნახევარ მილამდე მიაღწიეს აღის საფლავის მოპირკეთებულ გუმბათს, ადგილს, რომელიც მიხნეული იყო შიიტი მუსულმანების მიერ როგორც მოციქული მუჰამედის სიძის დასაფლავების ადგილად.” (ვაშინგტონ პოსტი, 2 აპრილი, 2003).

იმ მიზნით, რომ უფრო ნათლად ჩანდეს განსხვავება ახალ ამბავზე ორიენტირებულ ნარკვევსა და მსუბუქ ნარკვევს შორის, მსუბუქი ნარკვევის მაგალითს მოვიყვან.

“Sarah Thompson had finally been able to get some rest after hours of *tossing and turning*. Then, she recalls, she rolled over and saw her husband tucked under the white covers beside her, and she began to cry. He was not really there or anywhere in their *two-story white town house* just outside Camp Lejeune. He was 6,500 miles away in the desert of Iraq” (The New York Times, April 15, 2003).

“სარა ტომპსონმა როგორც იქნა შეძლო ცოტაოდენი სიმშვიდის მოპოვება საწოლში რამდენიმე საათის ტრიალისა და წრიალის შედეგად. შემდეგ, როგორც იხსენებს, გადატრიალდა და მის გვერდით დაინახა თეთრ საბანში გახვეული მეუღლე და ტირილი დაიწყო. ის [მისი მეუღლე] სინამდვილეში იქ არ იყო და არც სადმე მათ ორსართულიან თეთრ სახლში Camp Lejeune-ის გარეუბანში. ის 6, 500 მილის მოშორებით ერაყის უდაბნოში იმყოფებოდა” (ნიუ იორკ ტაიმსი, 15 აპრილი, 2003).

აქ გვხვდება ამბის დეტალური აღწერა - ორსართულიანი თეთრი სახლი Camp Lejeune-ის გარეუბანში (two-story white town house just outside Camp Lejeune). აღიტერაცია – ტრიალი და წრიალი (tossing and turning) - მხატვრულობას ჰმატებს ლიდს.

მაშასადამე, ახალ ამბავზე ორიენტირებული ნარკვევი, როგორც ტერმინიდან ჩანს, სიახლის ელემენტს შეიცავს. მსუბუქ ნარკვევში აქცენტი მხატვრულობაზე კეთდება. ასეთი სახის სტატია ხშირად ავტორის მხატვრული ხედვით, მის მიერ გამოყენებული სტილისტური ხერხებით გამოირჩევა.

ერთიდაიგივე ამბავი შეიძლება გადმოიცეს როგორც ‘მძიმე’ ახალ ამბად ასევე ნარკვევის სახით (ბ. იტული და დ. ანდერსონი, 1994). მათ 2 მაგალითი მოჰყავთ. პირველ მაგალითში ამბავი გადმოცემულია გადმოტრიალებული პირამიდის ფორმატით, მეორე მაგალითში კი იგივე ამბავი ახალ ამბავზე ორიენტირებული ნარკვევის სახეს იღებს.<sup>(2)</sup>

---

(2) მაგალითი I

პირველი მაგალითი მშრალად და პირდაპირ გადმოსცემს ამბავს, მაშინ როდესაც მეორე მაგალითში ავტორი მთავარ სათქმელს კონკრეტული სცენის აღწერის შემდეგ ამჟღავნებს. ნარკვევში მთავარი აქცენტი უბრალო აღამიანებზე კეთდება, იმათზე ვინც ჩართულია (თუნდაც, არაპირდაპირ) იმ მოვლენებში, რომლებიც სტატიაში კონკრეტული მაგალითის ხარჯზე განიხილება. უფრო მეტი სიცხადისათვის კიდევ ერთ მაგალითს მოვიყვან:

"The Government gave Cambridge University permission yesterday to build a monkey laboratory where scientists will study brain disorders such as autism and Alzheimer's disease." (The Daily Telegraph, November 22,2003).

“გუშინ მთავრობამ უფლება მისცა კემბრიჯის უნივერსიტეტს, აეგო სავარჯიშო ლაბორატორია, სადაც მეცნიერები შეძლებდნენ, შეესწავლათ ისეთი გონებრივი დაავადებები როგორცაა აუტიზმი და ალცჰაიმერის დაავადება.” (დეილი ტელეგრაფი, 22 ნოემბერი, 2003).

ამ შემაჯამებელ ლიდში, რომელიც 25 სიტყვისაგან შედგება, აქცენტი ახალ ამბავზეა გაკეთებული, არ გვხვდება ეპითეტები და აღწერა. აქედან გამომდინარე, ის ახალი ამბისთვის დამახასიათებელი ლიდია, რომელიც ახალი ლაბორატორიის გახსნას ამცნობს მკითხველებს. იმავე გაზეთის ნომერში მოცემულია ნარკვევი, რომელიც ისევ ლაბორატორიის გახსნას ეხება, ამჯერად, ავტორმა გადმოცემის სხვა ხერხს მიმართა.

---

Burglaries have increased in apartment buildings here by more than 200 percent in the last year, and police say that there is little they can do about it.

‘Without a bigger budget and more staff, we are powerless to reduce the wave of crime,’ Lt. Felix Ramiraz of the burglary detail said. ‘The best we can do is hope witnesses will come forth and help us capture the criminals.’

Ramiraz blamed much of the increase on a climbing unemployment rate. He said another major reason is that most apartments in the area are occupied by students, who are at school all day long.

მაგალითი II

It was 5 p.m. Tuesday when Herbert V. Williamson walked in on three men who were burglarizing his apartment.

Panicking, the three thieves ran out and took off in their car. Williamson called the police immediately and then started to cry as he stared at his possessions dumped on the floor.

Fifteen minutes later, three men were arrested by police near the Saxton Street Mall after their car stalled on the back seat were three paintings and hundreds of dollars worth of silver coins and clothing taken from Williamson’s apartment.

Williamson and the three suspects are only a small part in the city’s skyrocketing burglary rate, which has increased more than 200 percent near the university in the last year. Police blame much of the increase on a rising unemployment rate, and they say that there is little they can do about it. (ბ. იტული და დ. ანდერსონი, 1994)

"A patient whose life has changed beyond recognition thanks for research on animals yesterday welcomed the decision to approve the laboratory." (The Daily Telegraph, November 22, 2003).

“პაციენტი, რომლის სიცოცხლე წარმოუდგენლად შეცვალა ცხოველებზე ჩატარებულმა კვლევამ, მიესალმა გუშინდელ გადაწყვეტილებას ლაბორატორიის დაარსების შესახებ.” (დეილი ტელეგრაფი, 22 ნოემბერი, 2003).

სტრუქტურულად კონკრეტულ მაგალითში დაყოფიებული იდენტიფიკაციის მქონე შემაჯამებელი ლიდი გვაქვს. კონკრეტული პიროვნების - მოვლენების უშუალო მონაწილის შემოყვანით ტექსტში, ავტორმა შეძლო მკითხველში ცნობისმოყვარეობის აღძვრა. ამ შემთხვევაში, შესაძლოა ფარულ პრაგმატიკულ ინტენციასაც ვისაუბროთ. პაციენტის მოსაზრების გადმოცემით ავტორს სურს, ლაბორატორიის მნიშვნელობაში დაარწმუნოს მკითხველი.

როგორც ზემოთ აღვნიშნე, ნარკვევი უფრო მეტად მხატვრულია და გამოირჩევა შემდეგი თვისებებით: აქცენტი გადატანილია მოვლენების უშუალო მონაწილეზე, თვითმხილველზე, დაზარალებულზე, უფრო მეტად გვხვდება ფაქტზე დაფუძნებული აღწერა, ახასიათებს ციტატების სიჭარბე ახალ ამბებთან შედარებით.

"To neighbours in the ancient Kashbah, Jamal Zougam was *an affluent expatriate*. They noticed him when he was home from Spain, at the apartment his family kept for holidays. They admired his *jeans and fashionable haircuts*. They knew him socially: he played football with the youngsters on their *concrete-surfaced street*, Rue Ben Ali Ym." (The Guardian Weekly, March 25-31, 2004)

“მეზობლებისათვის უძველეს კაშბაში, ჯამალ ზუგამი გახლდათ გავლენიანი ექსპატრიატი. მას ამჩნევდნენ, როდესაც ის ბრუნდებოდა ესპანეთიდან იმ სახლში, რომელსაც მისი ოჯახი არდადეგებისთვის იყენებდა. ისინი აღფრთოვანებულები იყვნენ მისი ჯინსებითა და მოდური ვარცხნილობით. ისინი მას სოციალურადაც იცნობდნენ: ის თამაშობდა ფეხბურთს მოზარდებთან ერთად ბეტონით მოპირკეთებულ ქუჩაში, რომელსაც ეწოდებოდა Rue Ben Ali Ym.” (გარდიან ვიკლი, 25-31 მარტი, 2004).



ამ მაგალითში ნათლად ჩანს ნარკვევის მთავარი თვისება - აღწერა. სტატია იწყება კონკრეტული პიროვნების აღწერით, ავტორი გარკვეულ სურათს ხატავს, რომელიც წარმოდგენას უქმნის მკითხველს. აქვე გვხვდება დადებითი კონოტაციის სიტყვები *მდიდარი ექსპატრიატი, აღფრთოვანება, მოდური ვარცხნილობები* (affluent expatriate, admire, fashionable haircuts). პარალელური კონსტრუქცია მათ შეამჩნიეს. . . ისინი აღფრთოვანდნენ. . . მათ იცოდნენ . . . (they noticed . . . they admired . . . they knew . . .) გარკვეულ რიტმს ქმნის ტექსტში და ხაზს უსვამს ნარკვევის კიდევ ერთ თვისებას მხატვრულობას. ამ კონკრეტულ მაგალითში ჩანს ჟურნალისტის ინტენცია - მისი შეტყობინების მიზანი.

არსებული ლიტერატურიდან გამომდინარე (ბ. იტული და დ. ანდერსონი, 1994; ფ.ფედლერი, 1997) შემდეგი სახის ნარკვევის (თემატური კლასიფიკაციის) ტიპებს დავასახელებ;

1) პიროვნების ბიოგრაფიული ცნობები (Personality Profile)

“In the world of biotechnology, where sterling scientific credentials are critical to winning investor confidence, Samuel Waksal bona fides seemed impeccable: a string of research positions at such prestigious institutions as Stanford and Tufts universities and the National Cancer IMClone Systems Inc., the biotechnology company he founded in 1985, and to the dozen other scientific ventures he says he has helped start since.” (The Wall Street Journal, Sep. 27, 2002).

“ბიოტექნოლოგიების სამყაროში, სადაც მეცნიერული საბუთები ჭეშმარიტებაა გადამწყვეტია ინვესტორების ნდობის მოსაპოვებლად, სამუელ ვაქსალის პატიოსნება უნაკლოდ ჩანდა: კვლევითი პოზიციების ჯაჭვი ისეთ პრესტიჟულ უნივერსიტეტებში როგორცაა სტენფორდი და ტაფტი და National Cancer IMClone Systems Inc.- ში, ბიოტექნოლოგიური კომპანია, რომელიც მან 1985 წელს დააარსა და ათასობით სხვა წარმოებები, რომლებიც მისი თქმით, მისივე ხელშეწყობით დაიწყო.” (ვოლ სტრიტ ჟურნალი, 27 სექტემბერი, 2002).

ამ სტატიაში, გარდა ბიოგრაფიული ცნობებისა, ნათელი ხდება თუ რას ფიქრობენ დოქტორ ვაქსალის ნაცნობები მასზე.

“Every 100 years, someone like him is born,” said Robert Schwartz, a hermatologist who supervised Dr. Waksal at Tufts University school of Medicine in the late 1970s and now is a deputy editor of the New England Journal of Medicine. ‘He’s a very persuasive person who can convince you of anything,’ Dr. Schwartz adds. ‘Within five minutes, you’re begging him to work for you.’ ” (The Wall Street Journal, Sep. 27, 2002).

“ყოველ 100 წელში, ვიღაც მისნაირი იბადება,” განაცხადა რობერტ შვარცმა, ჰერმატოლოგმა რომელიც ზედამხედველობდა დოქ. ვაქსალს ტაფტის უნივერსიტეტის მედიცინის სკოლაში მოგვიანებით 1970იან წლებში და ახლა არის რედაქტორის მოადგილე ნიუ ინგლენდის მედიცინის ჟურნალში. ‘ის არის ძალიან დამაჯერებელი ადამიანი, რომელსაც შეუძლია დაგარწმუნოს ყველაფერში,’ დაამატა დოქ.-მა შვარცმა. ‘ხუთი წუთში, შენ ევედრები მას რომ შენთვის იმუშაოს.’ ” (ვოლ სტრიტ ჟურნალი, სექ. 27, 2002).

2) მიმართულებები (Trend Stories); ქვემოთოყვანილი მაგალითი მედიცინის დარგში სიახლეს ეხება, თუმცა ავტორი სტატიას ნარატივით იწყებს და უჩვეულო პარალელს ავლებს ჰარი პოტერის ნაიარევს, ჯორდანის ნაიარევს, ალ პაჩინოს ნაიარევსა და წამალს შორის, რომელიც სწორედ ნაწიბურების მოსაცილებლადაა დამზადებული.

“Harry Potter has one shaped like a lightning bolt, glamour model Jordan will have several that she keeps hidden from the cameras, and the actor Al Pacino’s was so prominent that the ruthless gangster Tony Montana, whom he played in the 1983 film, will be forever known by another name” (The Guardian Weekly, March 25-31, 2004).

“ჰარი პოტერს ჰქონდა ნაიარევი, რომელსაც ეღვის გამოსახულების მსგავსი ფორმა ჰქონდა, სუპერმოდელ ჯორდანს - რამდენიმე, რომლებსაც იგი კამერებისაგან ფარავს, ხოლო ალ პაჩინოსი იმდენად თვალშისაცემი იყო 1983 წელს გადაღებულ ფილმში დაუნდობელი განგსტერის ტონი მონტანას როლის შესრულებისას, რომ ეს უკანასკნელი სამუდამოდ მეორე სახელით გახდა ცნობილი.” (გარდიან ვიკლი, 25-31 მარტი, 2004).

ასეთი შესავლის შემდეგ მესამე აბზაცში, ავტორი მთავარ თემაზე გადადის.

“The world’s first clinical trial of a drug that aims to stop scars forming after surgery is set to begin in Manchester, England. This month some 300 people having minor operations to

remove moles will start testing a drug that, according to the scientists who developed it, can mend their skin without leaving a trace.” (The Guardian Weekly, March 25-31, 2004).

“მსოფლიოში წამლის პირველი კლინიკური გამოცდა, რომელმაც ოპერაციის შემდგომ ნაწიბურების წარმოქმნა უნდა შეაჩეროს, დაიწყო მანჩესტერში, ინგლისში. ამ თვეში 300 ადამიანი, რომლებმაც ხალის მოსაშორებლად მცირე ოპერაციები ჩაიტარეს, დაიწყეს წამლის გამოცდას. მეცნიერები, რომლებიც წამლის გამოგონებაზე მუშაობდნენ, ირწმუნებიან, რომ ამ საშუალებით კანზე ნაწიბურის არანაირი კვალი აღარ დარჩება.” (გარდიან ვიკლი, მარტი 25-31, 2004).

ეს კონკრეტული მაგალითი, გარდა იმისა, რომ ხაზს უსვამს ახალ მცდელობებს და მიმართულებებს, ააშკარავებს ტენდენციას საზოგადოებაში: “მაგრამ ჩვენს თანამედროვე საზოგადოებაში ნაწიბური ნაკლებადაა მიჩნეული კარგ გამოსავლად.” (“But in our modern society scars are now regarded as a less than perfect solution.”)

3) ღრმა კვლევა (ამბის ძირფესვიანი კვლევა) (In-depth stories); ასეთი სახის სტატია გარკვეულ საკითხს შეისწავლის, მიზეზებს ეძებს და მრავალმხრივ მოსაზრებას სთავაზობს მკითხველს. მაგალითად,

“A study has found that one of every four children in central Harlem has asthma, which is double the rate researchers expected to find and, experts say, is one of the highest rates ever documented for an American neighborhood.” (The New York Times, April 19, 2003).

“კვლევის შედეგად აღმოჩნდა რომ ყოველი ოთხი ბავშვიდან ერთი ცენტრალურ ჰარლემში ასთმითაა დაავადებული, რაც ორჯერ უფრო დიდი ციფრია, ვიდრე მკვლევარები ვარაუდობდნენ. ექსპერტები ამბობენ, რომ ეს ერთ-ერთი ყველაზე დიდი ციფრია, რომელიც ოდესმე ყოფილა აღმოჩენილი ამერიკულ დასახლებაში.” (ნიუ იორკ ტაიმსი, 19 აპრილი, 2003).

ეს კონკრეტული სტატია შეისწავლის, თუ რამდენადაა გავრცელებული ასთმა ამერიკაში. ამასთანავე, ავტორი ადარებს თავის მოპოვებულ მონაცემებს მსგავსი ხასიათის ადრინდელ კვლევებთან და ხსნის, რა არის ასთმა და რა საშიშროება მოაქვს მას.

“Previous studies have pointed to rates above . . .”

“ადრინდელმა კვლევებმა გვაჩვენა ზემოთმოყვანილი ციფრები. . .”

“Asthma is an inflammation and constriction of the airways that makes it difficult to breathe.”

“ასტმა არის სასუნთქი გზების ანთება და შეზღუდვა, რომელიც ართულებს სუნთქვის პროცესებს.”

“Some of the worst triggers, studies have found, are prevalent in poor communities . . .”

“ყველაზე მძიმე შემთხვევები, კვლევების თანახმად, გავრცელებულია ღარიბ დასახლებებში. . .”

4) სეზონური ამბები (Seasonal stories) - ბრიტანულ გაზეთში ცალკეა გამოყოფილი სტატიები, რომელიც მოიცავს ბუნების აღწერას. ბუნებრივია, ასეთი სახის სტატია განსაკუთრებით რთულია დასაწერად და კიდევ უფრო რთულია მისი საინტერესოდ მოთხრობა.

“Days of cold clear skies with a drying wind and the floods are all but forgotten. That wild spirit of the river has dived to underwater caves with wrecks and bones and broods there waiting for the next storms. Along the riverbanks Canada geese are setting up their nesting sites, and apart from a few fugitive puddles, it is as if the floods never happened.” (The Guardian Weekly, March 4-10, 2004).

“ცივი ნათელი დღეები მშრალი ქარისა და წყალდიდობის გამო დავიწყებულია. მდინარის გარეული სული შეერწყა წყალქვეშა გამოქვაბულებს და ყველა სახის ნარჩენებთან, ნამსხვრევებთან და სახეობებთან ერთად ელოდება შემდგომ ქარიშხალს. მდინარეების ნაპირებზე კანადური ბატები ქმნიან ბუდეებს და რამდენიმე მსწრაფწარმავალი გუბების გარდა, ისე ჩანს, თითქოს წყალდიდობები არასოდეს მომხდარა.” (გარდიან ვიკლი, 4-10 მარტი, 2004).

5) ყოფითი ამბები (Human Interest Stories) რომელიც ადამიანთა საქმიანობას, მათი ცხოვრების წესს შეეხება.

“Morua Kgoma, 62, has picked a pounchful of tasty berries. He has also plucked fresh, pulpy leaves and pounded them in a mortar to make a kind of a bush pesto. With long fingers he expertly uncovers tubers that look like new potatoes and small onions. He will roast them over a fire for an evening meal. ‘There is lots of food here,’ he says. ‘We can always survive here. We

know where to find our food. This is where we were born and where we belong.” (The Guardian Weekly, March 18-24, 2004).

“მორუა კგომამ, 62 წლის, შეაგროვა ერთი მუჭა გემრიელი კენკრა. მან აგრეთვე მოწვიტა ახალი, მსუბუქი ფოთლები და დანაყა სანაყში, თითქოს პიურეს ამზადებდა. გრძელი თითებით იგი მარჯვედ არჩევდა ბოლქვებს, რომლებიც ახალ კარტოფილს ან მცირე ზომის ხახვს ჰგავდა. მათ სადამოს ვახშმისთვის შეწვავს. ‘აქ უამრავი საკვებია,’ თქვა მან. ‘აქ ჩვენ ყოველთვის შევძლებთ თავის გადარჩენას. ვიცით სად უნდა ვიპოვოთ ჩვენი საკვები. აქ დავიბადეთ და აქ არის ჩვენი ადგილი.” (გარდიან ვიკლი, 18-24 მარტი, 2004).

ამ სტატიაში ავტორი აღწერს, როგორ ცხოვრობს უბრალო აფრიკელი, რომელიც გარკვეულ თემს ეკუთვნის. ავტორი კონკრეტული სცენის აღწერით იწყებს, რომელიც მის მიზანს ემსახურება. ამასთანავე, მოყვანილი ციტატაც ჩარჩოს ქმნის. ციტატის საშუალებით თვით რესპოდენტის მიერვე მუდგანდება სტატიის მიზანი - აღწეროს კონკრეტული თემის ყოფითი ცხოვრება. ამ მაგალითში ავტორი სტილისტურ ხერხს - შედარებას იყენებს, რომელიც კიდევ უფრო ნათელი სურათის დახატვას ემსახურება - “ბოლქვი, რომელიც ჰგავდა ახალ კარტოფილსა და მცირე ზომის ხახვს.” (“ . . . tubers that look like new potatoes and small onions”).

ამ კონკრეტული მაგალითის შემდეგ ავტორი სტატიაში საკითხის განზოგადებას ახდენს. ამ თემის ყველა წარმომადგენლის პრობლემა არის - საკვების შოვნა, მშობლიურ მხარეში დარჩენა.

“But life has become increasingly difficult for Kgoma and the other San people of the Molapo community.” “მაგრამ ცხოვრება ძალიან გართულდა ქგომასა და სხვა სანის ხალხისთვის მოლაპოს თემიდან.”

6) სათავგადასავლო ნარკვევი (Adventure Features). ასეთი სახის სტატიები ნარკვევის გმირის სხვადასხვა თავგადასავალს, ჰობის ან უჩვეულო საქმიანობას ეხება.

“A lean, 45-year-old mountaineer and entrepreneur, Tim is a strong-looking man. He will have to be. Next summer he and his project partner, former UK squad kayaker Geoff

Shacklock-Evans, plan to spread several weeks on an iceberg being towed by a kite.” (The Guardian Weekly, March 25-31, 2000).

“45 წლის გამხდარი მთასვლელი და თარჯიმანი, ტიმი ძლიერი გარეგნობის მქონე მამაკაცია. უნდა იყოს კიდევ. შემდეგ ზაფხულს ის და მისი პროექტის პარტნიორი, ყოფილი ბრიტანეთის ჯგუფის კაიაკერი ჯეფ შაკლოკ-ევანსი, რამდენიმე კვირის გატარებას აისბერგზე ფრანის საშუალებით გეგმავენ.” (გარდიან ვიკლი, 25-31 მარტი, 2000).

სათავგადასავლო ნარკვევი გამიზნულია მკითხველის გასართობად. ეს კონკრეტული ნარკვევი რთულ და უჩვეულო ჰობის შეეხება. სტატიაში მთავარი ადგილი დაკავებული აქვს გმირის აღწერას: გამხდარი მთასვლელი, ძლიერი გარეგნობის მამაკაცი (a lean mountaineer, a strong-looking man). ნარკვევში ავტორის პირადი აზრიც ჩანს - უნდა იყოს (“He will have to be”). უნდა აღინიშნოს, რომ ბრიტანულ გაზეთში თუ ნარკვევი მძიმე ახალ ამბავზე ორიენტირებული არ არის, მაშინ შესაძლოა, ასეთი სახის სტატიაში შეგვხვდეს მწერლის პირადი აზრი და პირველი პირის ნაცვალსახელიც.

7) კერძო გამოცდილების ამსახველი ნარკვევი (Personal Experience Features). ასეთ ნარკვევში თავად ავტორი მოგვითხრობს, თუ რა გადახდა თავს და სტატია უფრო მეტად ჩანახატს ჰგავს. ქვემოთოყვანილ მაგალითში ჟურნალისტი მანქანის ტარების გაკვეთილებზე მოუთხრობს მკითხველს.

“It was 8.15 and the sun was already beating down on the dusty road as *I carefully executed a three-point turn*, ‘OK,’ said Mr Johnson, *my driving instructor*, ‘lessgo,’ and *I drove straight ahead*.” (The Guardian Weekly, March 18-24, 2004)

“8.15 იყო და მზე უკვე ურტყამდა მტვრიან გზას, როდესაც ფრთხილად გადავამოწმე სამმიმართულებიანი მოსახვევი, “კარგი,” თქვა ბნ-მა ჯონსონმა, ჩემმა ინსტრუქტორმა, ‘წავიდეთ,’ და მე პირდაპირ წავედი.” (გარდიან ვიკლი, 18-24 მარტი, 2004).

ამ მაგალითში გვხვდება პირველი პირის ნაცვალსახელი მე (I), ავტორი სურათს აღწერს -მზე უკვე ურტყამდა (the sun was already beating down), ძლიერი კონტრასტის სიტყვა დარტყმა (beat) აქ კიდევ აძლიერებს აღქმას, თუ როგორ ანათებდა მზე; საერთო სურათის დახატვას ემსახურება ფრაზები: მტვრიანი გზა,

ფრთხილად შესრულებული, პირდაპირ მიჰყავდა მანქანა (dusty road, carefully executed, drove straight ahead).

### ნარკვევის სტრუქტურა

ნარკვევის სტრუქტურა სხვადასხვა სახისაა. მკვლევარები თვლიან, რომ ნარკვევი შეიძლება ქრონოლოგიური თხრობითაც გადმოიცეს და გადმოტრიალებული პირამიდის სახითაც (ფ. ფედლერი 1997, მ. მენხერი 1993). დაყოვნებული ინტერესის მქონე სტატია შემდეგი სქემის მიხედვითაა აგებული: ლიდი - ამბავი განვითარებით - ამბავი უახლოვდება კულმინაციას - შედეგი ვლინდება (ჯ. ჰუ, 1988).

კვლევის ფარგლებში 240 ნარკვევის ტიპის სტატია შევისწავლე: 120 - ამერიკულ და 120 - ბრიტანულ გაზეთში. კვლევის შედეგად აღმოჩნდა, რომ ამერიკულ გაზეთში ყველაზე გავრცელებული სტრუქტურა არის ვოლ სტრიტ ჟურნალის ფორმულა (51.7%).

გადმოტრიალებული პირამიდის ფორმატი	25%
ვოლ სტრიტ ჟურნალის ფორმულა	51.7%
სტატია დასასრულით	18.3 %
ინტერვიუ	3.3
სტატია თანაბარი მნიშვნელობის ფაქტებით	1.7%

რაც შეეხება, ბრიტანულ გაზეთს, უპირატესობა აქვს ვოლ სტრიტ ჟურნალის ფორმულას ენიჭება (41.7%), თუმცა, უფრო მაღალი პროცენტულობით გამოირჩევა გადმოტრიალებული პირამიდის ფორმატიც ამერიკული გაზეთის ნარკვევის სტრუქტურასთან შედარებით (38.3%). შერჩეულ მაგალითებში არ აღმოჩნდა არცერთი ინტერვიუ, რაც ამ ჟანრის ნაკლებ პოპულარობაზე მიუთითებს.

გადმოტრიალებული პირამიდის ფორმატი	38.3%
ვოლ სტრიტ ჟურნალის ფორმულა	41.7%
სტატია დასასრულით	15%
სტატია თანაბარი მნიშვნელობის ფაქტებით	3.3%
ჩამონათვალის ტექნიკა	1.7%

არსებული ლიტერატურის მიხედვით სტრუქტურა, რომელსაც მკვლევართა უმრავლესობა ნარკვევის თავისებურებად თვლის (ფ.ფედლერი 1997; მ.მენსერი 1993; ქ. რიჩი, 1994; ფ. ნელი,1999) ვოლ სტრიტ ჟურნალის ფორმულაა.

ეს ფორმულა შემდეგნაირად გამოიხატება, სტატია იწყება კონკრეტული ამბის გადმომცემი ლიდით, შემდეგ ავტორი პრობლემის დასმასა და მის განზოგადებას ახდენს. ქვემოთ მოვიყვანოთ მის მაგალითს.

“Fatmira Bonjaku’s husband is in jail, accused by the police of selling their 3-year-old son to an Italian man in return for the television set that six other children watch in the family’s dimly lighted room. The police also say her husband had plans to sell their newset born, who she is breast feeding.” (The New York Times, Nov. 13, 2003)

“ფატმირა ბონჯაკუს ქმარი ციხეშია. მას ბრალად ედება მათი 3 წლის ვაჟიშვილის იტალიელ კაცზე მიყიდვა ტელევიზორის სანაცვლოდ, რომელსაც ოჯახის ცუდად განათებულ ოთახში ექვსი სხვა ბავშვი უყურებს. პოლიციამ აგრეთვე განაცხადა, რომ მისი ქმარი კიდევ ერთი ახალშობილის გაყიდვას გეგმავდა, რომელსაც იგი ახლა ძუძუს აწოვებს.” (ნიუ იორკ ტაიმსი, 13 ნოემბერი, 2003).

ავტორი ფაქტის სახით, მშრალად გადმოსცემს ამ ამბავს ლიდში, რადგანაც თავად ამბავი იმდენად თავზარდამცემია, რომ ზემოქმედების მიზნით ლექსიკური საშუალებებით გამძაფრება აღარც არის საჭირო.



ამის შემდეგ სტატიაში პრობლემის განზოგადება ხდება. ამ მიზნით, ავტორს გამოყენებული აქვს 'nut graph', რომელიც, საკვლევი თემატიკიდან, მხოლოდ ამერიკული გაზეთისთვისაა დამახასიათებელი.

“Over the past 12 years, since the collapse of Stalinism here, a substantial trade in children has established itself in Albania, Europe’s most impoverished and most isolated country.” (The New York Times, Nov. 13, 2003).

“12 წლის განმავლობაში სტალინიზმის დანგრევის შემდეგ, ალბანეთში, ევროპის ყველაზე გაღატაკებულ და იზოლირებულ ქვეყანაში, ბავშვებით ვაჭრობამ არსებითად იჩინა თავი.” (ნიუ იორკ ტაიმსი, 13 ნოემბერი, 2003).

ფრაზები *ყველაზე გაღატაკებული*, *ყველაზე იზოლირებული* (most impoverished, most isolated) ავტორისეულ შეფასებას გამოხატავს, თუმცა ჟურნალისტი ალბანეთის შესახებ საკუთარ ინდივიდუალურ აზრს არ გადმოსცემს, რადგანაც ეს შეფასება ფაქტებზეა დაფუძნებული. Nut graph-ში (მთავარ აბზაცში) პრობლემის იდენტიფიკაცია და განზოგადება ხდება. კონკრეტული პირის ამბის აღწერის შემდეგ ავტორი, როგორც წესი, nut graph-ში ხაზს უსვამს, რომ ეს საკითხი უფრო ფართომასშტაბიანია. როგორც აღვნიშნე, ბრიტანულ გაზეთში nut graph-ის ფენომენი არ შეიმჩნევა. აქ პრობლემის განზოგადება შეიძლება ერთი წინადადებისგან მოხდეს.

“He is not the only one tantalised by this idea.” (The Guardian Weekly, March 25-31, 2004).

“ის არ არის ერთადერთი, რომელსაც ეს იდეა აწუხებს.” (გარდიან ვიკლი, 25-31 მარტი, 2004).

“But life has become increasingly difficult for Kgoma and the other San people of the Molapo community.” (The Guardian Weekly, March 18-24, 2004).

“მაგრამ ცხოვრება განსაკუთრებით რთული გახდა კგომასა და სანის სხვა ხალხებისთვის მოლაპოს თემიდან.” (გარდიან ვიკლი, 18-24 მარტი, 2004).

ამრიგად, კვლევის შედეგებმა დაადასტურა, რომ ნარკვევის ყველაზე გავრცელებული სტრუქტურა ბრიტანულ და ამერიკულ გაზეთში ვოლ სტრიტ ჟურნალის ფორმულაა.

## ნარკვევის ლიდი

როგორც კვლევამ გამოავლინა, ნარკვევში შემდეგი სახეობის ლიდი გვხვდება: შემაჯამებელი, ამბის გადმომცემი, აღწერითი ლიდი და ლიდი-მიმართვა. უნდა აღინიშნოს, რომ მაშინ, როცა მძიმე ახალი ამბის ლიდი ხშირად ერთწინადადებიანია, ნარკვევში ლიდი რამდენიმე აბზაციც შესაძლოა იყოს.

შესწავლილ იქნა 120 ლიდის მაგალითი ბრიტანულ და ამერიკულ პრესაში. დესკრიფციული სტატისტიკის მიხედვით ამერიკულ გაზეთში ნარკვევში ყველაზე ხშირად შემაჯამებელი ლიდი გვხვდება (30%), ხოლო მას შემდგომ მოსდევს ამბის გადმომცემი ლიდი (28.3%).

შემაჯამებელი ლიდი	30%
ამბის გადმომცემი ლიდი	28.3%
აღწერითი ლიდი	20%
ლიდი- მიმართვა	11.7%
შემაჯამებელ-აღწერითი ლიდი	6.7%
კითხვითი ლიდი	3.3%

რაც შეეხება ბრიტანულ პრესას, ამ შემთხვევაში შედეგები დიდად არ განსხვავდება ამერიკული პრესისგან. ბრიტანულ პრესაში ყველაზე გავრცელებული აღმოჩნდა შემაჯამებელი ლიდი (46.7%). შემდეგ, ამბის გადმომცემი ლიდი (20%), ხოლო კითხვითი ლიდი შერჩეულ მაგალითებში არ აღმოჩნდა.

შემაჯამებელი ლიდი	46.7%
ამბის გადმომცემი ლიდი	20%
აღწერითი ლიდი	20%
ლიდი მიმართვა	8.3%

შემაჯამებელი/აღწერითი ლიდი	5%
----------------------------	----

ქვემოთყვანილ მაგალითში შემაჯამებელი ლიდი გარკვეულ სიახლეს უსვამს ხაზს.

“Many a writer knows the pain and frustration of writer’s block. The *looming presence of the blank page*, the *gripping fear of creative sterility* are only too familiar to journalists, poets, diarists or avid pen pals. *Few of us*, however, have experienced block’s bizarre counterpart: hypergraphia. Imagine living with the *compulsive need to scrawl* away constantly, *scribbling* on notebooks, napkins, walls, even skin.” (The Guardian weekly, March 25-31, 2004)

“ბევრმა მწერალმა იცის ტკივილისა და გაღიზიანების მწერლისეული ხვედრი. ცარიელი ფურცლის შემაშფოთებელი არსებობა, შემოქმედებითი სტერილურობის შემბოჭავი შიში ძალიან ნაცნობია მხოლოდ ჟურნალისტების, პოეტების, დღიურის პატრონებისა და წერას დახარბებული კალმის მეგობრებისთვის. ცოტა ჩვენგანს თუ გამოუცდია უცნაური ხვედრი: ჰიპერგრაფია. წარმოიდგინეთ, რომ ცხოვრობთ დაუოკებელი მოთხოვნით, რომ მუდმივად წეროთ, წეროთ რვეულებზე, ხელსახოცებზე, კედლებზე და კანზეც კი.” (გარდიან ვიკლი, 25-31 მარტი, 2004).

ამ ლიდში ავტორი თავისუფლად გამოხატავს საკუთარ აზრს “ცოტა ჩვენგანს. . . განუცდია; (Few of us . . . have experienced); ლიდი დატვირთულია ეპითეტებით: *შემაშფოთებელი არსებობა, შემბოჭავი შიში, დაუოკებელი საჭიროება* (looming presence, gripping fear, compulsive need) ალიტერაციის ხარჯზე იქმნება გარკვეული რიტმი- *მუდმივად წეროთ, წეროთ რვეულებზე, ხელსახოცებზე* (to scrawl away constantly, scribbling on notebooks, napkins).

ნარკვევში საკმაოდ ხშირად გვხვდება ამბის გადმომცემი ლიდი.

“*They were* barely old enough to cross a street themselves, much less a border. *But there they were*, alone on a hot August evening at a United States immigration chackpoint, sorrounded by law enforcement officers wearing badges and guns. Eight-year-old José Cruz Velázquez held the hand of his brother Sergio, who was 6.” (The New York Times, November 3. 2003).

“ისინი იმისათვისაც კი პატარები იყვნენ, რომ გზა დამოუკიდებლად გადაეჭრათ, არათუ საზღვარი. მაგრამ იქ იყვნენ, მარტონი აგვისტოს ცხელ

ზაფხულში აშშ-ს საიმიგრაციო გამშვებ პუნქტზე, გარშემორტყმული სამკლავურებიანი და შეიარაღებული სამართალდამცავი ოფიცრებით. რვა წლის ხოსე კრუზ ველასკეს თავისი ძმის, 6 წლის სერხიოს ხელი ეჭირა.” (ნიუ იორკ ტაიმსი, 3 ნოემბერი, 2003).

ამ ლიდში გადმოცემულია კონკრეტული ფაქტის აღწერა, მხატვრული ეფექტის შექმნას კი ემსახურება პარალელური კონსტრუქციები: they were. . . they were. . . იმ ფაქტების დაზუსტება, რომ ბავშვები ცხელ აგვისტოს სადამოს მარტონი იყვნენ, ხოლო უფროს ძმას კი უმცროსის ხელი ეჭირა, მეტ სიცხადესა და ემოციურობას ჰმატებს აღწერილ სურათს.

ქვემოთ, აგრეთვე, მოყვანილია აღწერითი ლიდის მაგალითი.

“Stano Rakas is *a quiet, soft-spoken* man of 24. He is *thin and has long, slightly curled black hair*. He and his wife Zdenka have four young children. Stano makes candles to earn a little money; Zdenka makes handbags from hemp. They are the only two people in the settlement with a regular income outside of state benefits.” (The Guardian Weekly, May1-7, 2003)

“სტანო რაკასი წყნარი, რბილად მოსაუბრე 24 წლის მამაკაცია. ის თხელია და გრძელი, ოდნავ დახვეული შავი თმა აქვს. მას და მის მეუღლეს ზდენკას ოთხი პატარა ბავშვი ჰყავთ. სტანო სანთლებს ამზადებს, რომ ცოტაოდენი ფული გააკეთოს; ზდენკა კი ხელჩანთებს ამზადებს კანაფისაგან. ისინი ერთადერთნი არიან მთელ დასახლებაში, რომლებსაც რეგულარული შემოსავალი აქვთ სახელმწიფო დახმარების გარდა.” (გარდიან ვიკლი, 1-7 მაისი, 2003).

ლიდი მარტივი გავრცობილი წინადადებისაგან შედგება. ისევე როგორც მხატვრულ ნაწარმოებში, აქაც აღწერა და ეპითეტები წარმოდგენას გვიქმნის მთავარ გმირებზე - წყნარი, რბილად მოსაუბრე . . . (quiet, soft-spoken, thin. . .).

ნარკვევში ავტორის პრაგმატიკული ინტენცია გაცილებით უფრო ხელშესახები და აღვილად გამოსაცნობია. ნარკვევი იწერება იმისთვის, რომ მკითხველში გარკვეული ემოცია აღძრას. იმისდა მიხედვით, თუ რა ენობრივი ნიშნები ან ციტატაა შერჩეული სტატიაში საცნაურია ავტორის მიზანი და აუდიტორია, ვისთვისაც ტექსტია გამიზნული. მაგალითად, ერთ-ერთ სტატიაში,

რომელიც თურქეთში დიდი ბრიტანეთის საელჩოს დაბომბვას ეხება შემდეგი ციტატა გვხვდება:

“He was pictured stumbling through the rubble, repeating: I’m English, I’m English, I can’t see.” (The Daily Telegraph, Nov. 22, 2003).

“დაინახეს, თუ როგორ დაბარბაცებდა იგი ნანგრევებში და იმეორებდა: მე ინგლისელი ვარ, მე ინგლისელი ვარ, ვერაფერს ვხედავ,” (დეილი ტელეგრაფი, 22 ნოემბერი, 2003).

აფეთქების შედეგად დაშავებული ბიზნესმენის ეს დეტალურად აღწერილი სურათი ცხადია, ბრიტანული საზოგადოებისთვისაა გამიზნული, ასევე ცხადია ავტორის პრაგმატიკული ინტენცია - საზოგადოების აღშფოთებისა და სიბრალულის გამოწვევა. ამით განსაკუთრებით აღსანიშნავია ციტატა “მე ინგლისელი ვარ (I’m English).

იმავე სტატიაში ყურადღება გამახვილებულია ისეთ დეტალებზე, რომელიც მკითხველში თანაგრძნობასა და სიბრალულს აღძრავს. აფეთქების შედეგად დაღუპული ბრიტანელი ქალბატონის შესახებ შემდეგი ინფორმაციაა მოცემული:

“She had two granddaughters and a third grandchild is due in January to her son and his girlfriend, Kym.” (The Daily Telegraph, Nov. 22, 2003).

“მას ჰყავს ორი შვილიშვილი (გოგონა). ხოლო მესამე შვილიშვილი, რომელსაც მისი ვაჟიშვილი და მეგობარი გოგონა კიმი ელიან, იანვარში დაიბადება.” (დეილი ტელეგრაფი, 22 ნოემბერი, 2003).

### **სტილისტური ხერხები**

როგორც ზემოთ აღვნიშნე, ნარკვევში პოეტური ფუნქცია სტილისტური ხერხების საშუალებით შეიძლება იყოს გადმოცემული.

ნარკვევში ხშირად გვხვდება ისეთი სტილისტური ხერხები, როგორცაა მეტაფორა, შედარება, ეპითეტი, აღიტერაცია, პარალელური კონსტრუქციები. ჩვენ შემდეგ მაგალითებს განვიხილავთ.

“Her hands are gloved in black grease past the wrist.” (<http://theadvocate.com>, Feb 19, 2003).

“ხელებზე შავი ტალახოვანი ცხიმი ხელთათმანივით აქვს მაჯამდე.”  
(<http://theadvocate.com>, 19 თებერვალი, 2003).

ამასთანავე, ნარკვევში მოცემულ წინადადებებში გარკვეული რიტმიც არის დაცული:

“She leans under the open hood of a ‘92 Cadillac de Ville,’ *probing and poking* among the intricate fittings of *belts and bolts and wires and metal.*” (<http://theadvocate.com>, Feb 19, 2003).

“ის გადაიხარა “92 კადილაკი ვილის” ახილ თავსახურზე, ამოწმებდა და ათვალეირებდა რთულ მოწყობილობებს – თასმებს, ბოლტებს, მავთულსა და რკინას.” (<http://theadvocate.com>, 19 თებერვალი, 2003).

ალიტერაცია ამ მაგალითში (probing and poking, belts and bolts) გარკვეულ რიტმს ქმნის. რიტმს გარკვეულად აძლიერებს კავშირი and (and wires and metal).

ავტორის პრაგმატიკული ინტენციაა დაგვანახოს, რომ გმირს ჩახლართული საქმის გამოსწორება უწევს, სწორედ ამასვე მიანიშნებს ფრაზა რთული მოწყობილობები (intricate fittings).

საკვლევმა მასალამ აჩვენა, რომ ავტორები ნარკვევში ხშირად მიმართავენ შედარებას. მაგალითად,

“. . . entire motels were picked up off their foundations and tossed *like cigarette butts.*” (The New York Times, Sep. 20, 2003).

“. . . მთლიანი სასტუმროები ამოიძირკვა და გადაიქცა სიგარეტის ნამწვივით.” (ნიუ იორკ ტაიმსი, 20 სექტემბერი, 2003).

“. . .the pine trees in one neighborhood *snapped like matchsticks.*” (The New York Times, Sep. 20, 2003).

“წიწვოვანი ხეები მეზობლად ასანთის ღერებივით ტკაცუნებდნენ.” (ნიუ იორკ ტაიმსი, 20 სექტემბერი, 2003).

ამ მაგალითში იმისათვის, რომ ავტორმა ნათლად დაგვანახოს, თუ როგორ დააზიანა ქარიშხალმა ფიჭვის ხეები, იგი მათ გადატეხილ ასანთის ღერებს ადარებს.

იმავე ნარკვევში აქტუალიზებული ელიფსური წინადადებები სისხარტეს ჰმატებს სათქმელს:

“From the air, the storm’s capriciousness came clear: *here, a hamlet devastated by flood, wind and sand: a mile away, a town untouched.*” (The New York Times, Sep. 20, 2003).

“ქარიშხლის კაპრიზულობა კარგად იგრძნობოდა ჰაერში: აქ, პატარა დასახლება განადგურებული წყალდიდობით, ქართა და ქვიშით: ერთი მილის მოშორებით კი, ხელუხლებელი ქალაქი.” (ნიუ იორკ ტაიმსი, 20 სექტემბერი, 2003).

ელიფსური წინადადების წყალობით ავტორი სწრაფად გადადის მთავარ სათქმელზე; მკითხველში კი იქმნება განწყობა, რომ ის თავად ხედავს ამ სურათებს.

### სემიოტიკური ნიშნები

გარდა ენობრივი ნიშნებისა, ემოციური ზემოქმედება ფოტოთიც მიიღწევა. თურქეთში დიდი ბრიტანეთის საელჩოს აფეთქების შესახებ სტატიას თან ახლავს ბრიტანელი ბიზნესმენის სურათი აფეთქებამდე და აფეთქების შემდეგ. როგორც წესი, ნარკვევს რამდენიმე ფოტო ახლავს, რომელიც, თავის მხრივ, სტატიის კონკრეტულ თემას ეხმაურება და იმავე პრაგმატიკულ მიზანს ემსახურება, რასაც სტატია. ბილ ნიკოლსი შენიშნავს, რომ “ციფრული კოდის სიზუსტე, ისევე როგორც წერილობითი ენა, მცირე ფართობის მქონე ზედაპირზე უამრავ მნიშვნელობას იტევს. ფოტო თვალს მუდამ იტაცებს და მნიშვნელობების ამოცნობის საშუალებას იძლევა.” (რედ. ჯ. კორნერი, 1986)

ერთ-ერთ ნარკვევს, რომელიც უკანონო მიგრაციას ეხება, თან შემდეგი სურათი ახლავს - ატირებული პატარა გოგონა შეიარაღებული პოლიციელების შუაში დგას. სურათიდან ჩანს, რომ ბავშვი შეშინებულია, დაკარგულია და ერთ-ერთი იმათგანია, ვინც უკანონოდ ცდილობდა საზღვრის გადაკვეთას. უკანონო ემიგრანტი პოლიციელებს წელამდეც კი ვერ წვდება და ნახატებიანი ზედა აცვია. ტექსტიდან ვგებულობთ, რომ პატარა მხოლოდ 5 წლისაა, ფოტოზე გამოსატყული ბავშვი მაყურებელში სიბრაღის გრძნობას იწვევს.

ცხადია, რომ ამ ნარკვევში სათანადო ემოციების გამოწვევას ჟურნალისტი სურათის აღწერით, ციტატით და ფოტოთი ახერხებს; მათ შერჩევაში კი ჩანს ავტორის ინტენცია და ზოგჯერ, მისი ფარული შეფასებაც.

მედიაში სემიოტიკური ნიშნების ანალიზისას ცხადი ხდება, რომ ფოტო ხშირად უფრო მეტ დატვირთვას იძენს და გადმოსცემს მესიჯს, რომელიც შეიძლება ტექსტის მიღმა დარჩეს. ფოტო აღძრავს ემოციას და სუბიექტივიზმის კვალიც აქ უნდა ვეძებოთ. დ. უზნაძის (2006) განმარტებით “ერთი, რითაც ემოციური განცდა მკვეთრად განსხვავდება ყველა სხვა განცდისაგან, ეს მისი სუბიექტური ხასიათია. . .” (გვ. 136).

მაგალითად, 1972 წლის 30 იანვარს ჩრდილოეთ ირლანდიაში მშვიდობიანი აქციის მონაწილეების დარბევის მიზანშეუწონლობას ბრიტანული გაზეთი გარდიანი 2010 წელს არამარტო სტატიებით, არამედ ფოტოებით ახერხებს. ერთ-ერთ სტატიას, რომელიც დასათაურებულია “სისხლიანი კვირის გამოძიება ავლენს ორმხრივ მტრობას რომელიც აისახა მასობრივ ხოცვა-ჟლეტაში,” სურათი ახლავს, სადაც შეიარაღებული ჯარისკაცის ზურგსუკან პატარა ბავშვი დგას. ამ სურათის შერჩევით ჟურნალისტი ხაზს უსვამს, რომ სისხლიანი შეტაკება დაუდევარი მოქმედება იყო. აღნიშნულ სურათს გარკვეული ემოციური დატვირთვა აქვს და შესაძლოა, სირცხვილის გრძნობაც აღძრავს მკითხველში.



გამოკვეყნებული გაზეთში გარდიანი, 15 ივნისი, 2010



## პირის აღმნიშვნელი დეიქსისი

ვინაიდან ფატიკური ფუნქცია გულისხმობს კომუნიკაციის დამყარებას ან პირიქით შეწყვეტას, მიმართვის ფორმები და ავტორის მიერ შერჩეული პირის დეიქსისი შესაძლოა ამ ფუნქციასაც გამოხატავდნენ. მონიკა ფლუდერნიკი (1991) აღნიშნავს, რომ იაკობსონს პირის დეიქსისთან მიმართებაში შემოჰყავს ტერმინი “გადამყვანი” (shifter). სინამდვილეში “გადასვლა” ჩანს არა მოსაუბრესა და ადრესანტს შორის, არამედ მოსაუბრე/ადრესანტის წყვილსა და კომუნიკაციის (ზეპირი ან წერილობითი კომუნიკაციის) დროს გამოხატულ ხედვას შორის. ზოგჯერ ეს ხედვა გულისხმობს პირველი ან მეორე პირის დეიქსისის გამოყენებიდან უფრო ნეიტრალურ მესამე პირის დეიქსისზე გადასვლას ან პირიქით.

კვლევაში აჩვენა, რომ ნარკვევში ხშირად გამოიყენება პირის ნაცვალსახელები, რაც, ბუნებრივია, გარკვეულ ინდივიდუალობას ჰმატებს სტატიას. შემთხვევითი პრინციპით შერჩეული ბრიტანული ნარკვევის 60 მაგალითიდან 41 შემთხვევაში ავტორმა თხრობისას პირველი და მეორე პირის ნაცვალსახელები გამოიყენა (I – მე, we- ჩვენ, me- მე, you- თქვენ ან შენ). მონაცემების ანალიზის შედეგად მივიღეთ შემდეგი.

პირველი პირის ნაცვალსახელი (I)	42.5%
პირველი პირის ნაცვალსახელი (we)	32.5%
მეორე პირის ნაცვალსახელი (you)	17.5%
პირველი პირის ნაცვალსახელი (me)	7.5%

რაც შეეხება ამერიკულ პრესას, კვლევის ფარგლებში შესწავლილი 60 ნარკვევის მაგალითიდან პირის ნაცვალსახელების გამოყენების 39 შემთხვევა გვეჩვენა (I- მე, we-ჩვენ, you- შენ ან თქვენ). თუმცა, ბრიტანული გაზეთისაგან განსხვავებით ყველაზე მეტად გავრცელებულია მეორე პირის ნაცვალსახელი. რაც აიხსნება იმ ფაქტით, რომ ნარკვევის ავტორი აქცენტს უფრო მეტად მკითხველზე აკეთებს, მას მიმართავს.

მეორე პირის ნაცვალსახელი (you)	38.5%
პირველი პირის ნაცვალსახელი (I)	33.3%
პირველი პირის ნაცვალსახელი (we)	28.2%

ქვემოთმოყვანილ მაგალითში ავტორი, რომელიც დემონსტრაციას ესწრებოდა და თავადაც მისი მონაწილე იყო, პირველი პირის ნაცვალსახელს we ( inclusive we ) იყენებს.

“On the embankment we awaited the noon start in the shadow of the Cleopatra’s needle . . .”(The Gaurdian Weekly, Feb. 20-26,2003)

“სანაპიროზე, კლეოპატრას ნემსის ჩრდილს ქვეშ (ჩვენ) ველოდებოდით, თუ როდის დადგებოდა შუადღე.” (გარდიან ვიკლი, 20-26 თებერვალი, 2003).

ქვემოთმოყვანილ მაგალითში, რომელიც ისევ ბრიტანული გაზეთიდანაა ავტორი საკუთარ ასოციაციაზე საუბრობს.

“His round face and smile and rapid, articulate style of speaking remind me, oddly, of Muhammad Ali.”(The Guardian Weekly, May1-7, 2003).

“მისმა მრგვალმა სახემ, ღიმილმა და სწრაფმა, გამართულმა საუბარმა, რაც უნდა უცნაური იყოს, მუჰამედ ალი გამახსენა.” (გარდიან ვიკლი, 1-7 მაისი, 2003).

პირველი პირის ობიექტური ბრუნვის ნაცვალსახელი მე (me) ამ მაგალითში ხაზს უსვამს, რომ შეფასება ჟურნალისტს ეკუთვნის.

სტატიაში დეიქსისის გამოყენება მნიშვნელოვანია ინდივიდუალური აზრის გამოხატვის თვალსაზრისით. როგორც ზემოთ აღვნიშნე, ტექსტში ფატიკური ფუნქცია ხშირად პირის დეიქსისის საშუალებით შეიძლება გადმოიცეს. იმის მიხედვით თუ რომელი დეიქსისი გამოიყენება ავტორის პოზიციის გამოსახატად შეიძლება დადგინდეს პრესის რომელ ჟანრს მიეკუთვნება კონკრეტული სტატია. მაგალითად, ახალ ამბებში მესამე პირის დეიქსისია გავრცელებული და ავტორი საკუთარ პოზიციას არ გამოხატავს. ნარკვევში გავრცელებულია პირველი და მეორე პირის დეიქსისი. აღსანიშნავია, რომ პირველი პირის დეიქსისი უფრო

მეტად გავრცელებულია ბრიტანულ პრესაში. ქვემოთ დაწვრილებით შევისწავლი, თუ რომელი დეიქსისია დამახასიათებელი წერილის რედაქციისაგან და კომენტარი/სვეტისთვის.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, ამ თავში ნარკვევისა და ახალი ამბების შეჯამების სახით აღვნიშნავ, რომ ახალ ამბებში ლიდის სიტყვების რაოდენობასთან დაკავშირებით არსებითი განსხვავება არ შეიმჩნევა ბრიტანულ და ამერიკულ საგაზეთო სტატიებში. ამასთან, ბრიტანულ და ამერიკულ პრესაში ახალი ამბის გავრცელებული სტრუქტურა გადმოტრიალებული პირამიდის სტილია. ყველაზე მეტად გავრცელებული ლიდი - შემაჯამებელი ლიდი. ახალი ამბები როგორც ამერიკულ ისევე ბრიტანულ გაზეთში იმპერსონალურია, თუმცა იმპლიციტურ დონეზე შესაძლოა ვისაუბროთ ავტორის პრაგმატიკულ ინტენციასზე.

ნარკვევი უფრო მეტად გამოსატავს აღწერასა და შეფასებას. ბრიტანულ და ამერიკულ გაზეთში ნარკვევის ყველაზე მეტად დამკვიდრებული სტრუქტურა ვოლ სტრიტ ჟურნალის ფორმულა აღმოჩნდა. აგრეთვე, გავრცელებულია გადმოტრიალებული პირამიდის ფორმატი. რაც შეეხება ლიდს, ამერიკულ და ბრიტანულ გაზეთში აქაც მცირე განსხვავებაა. ძირითადად, გავრცელებულია შემაჯამებელი ლიდი (30% - ამერიკული პრესა; 46.7% - ბრიტანული პრესა). პირველი პირის ნაცვალსახელი (I) ბრიტანულ გაზეთში ყველაზე გავრცელებული აღმოჩნდა (42.5%), მაშინ როდესაც ამერიკულ გაზეთში უფრო ხშირია მეორე პირის ნაცვალსახელი (you) 38.5%.

### **თავი III ინდივიდუალური აზრის გამომხატველი სტატიები ინგლისურენოვან პრესაში (წერილი რედაქციისაგან, კომენტარი/სვეტი)**

მკითხველზე რომ იმოქმედო, მასში ემოცია უნდა აღძრა. საუკეთესო ორატორი სიტყვის წარმოთქმამდე განსაზღვრავს, რა განწყობა სურს, რომ გამოიწვიოს მსმენელში. მიზნიდან გამომდინარე, მთხრობელი ზუსტად ირჩევს შესაბამის სიტყვებს, პაუზებს, ინტონაციას. ჟურნალისტი რომელიც ინდივიდუალური აზრის გამომხატველ სტატიას წერს, გარკვეულწილად

ორატორის ფუნქციას ასრულებს. იგი მკითხველთან “გასაუბრებასა” და მის შეხედულებებზე ზემოქმედებას ცდილობს. არისტოტელე თვლიდა, რომ სამი რამ არწმუნებს მსმენელს: პირველი—თავად მოსაუბრის პიროვნება ანუ მისი მორალური შეხედულებები და გონიერება, მეორე-მსმენელის დამოკიდებულება და მესამე, თავად არგუმენტები. ამ მოსაზრებაზე დაყრდნობით კენეტ რისტრომი (კ. რისტრომი, 1999) თვლის, რომ მკითხველზე ორი გზით შეიძლება ზემოქმედება: სათანადო ემოციის გამოწვევითა და რაციონალური მსჯელობით.

ინდივიდუალური, პირადი აზრის გამომხატველ სტატიებში მეტ-ნაკლებად ერთდროულადაა მოცემული ემოციაცა და განსჯაც. ბალანსს ემოციურ მიდგომასა და რაციონალურ განსჯას შორის ჟურნალისტი საკუთარი პრაგმატიკული მიზანმიმართებიდან გამომდინარე იცავს. შესაბამისად, ინდივიდუალური აზრის გამოხატვა ორი გზით ხდება: გაწონასწორებული მსჯელობითა და ემოციური თხრობის მანერით. საკვლევი მასალა გვარწმუნებს, რომ ხშირად, თხრობის დროს, ამ ორი სტილის შერწყმა ხდება. ამრიგად, ასეთი სახის სტატიებში ჩვეულებრივ გვხვდება ემოციური და კონატიური ფუნქციები.

### აგებულება

ვიდრე ინდივიდუალური აზრის გამომხატველ სტატიებს უფრო დაწვრილებით განვიხილავდეთ, განვსაზღვრავთ, თუ როგორაა მოცემული ასეთი სახის ამბები ინგლისურენოვან გაზეთში და რითი განსხვავდება ასეთი სახის სტატიები სხვა სტატიებისაგან.

დასავლურ ჟურნალისტიკაში განასხვავებენ ფაქტსა და ინდივიდუალურ აზრს, შეხედულებას (fact and opinion) (კ. რისტრომი, 1999; მ. მენხერი, 1993). ინდივიდუალური აზრის გამომხატველი სტატიები ამერიკულ და ბრიტანულ გაზეთში ცალკეა გამოყოფილი. ამერიკულ გაზეთში ასეთი სახის სტატიებს ერთი ტერმინი (opinion) აერთიანებს, რასაც ჩვენ ინდივიდუალურ აზრს ან შეხედულებას ვუწოდებთ. აქ ცალკეა გამოყოფილი წერილი რედაქციისაგან და მისი საპირისპირო გვერდი (op-ed page), სადაც განთავსებულია სვეტი (column). სვეტი შეიძლება მოიცავდეს სხვადასხვა თემატურ სტატიას. აზრთა სხვადასხვაობის გამოსახატად გაზეთი გვთავაზობს წერილს რედაქციისაგან ანუ

“კონსერვატორულ” წერილს და სვეტს ანუ “ლიბერალურ” წერილს, რომელსაც გაზეთის მესვეტე ან მოწვეული ექსპერტი წერს.

ბრიტანულ გაზეთში "გარდიანი" ინდივიდუალური აზრის გამომხატველი სტატიები კომენტარისა და ანალიზის (comment & analysis) სახელით ქვეყნდება. ამ გვერდზე განთავსებულია წერილი რედაქციისაგან, კომენტარი და წერილი რედაქციას. დიდი ტელეგრაფი გამოყოფს კომენტარის გვერდს. კომენტარს თან ახლავს ავტორის ფოტოსურათი, მისი სახელი და გვარი. უნდა აღინიშნოს, რომ ამერიკულ გაზეთშიც სვეტს აგრეთვე ახლავს ავტორის ფოტოსურათი. შესაბამისად, შეიძლება ითქვას, რომ სვეტსა და კომენტარს შორის არსებითი განსხვავება არც არის.

*რაც შეეხება წერილს რედაქციისაგან, იგი უფრო მეტად ოფიციალურია, ვიდრე კომენტარი/ სვეტი. მასში არ გვხვდება პირველი პირის ნაცვალსახელი (I).*

წერილში რედაქციისაგან ან არ გვხვდება პირის ნაცვალსახელი ან გამოიყენება მხოლოდ პირველი პირის ნაცვალსახელი ჩვენ (we) რედაქციის პოზიციის გადმოსაცემად. ეს მოვლენა აიხსნება იმ ფაქტით, რომ წერილი რედაქციისაგან მთლიანად რედაქციის პოზიციას გამოხატავს და კოლექტიური ცნობიერების ნიმუშია. შესაბამისად, ასეთი სახის სტატიაში არ არის მითითებული კონკრეტული ავტორი.

*რაც შეეხება სვეტს/კომენტარს, უმეტესად, პირველი პირის ნაცვალსახელი მე (I) გამოიყენება. მიმართვა მკითხველისადმი არაოფიციალურია, გვხვდება ბრძანებითი კილო და მეორე პირის ნაცვალსახელი თქვენ (you). ეს თავისებურებები სვეტის/კომენტარის სპეციფიკიდან გამომდინარეობს.*

ქვემოთ უფრო დაწვრილებით განვიხილავ ორივე ჟანრს.

### 3.1 წერილი რედაქციისაგან

წერილი რედაქციისაგან ხშირად ავტორის სახელისა და გვარის გარეშე ქვეყნდება. ეს აიხსნება იმით, რომ ასეთი ჟანრის სტატია კერძო პირის აზრს

არ გამოხატავს. იგი მთლიანად რედაქციის პოზიციის გამომხატველია. რისტრომი (1999) თვლის, რომ ეს ტენდენცია ნელ-ნელა სუსტდება. ავტორს თავისი აზრის დასასაბუთებლად 1988 წელს ჩატარებული კვლევა მოჰყავს, რომლის მონაცემების მიხედვით დამოუკიდებლად არსებული გაზეთების ჟურნალისტთა 72% თავისუფალია ყველანაირი გავლენისაგან.

როგორია "წერილის რედაქციისაგან" არქიტექტონიკა?

*“არ არსებობს ფორმულა, რომლის მიხედვითაც იწერება წერილი რედაქციისაგან. არც ერთი ასეთი სახის სტატია ერთმანეთს არ ჰგავს,”* - კენეტ რისტრომი (1999).

ჯერ კიდევ მიმდინარეობს დისკუსია იმის თაობაზე, თუ არგუმენტების როგორი სახით წარდგენაა დამაჯერებელი. ამ თვალსაზრისით განიხილავენ ცალმხრივსა და ორმხრივ არგუმენტაციას. (რისტრომი, 1999).

ცალმხრივი არგუმენტაცია, უმეტესად, II მსოფლიო ომის დროს იზიდავდა მკითხველს. ორმხრივი არგუმენტაცია ძირითადად ისეთი მკითხველისთვისაა მისაღები, რომელიც სტატიის პოზიციის მიმართ მტრულადაა განწყობილი, ან კარგი განათლება აქვს მიღებული და ამდენად, შეჩვეულია ორივე მხარის მოსაზრების გათვალისწინებას.

რაც შეეხება არგუმენტების წყობას, პრაგმატიკული თვალსაზრისით ყველაზე წამგებიანია სტატიის შუაგულში არგუმენტის მოთავსება. ავტორმა სტატია ძლიერი არგუმენტით უნდა დაიწყო და ასეთივე ძლიერი არგუმენტით უნდა დაამთავროს, რადგანაც დასასრული ყველაზე დიდხანს რჩება მკითხველის მესხიერებაში.

საყურადღებოა, რომ მკითხველები ისეთ ინფორმაციას ეძებენ და აღიქვამენ, რომელიც მათ შეხედულებას ესადაგება (რისტრომი, 1999). შესაბამისად, უმრავლესობა უგულვებელჰყოფს ისეთ ინფორმაციას, რომელიც ეწინააღმდეგება მათ იდეოლოგიას ან მის რეინტერპრეტაციას ახდენს.

რისტრომი (1999) თვლის, რომ ავტორმა პირადი აზრი იმგვარად უნდა გამოხატოს, რომ არ გამოიწვიოს მკითხველში ანტაგონიზმი. იგი ამ ქანრის (წერილის რედაქციისაგან) შემდეგ ფორმატს გვთავაზობს SA<sub>1</sub>A<sub>2</sub>DC- ეს ფორმულა ორმხრივი არგუმენტაციის მაგალითია. S გულისხმობს - სიტუაციის აღწერას, A<sub>1</sub>- ერთი მხარის არგუმენტს, A<sub>2</sub> - მეორე მხარის არგუმენტს, D - დისკუსიას, განხილვას, ხოლო C დასკვნას. უნდა აღინიშნოს, რომ, ძირითადად, წერილი რედაქციისაგან ასეთი სტრუქტურით იწერება. თუმცა, ყურადსაღებია ის ფაქტიც, რომ ამ ქანრის ყველასათვის მისაღები და მკაცრად სტრუქტურული ტიპი არ არსებობს. აქედან გამომდინარე, არცერთი წერილი რედაქციისაგან ერთმანეთს არ ჰგავს. იგი არამარტო ინდივიდუალური მოსაზრების, არამედ ინდივიდუალური აზროვნების მიმანიშნებელიცაა და ამიტომ მისი ჩარჩოებში მოქცევა შეუძლებელია.

აგრეთვე, ამ ქანრში გავრცელებულია ცალმხრივი არგუმენტაციის ორი ფორმულა: SAC და CSAC. SAC S-სიტუაცია, A-არგუმენტი, C-დასკვნა. ხოლო ფორმულაში CSAC: C არის თავშივე მოცემული დასკვნა, S-სიტუაცია, A-არგუმენტი, C- ბოლოში მოცემული დასკვნა (რისტრომი, 1999).

ბრიტანულ წერილს რედაქციისაგან ნარატივის ფორმა აქვს, ლიდი შესაგალია, შემდეგ მოდის შუა ნაწილი და დასკვნა.

ლიდი სტატიის ყველაზე მნიშვნელოვანი ნაწილია. მას მკითხველის მიზიდვის ფუნქცია აკისრია. ამიტომ, ცხადია, ყველაზე ხშირად ინდივიდუალური აზრის გამომხატველ სტატიებში ავტორის თვალსაზრისი სწორედ ლიდში გამოიხატება. ითვლება, რომ ყველაზე გავრცელებული ლიდი სიტუაციის აღწერაა, რომელსაც უმეტესწილად ახალ ამბებში მოცემული ინფორმაციის გადამღერებად მიიჩნევენ. რისტრომი (1999) თვლის, რომ ზოგჯერ მკითხველზე ზეგავლენის მოხდენის ყველაზე ეფექტური საშუალებაა გავრცელებული მოსაზრებით დაწყება ე.წ. but-sentence, რაც გულისხმობს "მაგრამ" კავშირის შემდეგ მეორე მოსაზრებაზე გადასვლასა და მის მტკიცებას. მაგალითად,

"In his state of the Union address a year ago, President Bush announced an ambitious new program to combat AIDS overseas. He pledged to spend \$15 billion over five years to prevent new AIDS infections, provide antiretroviral treatment and care for the sick and orphans.

The initiative is only now getting started. Mr. Bush's new global AIDS coordinator, Randall Tobias, is about to announce the first round of grants, which will total \$350 million. Mr. Tobias is full of energy and enjoys a reputation as a good manager. *But there are worrisome signs that the administration may be making decisions that benefit important constituencies at the expense of fighting AIDS.*" (*The New York Times*, Feb. 16, 2004)

“ერთი წლის წინ თავის სამთავრობო გამოსვლაში, პრეზიდენტმა ბუშმა განაცხადა ახალი ამბიციური პროგრამის შესახებ დაემარცხებინა შიდსი საზღვარგარეთ. მან მოითხოვა 15 მილიონი დოლარის გამოყოფა იმ მიზნით, რომ თავიდან აეცილებინათ შიდსის გავრცელება, უზრუნველყვით ანტირეტროვირული მკურნალობა და მზრუნველობა გაეწიათ დაავადებულებებისა და ობლებსთვის.

ინიციატივა მხოლოდ ახლა იწყება. ბატონი ბუშის ახლად დანიშნული გლობალური შიდსის წინააღმდეგ ბრძოლის პროგრამის კოორდინატორი, რანდალ ტობიასი, სულ მალე გამოაცხადებს საგრანტო პროგრამის პირველ რაუნდს, რომელიც 350 მილიონ დოლარს უტოლდება. ბატონი ტობიასი ენერგიით სავსეა და კარგი მენეჯერის რეპუტაციით სარგებლობს. *მაგრამ, შეიმჩნევა შემაშფოთებელი ნიშნები, რომ შესაძლოა ადმინისტრაციის გადაწყვეტილებებმა სარგებლობა მოუტანოს მნიშვნელოვან სუბიექტებს შიდსის წინააღმდეგ ბრძოლის ხარჯზე.*” (ნიუ იორკ ტაიმსი, 16 თებერვალი, 2004).

ავტორი თავდაპირველად თითქოს დადებითად ახასიათებს ინიციატივას: ეს დასტურდება დადებითი კონტრასტის მქონე ერთეულებით - ახალი პროგრამა (new program), თავიდან აცილება (to prevent), ავადმყოფებზე ზრუნვა (care for the sick), ენერგიით აღსავსე (full of energy), კარგი მენეჯერი (a good manager). კავშირის მაგრამ (but) შემდეგ წერილის ავტორი პირდაპირ გამოთქვამს თავის მოსაზრებას, რაც გამოიხატება უარყოფითი სემანტიკის მქონე ერთეულების აქტუალიზაციით და კონტექსტით: შემაშფოთებელი ნიშნები (worrisome signs),



სარგებლობას მოუტანს მნიშვნელოვან სუბიექტებს შიღის წინააღმდეგ ბრძოლის ხარჯზე (benefit important constituencies at the expense of fighting AIDS).

ქვემოთყვანილი ლიდი კონტრასტულია. ეს მაგალითი ბრიტანული გაზეთიდანაა ამოღებული და უფრო მეტი ემოციურობითა და შემფასებლურობით ხასიათდება. მასში სუბიექტური თვალით დანახული ფაქტებია აღწერილი:

"Sometimes events hundreds of miles apart coincide to illuminate a bigger central truth. President W. Bush was in London on the day when Islamic fanatics struck British targets in Istanbul. Their bomb were detonated as tens of thousands of people were gathering to march through London to flaunt their contempt for the American President and their opposition to the coalition's mission in Iraq. Most of the marchers were decent people- even if we happen to think they are misguided-and it is good to see crowds assemble peacefully to enjoy the freedoms that we take for granted, and that al-Qaeda's terrorists so despise. However, the culmination of the rally in Trafalgar Square, where a statue of Mr. Bush was ceremoniously pulled down and stamped upon, even as Britons and Turks still lay dead in the rubble of Istanbul, was ugly and puerile." (The Daily Telegraph, November 22, 2003).

“ზოგჯერ მოვლენები ასობით მილის მოშორებით ერთმანეთს და ნათელს ჰფენს უფრო ღიდ, მთავარ ჭეშმარიტებას. პრეზიდენტი ბუში ლონდონში იმყოფებოდა მაშინ, როდესაც მუსულმანმა ფანატიკოსებმა იერიში მიიტანეს ბრიტანულ სამიზნეებზე სტამბულში. მათი ნაღმი მაშინ აფეთქდა, როდესაც მთელს ლონდონში ათასობით ადამიანი გამოდიოდა საპროტესტო მარშით, რომ გამოეხატათ თავიანთი უკმაყოფილება და პროტესტი ამერიკელი პრეზიდენტისა და ერაყში კოალიციის მისიის მიმართ. აქციის მონაწილეების უმრავლესობა წესიერი ადამიანებისგან შედგებოდა, თუმცა ჩვენ შეიძლება ვფიქრობდეთ, რომ ისინი შეცდომაში შეიყვანეს – მაინც კარგია, დაინახო მშვიდობიანი აქცია, როდესაც ხალხი იყენებს თავისუფლებას, რომელიც ჩვენთვის უცხო არ არის, ხოლო აღ-ქაედას ტერორისტებს კი სძულთ. თუმცა, აქციის კულმინაცია ტრაფალგარის სკვერზეა, სადაც ბატონი ბუშის ფიტული სახეიმოდ ჩამოაგდეს და გათელეს, როდესაც დაღუპული ბრიტანელები და თურქები სტამბულში

ნანგრევებში იწვნენ, ეს ამაზრზენი და არაგონივრული იყო.” (დეილი ტელეგრაფი, 22 ნოემბერი, 2003).

ამ კონკრეტულ მაგალითში ავტორი განსხვავებულ სურათებს აღწერს, იგი უპირისპირებს ტერორისტულ აქტს - თურქეთში და აქციას - ლონდონში. კონტრასტული სურათების აღწერა აცოცხლებს ლიდს და ინტერესს აღძრავს მკითხველში. ავტორი საკუთარ თავს მკითხველთან აერთიანებს და იყენებს ნაცვალსახელს ჩვენ (we). ის აგრეთვე ადარებს ორ სხვადასხვა ფაქტს, პარალელს ავლებს და საკუთარ პოზიციას გამოხატავს. ავტორი საკმაოდ კრიტიკულია მოწინააღმდეგე მხარის მიმართ და სურს, მკითხველის გრძნობებზე იმოქმედოს. სტატიის სტილი უარყოფითი კონოტაციის სიტყვებია გამოყენებული, როგორცაა სიძულვილი, ამაზრზენი, არაგონივრული (Despise, ugly, puerile).

*წერილი რედაქციისაგან* ხშირად შემაჯამებელი ლიდით იწყება. ამ ტიპის ლიდი ახალი ამბების ლიდისაგან იმით განსხვავდება, რომ რედაქციის მიერ მოვლენების შეფასებას იძლევა:

"The U.S. constitution guarantees a lawyer to those accused of crimes-but in Virginia this guarantee often isn't worth much to defendants without money. *This fact has been shamefully true for some time*, and for some time the state has shrugged off criticism. Now a new and authoritative report documents in detail to *magnitude of the state's failure*, including its failure to heed prior warnings. *The warnings should not be ignored again.*" (The Washington Post, Feb. 10, 2004).

“აშშ-ს კონსტიტუცია უზრუნველყოფს ადვოკატს მათთვის ვინც დანაშაულშია ეჭვმიტანილი - მაგრამ ვირჯინიაში ეს უფლება ბევრს არაფერს ნიშნავს იმ ეჭვმიტანილებისთვის, ვისაც ფული არ აქვთ. ეს ფაქტი სამარცხვინოდ მართალი იყო გარკვეული პერიოდის მანძილზე და შტატის ხელისუფლება უგულვებელყოფდა კრიტიკას. ამჟამად, ახალ და გავლენიან დოკუმენტებში დეტალურად და სრულადაა აღწერილი შტატის მარცხი, ამასთანავე, წინასწარი გაფრთხილების გაუთვალისწინებლობა. ეს

გაფრთხილებები აღარ უნდა იყოს ისევ უგულებელყოფილი.” (ვაშინგტონ პოსტი, 10 თებერვალი, 2004).

პირველი წინადადება ახალი ამბებისთვისაა დამახასიათებელი, იგი ასახელებს პრობლემას, მაგრამ მას მოსდევს შეფასება. შეფასება პირდაპირია, მას ემფატურობას ჰმატებს სიტყვები *სამარცხვინოდ და სიდიდე* (shamefully და magnitude). ლიდი დასკვნის ფუნქციას ასრულებს, გამოხატავს რედაქციის მოთხოვნას. ამ ვარაუდს ადასტურებს მოდალური ზმნაც should.

*წერილში რედაქციისაგან* ლიდი გაცილებით უფრო დიდი ზომისაა, ვიდრე ახალ ამბებში. მაგალითად, ვაშინგტონ პოსტში გამოქვეყნებული ერთ-ერთი წერილის რედაქციისაგან ლიდი 170 სიტყვისაგან შედგება.

“David Kay's Appearance in Washington last month has crystallized the conclusion that the stockpiles of weapons of mass destruction that the British administration cited as a prime source of the threat from Iraq did not exist. Though the Iraq survey Group that Mr. Kay headed until his resignation has not yet issued its report, and by all accounts is months away from completing its work, even President Bush has now publicly accepted that a central part of the intelligence he presented to the country was wrong. All political attention now focuses on why it was wrong and on who might be responsible. These are vital questions, and Mr. Bush was right to establish a commission to study the failure-even if, in so doing, he sought to limit the scope of its inquiry while pushing its report past this year's elections. But the cause of the flawed intelligence is not the only outstanding question about Iraq that needs examining. Important as it is, it is not even the most puzzling one.” (The Washington post, Feb. 10, 2004)

“ღვივდ ქვის გამოჩენამ ვაშინგტონში გასულ თვეს ნათელი მოჰფინა დასკვნას, რომ მასობრივი განადგურების იარაღის მარაგი, რომელიც ბრიტანეთის ადმინისტრაციამ დაასახელა როგორც საფრთხის მთავარი წყარო, ერაყში არ არსებობს. თუმცა, ერაყის საკითხების მიმოხილვის ჯგუფს, რომელსაც ბატონი ქვი გადადგომამდე ხელმძღვანელობდა, არ გამოუქვეყნებია მოხსენება და რამდენიმე თვე მაინც დასჭირდება მის დასრულებას. პრეზიდენტმა ბუშმაც უკვე სახალხოდ აღიარა, რომ დაზვერვის მონაცემების მთავარი ნაწილი, რომელიც მან ქვეყნის წინაშე წარადგინა, მცდარი იყო.

პოლიტიკური ყურადღება ახლა გადასულია იმ საკითხზე თუ რატომ იყო მცდარი და ვინ შეიძლება იყოს პასუხისმგებელი. ეს მნიშვნელოვანი კითხვებია და ბატონი ბუში მართალი იყო, როდესაც კომისია დააარსა მარცხის მიზეზების გამოსაკვლევადა, მაშინაც კი, თუ ის ცდილობდა შეეზღუდა შესწავლის სფერო და მოხსენება ამ წლის არჩევნების შემდეგ გადაედო. მაგრამ *დაზვერვის მცდარი* მონაცემები არ არის ერთადერთი ყურადსაღები საკითხი ერაყთან მიმართებაში, რომელიც შესწავლას საჭიროებს. თუმცა თავისთავად მნიშვნელოვანია, ეს კითხვა მაინც არ არის ყველაზე მეტად დამაფიქრებელი” (ვაშინგტონ პოსტი, 10 თებერვალი, 2004).

ლიდის ტიპები, რომლებიც ახალ ამბებში ცალ-ცალკე გვხვდება ანუ ლიდი, რომელიც სიტუაციას აღწერს და ლიდი, რომელიც კითხვისაგან შედგება, ამ კონკრეტულ მაგალითში გაერთიანებულია. გარდა ამისა, მკვეთრად ჩანს შეფასების ფაქტორიც და რედაქციის უარყოფითი დამოკიდებულებაც. რედაქციის პოზიცია პირველივე წინადადებაში აშკარა ხდება, კერძოდ, ფრაზაში *ნათელი მოპვინა დასკვნას* (has crystallized the conclusion), საფრთხე არ არსებობდა (the threat did not exist), მცდარი (wrong), ნაკლოვანი დაზვერვა (flawed intelligence). წერილი პირდაპირია და შეფასებისას ინარჩუნებს ოფიციალურ ტონს. ლიდში კიდევ ერთი ხერხია გამოყენებული, კერძოდ, საპირისპირო აზრზე ‘გადამყვანი წინადადება’ ე.წ. *but sentence*, მისი საშუალებით ორივე თვალსაზრისი ჩანს და ორივე სათანადოდაა შეფასებული.

ერთ-ერთი მაგალითი დეილი ტელეგრაფიდან გვიჩვენებს, რომ ლიდი შეიძლება მოწოდებასაც შეიცავდეს:

"Here in Britain, the Istanbul bombs have provoked anguish, anger and anxiety in equal measure: anguish at the pitiless cruelty of the terrorists, and anxiety at the prospect of further attacks on British targets. *Yet another emotion ought to come into play alongside anguish, anger and anxiety-solidarity.*" (The Daily Telegraph, Nov. 22, 2002).

“აქ ბრიტანეთში, სტამბულის აფეთქებებმა გამოიწვია ტკივილი, ბრაზი და აღშფოთება თანაბარი ზომით: ტკივილი ტერორისტების დაუნდობელი სისასტიკის მიმართ და აღშფოთება ბრიტანულ სამიზნეებზე შემდეგი

შეტაკებების გამო. მაგრამ კიდევ ერთი ემოცია უნდა წარმოჩინდეს ტკივილის, ბრაზისა და აღშფოთების გარდა - სოლიდარობა.” (დეილი ტელეგრაფი, 22 ნოემბერი, 2002).

წერილში რედაქციისაგან არ გვხვდება კონკრეტულად განსაზღვრული ლიდის ტიპები და არსებული ლიტერატურა არ გვათავაზობს მათ ცალსახა დაჯგუფებას. მიუხედავად ამისა, შესწავლილი საკვლევი მასალის საფუძველზე (შემთხვევითი პრინციპით შერჩეული 60 სტატია) შეიძლება დადგინდეს, რომ წერილს რედაქციისაგან შემაჯამებელი, კონტრასტული, ამბის გადმომცემი ლიდი და მიმართვა ახასიათებს. დესკრიფციული სტატისტიკის შედეგად შემდეგი მონაცემები მივიღეთ.

შემაჯამებელი ლიდი	60%
კონტრასტული ლიდი	10%
ამბის გადმომცემი ლიდი	16.7%
მიმართვა	13.3%

კარგად დაწერილი წერილი რედაქციისაგან რამდენიმე ფაქტორს უნდა ითვალისწინებდეს (რისტრომი, 1999).

1. ფაქტების ზომიერი რაოდენობა (ანუ ფაქტების სიმრავლემ არ უნდა დაღალოს მკითხველი და მათმა სიმცირემ არ უნდა შეამციროს დამაჯერებლობა)
2. ლოგიკური დასასრული
3. თანმიმდევრობა
4. ზუსტი რეფერენტი
5. შესაფერისი სიგრძის სიტყვები
6. სიტყვების ეკონომია
7. გრამატიკა
8. კლიშეებისა და ჟარგონების არარსებობა
9. ცალკეული სიტყვების სწორი გამოყენება

თანმიმდევრობაში მიმართვის ფორმა იგულისხმება. წერილი რედაქციისაგან თანმიმდევრულად უნდა იყენებდეს ერთი სახის მიმართვას: პირველი პირის ნაცვალსახელი - ჩვენ ( we) , მეორე პირის ნაცვალსახელი შენ (you) ან მესამე პირის ნაცვალსახელი ის (he, she, it). როდესაც, რედაქცია იგულისხმება ხშირად გვხვდება ფრაზა ეს (ამ, წინამდებარე) გაზეთი (this newspaper).

"Explaining his decision, in this newspaper yesterday. . ." (The Daily Telegraph, March 7, 2002).

“მისი გადაწყვეტილების ასხნისას ამ გაზეთში გუშინ. . .” (დეილი ტელეგრაფი, 7 მარტი, 2002).

*კარგად დაწერილი დასაწყისი იზიდავს მკითხველს.  
კარგად დაწერილი დასასრული არწმუნებს მკითხველს (რისტრომი, 1999)*

სტატიის მიზნიდან გამომდინარე, წერილი რედაქციისაგან შესაძლოა მკითხველისადმი სხვადასხვა მიმართვით დასრულდეს. ეს დამოკიდებულია ავტორის მიზანზე და მის სიმტკიცეზე. ზოგადად, რისტრომი (1999) დასასრულის ექვს ფორმულას გამოჰყოფს:

1. მოწოდებას (urge) 2. მოწონებას (approve) 3. დაწუნებას (disapprove) 4. სამართლიან დასკვნას (conclude righteously) 5. ნუგეშისცემას (take consolation) და 6. არარადიკალურ, "შერბილებულ" დასასრულს (come down slightly).

ქვემოთ ექვსივე ფორმის დაბოლოება დაწვრილებითაა განხილული და დასახელებულია მათთვის დამახასიათებელი ერთეულები:

1) *მოწოდება* - დასასრული, რომელიც მოწოდებას შეიცავს, ყველაზე სპეციფიკური და პირდაპირია. იგი მკითხველებს და მთავრობას მოქმედებისკენ მოუწოდებს. რისტრომი (1999) შემდეგ ენობრივ მახასიათებლებს გამოარჩევს: do; must; ought; should; We urge; need to და hope.

შემთხვევითი შერჩევის პრინციპით შერჩეული 65 ტიპის სტატიიდან 35 სტატიის დასასრული გამოხატავდა **მოწოდებას**. აქედან ზემოთაღნიშნული

ენობრივი მახასიათებლების სიხშირე შემდეგი იყო do (1); must (3); ought (1); should (9); need to(15), hope (1). საკვლევი მასალიდან აგრეთვე დავასახელებ have to (3) და it's time (2).

2) *მოწონება* - მოწონების მახასიათებლებად რისტრომს მიაჩნია დადებითი კონოტაციის მქონე სიტყვებისა და ფრაზების არსებობა, მაგალითად: ძალიან საჭირო, კრიტიკული, საუკეთესო, ბრძნული, წამახალისებელი, იმსახურებს მოწონებას, დროა, უდიდესი ნაბიჯი და კარგი (Badly needed; Critical; Best; Wise; Encouraging; Worth hailing; About time; Giant Step და Good). გარდა ამისა, ამ ტიპის სტატიებში შემდეგ ერთეულებს დავასახელებ: საუკეთესო გზა, ბევრად უკეთესი, სწორედ; [სწორი ნაბიჯი] (the best way; far better; rightly; [right move]).

შესწავლილი სტატიებიდან 11 აღმოჩნდა მოწონების გამომხატველი. რაც შეეხება ენობრივ მახასიათებლებს, სტატისტიკა შემდეგია: best (1); step forward (1); the best way (1); better (2); rightly (2); და right [move] (4).

3) რისტრომი (1999) *დაწუნების* (4 შემთხვევა) შემდეგ ენობრივ მახასიათებლებს გამოჰყოფს: სწრაფი სიკვდილი, არ უნდა, უიღბლო, პრობლემა, შეცდომა, ბოლო რამ, უკეთესი გზა (Quick Death, Should not, Unfortunate, Trouble, Mistake, Last thing და Better way). შესწავლილი სტატიებიდან 4 სტატიის დასასრული გამოხატავდა დაწუნებას. თუმცა დაწუნების გამომხატველი ეს ენობრივი ერთეულები რისტრომის (1999) მიერ არ არის დასახელებული და მხოლოდ კვლევის შედეგად გამოვლინდა: Should not (2); alas (1) და don't (1).

4) *სამართლიანი შენიშვნა* (3 შემთხვევა)

რისტრომი (1999) შენიშნავს, რომ მკითხველს არ უყვარს ქადაგების მოსმენა, თუმცა *წერილის რედაქციისაგან* ერთ-ერთი ფუნქცია სწორედ ეს არის. ბევრი *წერილი რედაქციისაგან* ხაზს უსვამს ადამიანის უფლებების დაცვის ფაქტორს.

რისტრომი (1999) ასეთი სახის დასკვნისთვის დამახასიათებელ 2 ფრაზას გამოჰყოფს: საზოგადოების უფლება, თავისუფლების შენარჩუნება (The public's right; Preservation of liberties). სამართლიანი შენიშვნის სულ სამი მაგალითი შეგვხვდა მასალაში და ის შემდეგი ენობრივი ერთეულებით იყო გამოხატული

თავისუფლების მიზეზი (თავისუფალი საზოგადოება) (The cause of freedom (free society)).

#### 5) ნუგეშისცემა (6 შემთხვევა)

როდესაც მოვლენები უარყოფითად ვითარდება, ჟურნალისტი სტატიის იმედთან დასასრულს ამჯობინებს. რისტრომი ასეთი დასასრულის შემდეგ ენობრივ მახასიათებლებს გამოჰყოფს: Yes, but; But, at least; Not without faults, but.

საკვლევ მასალაში ნუგეშისცემის 6 შემთხვევა დაფიქსირდა: აქედან უკიდურეს შემთხვევაში (at least) (3) და ვიმედოვნებთ (we hope) (3 შემთხვევა).

#### 6) არარადიკალური დასასრული (5 შემთხვევა)

*წერილში რედაქციისაგან* გავრცელებული მეექვსე ტიპის დასასრული არის არარადიკალური დასასრული. ამ ტიპის დასასრული გვხვდება მაშინ, როდესაც სტატიაში არ არის გამოხატული მტკიცე პოზიცია. მისი ენობრივი მახასიათებლებია could; might; but (რისტრომი, 1999).

ჩემს მიერ მოძიებულ მაგალითებში ძირითადად შემდეგი ენობრივი მახასიათებლები გახლდათ: შეეძლო (could) (2) და მაგრამ (but) (3).

უმეტესწილად, *წერილი რედაქციისაგან* პირდაპირ და აშკარად გამოხატავს ინდივიდუალურ აზრს, მაგრამ ამ სახის სტატიაში გარკვეული ორაზროვნებაც გვხვდება, მესიჯის დეკოდირება კი მკითხველის თეზაურუსსა და ზოგად განსწავლულობაზეა დამოკიდებული.

თანამედროვე ტექნიკა და მასთან დაკავშირებული ცნებები გაზეთში გარკვეულწილად ენის საშუალებით აისახება. "ნიუ იორკ ტაიმზში" გამოქვეყნებული წერილი რედაქციისაგან სწორედ ასეთ ტერმინოლოგიას შეეხება.

"Not so long ago the most powerful person in America was referred to as 'the man with a finger on the button.'" (The New York Times, March 1, 2004)



“არცთუ ისე დიდი ხნის წინათ ყველაზე ძალაუფლებისმქონე პიროვნება ამერიკაში მოიხსენიებოდა როგორც ‘პიროვნება რომელსაც თითო დილაკზე ეჭირა.’ ” (ნიუ იორკ ტაიმსი, 1 მარტი, 2004)

თავად სტატიის სახელწოდებაა Press Here to Control the Universe, ნათლად მიუთითებს, რომ ეს გამოთქმა ტექნოლოგიების განვითარებასთან ერთად გავრცელდა, რადგან დილაკის მეშვეობით შესაძლებელია სიტუაციის ეფექტური მართვა გარკვეული დისტანციიდან.

გვხვდება იდიომატური გამოთქმებიც, მაგალითად, to throw off the yoke, რომელიც უღელის თავიდან მოშორებას ნიშნავს.

"In Washington, Mr. Bush challenged Muslims who live under oppressive and corrupt rulers to throw off that yoke. . ." (The Daily Telegraph, Nov. 21, 2003).

“ვაშინგტონში, ბატონმა ბუშმა მოუწოდა მუსულმანებს, რომლებიც ზეწოლისა და კორუმპირებული მმართველების ქვეშ ცხოვრობენ მოიშორონ ეს უღელი . . . ” (დეილი ტელეგრაფი, 21 ნოემბერი, 2003).

*წერილში რედაქციისაგან გავრცელებულია ზმნის თქმა (to say) სემანტიკური სინონიმები რწმენა, მოთხოვნა, საუბარი, წინასწარმეტყველება, შეთავაზება (believe, claim, talk, predict, suggest) - ეს ენობრივი ერთეულები კონტექსტში განსხვავებულ სტილისტურ ელფერს იძენენ.*

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ *წერილის რედაქციისაგან* წერის მანერა უადრესად ინდივიდუალურია და რთულია მისი გარკვეული ნიშნები უტყუარ მახასიათებლებად მივიჩნიოთ.

წერილში რედაქციისაგან მითოსური ხანის გადმონაშთებს შეიცავს, რადგანაც აქ ფართოდ არის გავრცელებული დეიქსისი ჩვენ (we).

“მითოსური ხანის საზოგადოებაში მუდამ ერთიანობა სჭარბობს განსხვავებას . . . ეს იმიტომაცაა, რომ ცნობიერება აქ კოლექტიურია მე-ს განცდა მცირეა და იკარგება ჩვენ-ში.” (ზ. ხასაია, 2003)

როგორც ზემოთ აღვნიშნე, წერილში რედაქციისაგან გვხვდება არამართო რეფერენციული, მეტალინგვისტური და ემოციური ფუნქცია, არამედ პოეტური, ფატიკური და კონატიური.

### 3.2 კომენტარი/სვეტი

ინდივიდუალური აზრის გამოხატვის მიხედვით ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო უანრია კომენტარი/სვეტი. ამ სახის სტატია არამართო აფასებს ან ზემოქმედების მოხდენას ცდილობს, არამედ მისი მიზანია გაართოს ან უბრალოდ გაესაუბროს მკითხველს, მოუყვეს და შეატყობინოს მას რაიმე ფაქტის შესახებ. გარდა ფოტოსურათისა, სვეტს/კომენტარს ავტორის ელფოსტის მისამართიც ახლავს, რაც საშუალებას აძლევს მკითხველს თავისი მოსაზრება აცნობოს სტატიის ავტორს. ამ გზით სტატიაში მოჩვენებით გათამაშებული დიალოგი შეიძლება რეალურადაც შედგეს.

როგორც ბრიტანულ, ისევე ამერიკულ გაზეთში კომენტარის/სვეტის დამახასიათებელი თვისებებია: პირველი პირის ნაცვალსახელი, კერძოდ, I, წერის არაოფიციალური მანერა, სასაუბრო სიტყვები და დიალოგური მეტყველება. თუმცა, ზოგჯერ მაღალფარდოვანი სტილიც არის გამოყენებული იმის მიხედვით, როგორია ავტორის პრაგმატიკული მიზანმიმართება. ასეთი სახის სტატიაში ავტორი თამამად გამოხატავს პირად აზრს, მიმართავს მკითხველს და დისკუსიაში იწვევს მას.

შემთხვევითი შერჩევის პრინციპით შესწავლილ იქნა 64 კომენტარი/სვეტი. საკვლევე მასალაში საინტერესო იყო, რამდენად ხშირად იყენებს ავტორი ნაცვალსახელებს მე (I), ჩვენ (we), და შენ ან თქვენ (you). კვლევის დროს მიმართვის ფორმით დაინტერესება გამოწვეულია იმ ფაქტით, რომ ჟურნალისტის ინდივიდუალური დამოკიდებულება მკითხველის მიმართ სწორედ მის მიერ შერჩეული მიმართვის ფორმებში შედგება. აღმოჩნდა, რომ ყველაზე ხშირად გამოიყენება ნაცვალსახელი მე (I), (სულ 121 შემთხვევა). ნაცვალსახელი ჩვენ (we) 95-ჯერ იყო გამოყენებული, ხოლო ნაცვალსახელი შენ (you) 73-ჯერ შეგვხვდა. ნაცვალსახელების ამგვარი სიხშირე კიდევ ერთხელ მიუთითებს იმ ფაქტზე, რომ კომენტარი/სვეტი ძირითადად ინდივიდუალური აზრის

გამოხატვისკენაა მიმართული და უშუალო კომუნიკაციის საშუალებას იძლევა. ამ ნაცვალსახელების თავისუფალი გამოყენება საშუალებას აძლევს ავტორს ნათლად გამოხატოს საკუთარი აზრი, მონათხრობში ჩართოს მკითხველი, პირდაპირ მიმართოს მას და შექმნას ერთიანობის შეგრძნება.

არაოფიციალური და სასაუბრო სტილის შემდეგ ფრაზებს მოვიყვან:

“He had none of the qualities that owed me when I watched President Clinton arrive in Britain eight years ago.” (The Daily Telegraph, Nov. 21, 2003).

“მას არ გააჩნდა ის თვისებები, რომლის მადლიერიც ვიყავი როდესაც პრეზიდენტი კლინტონი ბრიტანეთს ეწვია რვა წლის წინ.” (დეილი ტელეგრაფი, 21 ნოემბერი, 2003).

“Anyway, there I was when his Jaguar nosed up . . .” (The Daily Telegraph, Nov. 22, 2003).

“მიუხედავად ამისა, მე იქ ვიდექი, როდესაც მისი იაგუარი მომიახლოვდა.” (დეილი ტელეგრაფი, 22 ნოემბერი, 2003).

კომენტარი/სვეტისთვის ერთ-ერთი დამახასიათებელი თვისებაა რესპოდენტის დასახელების არაოფიციალური სტილი.

“Yet, as an Indian friend, Sunil Sobakrishna, pointed out to me. . .” (The New York Times, Feb. 11, 2004).

“და როგორც ინდიელმა მეგობარმა, სუნილ სობაკრიშნამ შემატყობინა. . .” (ნიუ იორკ ტაიმსი, 2004).

შესაძლოა, რესპოდენტის სახელი და გვარი არც იყოს მოცემული არაოფიციალური სტილის შენარჩუნების მიზნით ან რესპოდენტის უფლებებიდან გამომდინარე.

“One guest at the state banquet at Buckingham Palace on Wednesday night said . . .” (The Daily Telegraph, Nov. 21, 2003).

“ერთმა სტუმარმა სამთავრობო ბანკებზე ბუკინგემის სასახლეში განაცხადა ოთხშაბათ საღამოს . . .” (დეილი ტელეგრაფი, 21 ნოემბერი, 2003).

### როგორია კომენტარი/სვეტის სტრუქტურა?

საერთოდ, სტატიის სტრუქტურის შერჩევა ხშირად მასალასა და თავად თემაზეა დამოკიდებული. ჟურნალისტი ხელთარსებული ინფორმაციის მიხედვით წყვეტს არამართო როგორ დაიწყოს ან დაასრულოს, არამედ როგორ გადმოსცეს ამბავი.

საკვლევი მასალიდან შეიძლება დადგინდეს, რომ ზოგადად კომენტარი/სვეტი შემდეგი სტრუქტურისაა: გვაქვს დასაწყისი ანუ ლიდი, შუა ნაწილი, სადაც მთავარი მნიშვნელობა ენიჭება არგუმენტაციას და დასკვნა, რომელიც ავტორის შეფასებას ან მოწოდებას გამოხატავს. გარკვეულ შემთხვევებში სტატია კითხვითაც შეიძლება დასრულდეს.

აღსანიშნავია, რომ კომენტარში/სვეტში ჟურნალისტები ხშირად სვამენ კითხვებს, რაც უადვილებს ავტორსა და მკითხველს სხვადასხვა საკითხზე მსჯელობას და ამასთანავე, არ იკარგება სტატიის მთავარი არსი. საკუთრივ, კომენტარის ლიდის ტიპების შესახებ მწირი მასალაა ხელმისაწვდომი. გაზეთის სხვა ჟანრებში შესწავლილი და გავრცელებული ტიპების მიხედვით მაინც შეგვიძლება კვლევის საფუძველზე დამედგინა, რა ტიპის ლიდი გვხვდება ყველაზე მეტად კომენტარში/სვეტში.

შესაბამისად, შემდეგი ლიდის ტიპები შეიძლება გამოიყოს:

1. აღწერითი ლიდი
2. მიმართვა
3. ლიდი - კითხვა
4. ამბის გადმომცემი ლიდი
5. ლიდი - ციტატა

6. კონტრასტული ლიდი
7. კითხვა/შემაჯამებელი ლიდი
8. მიმართვა/შემაჯამებელი ლიდი

შემთხვევითი შერჩევის პრინციპით შევისწავლეთ 64 სტატია ლიდის გამოყენების სიხშირის მიხედვით. SPSS-ში მონაცემების ანალიზის შედეგი განთავსებულია ცხრილში:

ლიდის ტიპი	სიხშირე	პროცენტი
შემაჯამებელი	26	40.6
აღწერითი	12	18.8
მიმართვა	10	15.6
კითხვა	9	14.1
ამბის გადმომცემი	2	3.1
ციტატა	2	3.1
კონტრასტული	1	1.6
კითხვა/შემაჯამებელი	1	1.6
მიმართვა/შემაჯამებელი	1	1.6

ქვემოთ მოვიყვანოთ თითოეული ლიდის ტიპის მაგალითს.

როგორც ვნახეთ, შემაჯამებელი ლიდი არამარტო გაზეთის სხვა ჟანრებში, არამედ კომენტარში/სვეტშიც ძალიან გავრცელებულია.

“Israel goes out of its way to display its ugliest side to the world by tearing down Palestinian homes or allowing rapacious settlers to steal Palestinian land. (The New York Times, July 7, 2010).

“ისრაელი თავის არასახარბიელო მხარეს აჩვენებს სამყაროს პალესტინელების სახლების განადგურებით და გამძვინვარებული დამსახლებლებისთვის პალესტინელების მიწის მოპარვის უფლების მინიჭებით.” (ნიუ იორკ ტაიმსი, 7 ივლისი, 2010).

ნიუ იორკ ტაიმსიდან აღებული ეს ლიდი წარმოადგენს შემაჯამებელი ლიდის მაგალითს. ლიდში შეჯამების სახით თავიდანვე არის მოცემული ავტორის პოზიცია.

კომენტარში/სვეტში ფართოდ გავრცელებული მეორე ტიპია – აღწერითი ლიდი. ქვემოთ მოვიყვანო მაგალითს.

“*He has dark circles beneath his eyes, and his cheeks are hollow and gray.* Last week he appeared on television to defend his policy on Iraq-*sweating*, looking as if he’d rather be anywhere else. Yesterday he appeared before the House of Commons on the same mission *looking grim and determined* but *hardly cheerful*. His aides say he has had a ‘flu cold.’ In fact, Tony Blair is suffering from something worse: a sudden and overpowering sense of internal contradiction.” (The Washington Post, March 19, 2003).

“მას მუქი წრეები აქვს თვალებქვეშ, ლოყები ჩავარდნილი აქვს და ფერმკრთალი. გასულ კვირას ის გამოვიდა ტელევიზიით, რომ თავისი პოლიტიკა ერაცის მიმართ დაეცვა - ოფლდასხმული, ეტყობოდა, ერჩივნა სადმე სხვაგან ყოფილიყო. გუშინ ის თემთა პალატის წინაშე წარსდგა იმავე მისიით-სერიოზული და მიზანდასახული იერი ჰქონდა და მხიარულება არ ეტყობოდა. მისმა ასისტენტებმა განაცხადეს, რომ ‘გრიპოზული გაციებით’ იყო ავად. ფაქტია, რომ ტონი ბლერი რაღაც უფრო სერიოზულისგან იტანჯება: შინაგანი დაპირისპირების უეცარი და ყოვლისმომცველი გრძნობისაგან.” (ვაშინგტონ პოსტი, 19 მარტი, 2003).

აქ გვხვდება სიტყვები, რომლებიც ბლერის მდგომარეობას მიუთითებს მუქი წრეები აქვს თვალებქვეშ (dark circles beneath his eyes), ლოყები ჩაგარდნილია (cheeks are hollow) და ფერმკრთალი (and gray). ეს სურათი ავტორის სუბიექტური თვალთაა დანახული და მის პრაგმატიკულ ინტენციას ავლენს, რომ ნათლად დაგვანახოს ბრიტანეთის იმდროინდელი პრემიერ მინისტრის ტონი ბლერის მდგომარეობა.

*პირდაპირი მიმართვა* გავრცელებულია კომენტარსა და სვეტში. პირდაპირი მიმართვა, ძირითადად, ორი ნაცვალსახელის შენ და ჩვენ (you, we) საშუალებით ხორციელდება ან ბრძანებითი კილოთი გადმოიცემა. მაშინ როდესაც ავტორი ნაცვალსახელს ჩვენ (we) იყენებს, იგი საკუთარ თავს მკითხველთან აერთიანებს. ხშირად, ნაცვალსახელი ჩვენ (we) ისეთ კონტექსტში გვხვდება, სადაც ეროვნულ ან ადამიანურ ღირებულებებზეა საუბარი.

“We’ re full of it. We pretend to be a middle-class democratic nation, but in reality we love our blue bloods . . .”(The New York Times, March 6, 2004).

“ჩვენ სავსე ვართ ამით. ჩვენ თავს ვაჩვენებთ თითქოს საშუალო ფენის დემოკრატიული ერი ვიყოთ, მაგრამ სინამდვილეში გვიყვარს ჩვენი ცისფერი სისხლი. . .” (ნიუ იორკ ტაიმსი, 6 მარტი, 2004).

ბრძანებითი კილოს გადმოცემის მაგალითია შემდეგი ლიდი:

“Name the one Muslim country where secularism is a noncontroversial, national choice . . .”(The Wall Street Journal, Sep. 5, 2003).

“დაასახელეთ ერთი მუსულმანური ქვეყანა, სადაც სეკულარიზმი არასაკამათო, ეროვნული არჩევანია. . .” (ვოლ სტრიტ ჟურნალი, 5 სექტემბერი, 2003).

კომენტარი/სვეტი შესაძლოა კითხვით იწყებოდეს. ეს ორატორული ხელოვნების ნაწილია. მისი საშუალებით ავტორი თავიდანვე ზრუნავს მკითხველის ჩართულობაზე.

“What’s the difference between Brazil and Argentina?” (The New York Times, July 5, 2010).

“რა განსხვავებაა ბრაზილიასა და არგენტინას შორის?” (ნიუ იორკ ტაიმსი, 5 ივლისი, 2010).

მსოფლიო თასის მოპოვებისათვის ბრძოლის პერიოდში მკითხველისთვის ლიდის საშუალებით ნათელი ხდება, რომ სვეტი არგენტინისა და ბრაზილიის ფეხბურთის ნაკრების შესახებაა.

*ამბის გადმომცემ ლიდში, როგორც სახელიდან ჩანს, ამბავია გადმომცემული, რომლის ანალიზსა და განზოგადებას ავტორი სტატიის შუა ნაწილსა და დასკვნაში აკეთებს.*

“My colleague Andrew Mckie, the obituaries editor of this newspaper, was on the train to King’s Cross the other day when he noticed that the woman sitting next to him, of Middle Eastern appearance, was reading a manual giving instructions on the quantity of explosives required to make a bomb.” (The Daily Telegraph, Nov. 12, 2003).

“ჩემი კოლეგა ენდრიუ მაკი, ამ გაზეთის ნეკროლოგების რედაქტორი, კინგს ქროსის მატარებელში იმყოფებოდა, როდესაც შეამჩნია რომ მის გვერდით მჯდომი, შუა აღმოსავლური გარეგნობის ქალბატონი, ინსტრუქციას კითხულობდა, თუ რა რაოდენობის ფეთქებადი მასალა იყო საჭირო ნაღმის დასამზადებლად.” (დელი ტელეგრაფი, 12 ნოემბერი, 2003).

კომენტარი კონკრეტული ამბით იწყება და ინტერესს უღვივებს მკითხველს, რომ კვანძის გახსნა იპოვოს სტატიაში.

კომენტარში/სვეტში ხშირად ციტატაც ასრულებს ლიდის ფუნქციას.

“‘I’m still paying for groceries I bought for my family years ago,’ said Julie Pickett.”(The New York Times, Feb. 15, 2003).

“‘შე დღემდე ვიხდი სურსათის თანხას, რომელიც ოჯახისთვის წლების წინ ვიყიდე,’ ამბობს ჯულია პიკეტი.” (ნიუ იორკ ტაიმსი, 15 თებერვალი, 2003).

ეს ციტატა მკითხველის ცნობისმოყვარეობას აღვიძებს და მასში ლოგიკურ კითხვას ბადებს ‘რატომ?’ ცნობისმოყვარეობის დასაკმაყოფილებლად მკითხველმა სტატია ბოლომდე უნდა წაიკითხოს.

საკვლეფ მასალაში აგრეთვე აღმოჩნდა კონტრასტული ლიდის მაგალითი, რომელიც ძირითადად ახალი ამბებისთვისაა დამახასიათებელი.



“As one general tried to reassure Congress that she respects the military, the other general tried to reassure Congress that the military respects civilians.” (New York Times, June 29, 2010).

“მაშინ როდესაც ერთი გენერალი არწმუნებდა კონგრესს რომ ის პატივს სცემს სამხედროებს, მეორე გენერალი ცდილობდა კონგრესის დარწმუნებას იმაში, რომ სამხედროები პატივს სცემენ სამოქალაქო პირებს.” (ნიუ იორკ ტაიმსი, 29 ივნისი, 2010).

ამ ლიდში ავტორი ორ მსგავს და ამავე დროს, განსხვავებულ სიტუაციას აღწერს, რის გამოც იქმნება კონტრასტი.

სტატიების ანალიზისას ისეთი მაგალითებიც არის, სადაც, ერთ ლიდში გაერთიანებული იყო რამდენიმე ტექნიკა. ამ ლიდების რაოდენობა, როგორც წინამდებარე მოკრძალებული ანალიზიდან ჩანს, არც ისე ბევრია, მაგრამ მნიშვნელოვანი. ქვემოთ მოცემულია ასეთი ლიდების მაგალითები.

პირველ მაგალითში გაერთიანებულია შემაჯამებელი ლიდის ელემენტები და კითხვა.

“Throughout most of their conflict, Arab and Israeli leaders have tended to oscillate between two, and only two, worldviews: I am weak; how can I compromise? I am strong; why should I compromise? Israel today is very much in the second mode.” (New York Times, 25 June, 2010)

“მთელი კონფლიქტის განმავლობაში, არაბი და ებრაელი ლიდერები ორ მსოფლმხედველობას შორის მერყეობდნენ: მე სუსტი ვარ; კომპრომისზე როგორ წავიდე? მე ძლიერი ვარ; რატომ უნდა წავიდე კომპრომისზე? ისრაელი დღეს უფრო მეტად ამ მეორე პოზიციაზეა.” (ნიუ იორკ ტაიმსი, 25 ივნისი, 2010).

მეორე მაგალითი აერთიანებს შემაჯამებელი ლიდის ტიპსა და პირდაპირ მიმართვას. ამ ლიდში ავტორი იყენებს ნაცვალსახელს შენ ან თქვენ you.

“Gen. Stanley McChrystal’s trashing of his civilian colleagues was unprofessional and may cost him his job. If so, it will be a sad end to a fine career. But no general is indispensable. What is indispensable is that when taking America surging deeper into war in Afghanistan, President Obama has to be able to answer the most simple questions at a gut level: Do our

interests merit such an escalation and do I have the allies to achieve victory? President Obama never had good answers for these questions, but he went ahead anyway. The ugly truth is that no one in the Obama White House wanted this Afghan surge. The only reason they proceeded was because no one knew how to get out of it — or had the courage to pull the plug. That is not a sufficient reason to take the country deeper into war in the most inhospitable terrain in the world. You know you're in trouble when you're in a war in which the only party whose objectives are clear, whose rhetoric is consistent and whose will to fight never seems to diminish is your enemy: the Taliban.” (New York Times, June 22, 2010)

“გენერალ სტენლი მაკკრისტალის მიერ სამოქალაქო კოლეგების დაზიანება არაპროფესიონალურია და შესაძლოა მას სამსახურის ფასად დაუჯდეს. თუ ასე მოხდება წარმატებულ კარიერას სამწუხარო დასასრული ექნება. მაგრამ არცერთი გენერალი არ არის შეუცვლელი. ყველაზე გადამწყვეტი საკითხი კი ამერიკის უფრო ღრმად ჩართვაა ავღანეთის ომში, პრეზიდენტ ობამას უნდა შეეძლოს უპასუხოს ყველაზე მარტივ შეკითხვას საწყის დონეზე: იმსახურებს თუ არა ჩვენი ინტერესები სიტუაციის ესკალაციას და მყავს თუ არა მოკავშირეები რომ მივალწიო გამარჯვებას? პრეზიდენტ ობამას არასოდეს გააჩნდა კარგი პასუხები ამ კითხვებზე, მაგრამ მაინც შეუტია. საშინელი სიმართლე ის არის, რომ ობამას ადმინისტრაციაში არავის არ უნდა ავღანეთში სიტუაციის აღელვება. ომის გაგრძელების ერთადერთი მიზეზი გახდა ის, რომ არავინ იცოდა როგორ წამოსულიყვნენ ავღანეთიდან - ან არ ჰქონდათ სიმამაცე რომ გაეწყვიტათ ომი. ეს მიზეზი არ არის საკმარისი რომ ქვეყანა უფრო ღრმა ომში შევიდეს მსოფლიოს ამ ყველაზე არასტუმართმოყვარე ნაწილში. იცი რომ პრობლემები გაქვს, როცა იმ ომში ხარ, სადაც ერთადერთი მხარე რომლის მიზნებიც ნათელია, რომლის რიტორიკა თანმიმდევრულია და რომლის ბრძოლის ჟინი არ ცხრება, შენი მტერია: თალიბი.” (ნიუ იორკ ტაიმსი, 22 ივნისი, 2010).

აგრეთვე, საინტერესო იყო, თუ რა ლინგვისტური ერთეულები იყო გავრცელებული კომენტარში/სვეტში ახალი აზრის და ახალი აზრის დაწყების გამოხატვის მიზნით. 64 სტატიის შესწავლის საფუძველზე ქვემოთ მოყვანილია ამ ლინგვისტური ერთეულებისათვის დამახასიათებელი სიხშირე.

So	14
What	9
This	9
Yet	6
Let	3
Well	3

კომენტარში/სვეტში აგრეთვე გვხვდება ფრაზა need to (9 შემთხვევა), რომელიც ფართოდაა გავრცელებული წერილში რედაქციისაგან.

მაშასადამე, წერილის რედაქციისაგან დამახასიათებელი ლიდი შემაჯამებელი ლიდია (60%), შემდეგ გავრცელებულია ამბის გადმომცემი ლიდი (16.7%) და ლიდი მიმართვა (13.3%). წერილში რედაქციისაგან გავრცელებული დეიქსისი პირველი პირის ნაცვალსახელი ჩვენ (we) არის. წერილს რედაქციისაგან ახასიათებს ექვსი ტიპის დასასრული: მოწოდება, მოწონება, დაწუნება, სამართლიანი დასკვნა, ნუგეშისცემა და არარადიკალური “შერბილებული” დასასრული. ხოლო რაც შეეხება სტრუქტურას გვხვდება ცალმხრივი და ორმხრივი არგუმენტაცია.

კომენტარი/სვეტი ყველაზე თავისუფალი ჟანრია ინდივიდუალური აზრის გამოსატვის თვალსაზრისით. ყველაზე ხშირად აქ გვხვდება პირველი პირის ნაცვალსახელი (I). ლიდის ტიპებიდან კი ყველაზე გავრცელებულია შემაჯამებელი (40.6%), აღწერითი (18.8%) და ლიდი მიმართვა (15.6%).

#### **თავი IV ქართული პრესის ჟანრობრივი მახასიათებლები**

ამ თავში განხილულია თანამედროვე ქართული პრესისათვის დამახასიათებელი ჟანრები და მათი ლინგვისტური მახასიათებლები. ქართული პრესის ანალიზისას მხედველობაში მივიღე ზემოთ განხილული დასავლური პრესის ჟანრებისათვის დამახასიათებელი სტრუქტურული მახასიათებლები და ამ მხრივ, საინტერესო იყო, შედარება თუ რა ნიშნები ან სახეცვლილებები ჩანს ქართული პრესის იმავე ჟანრებში.

ამ მიზნით, შევისწავლე ქართულ პრესაში 2009 -2010 წლებში გამოქვეყნებული სულ 122 სტატია. სტატიები შერჩეულ იქნა შემთხვევითი შერჩევის პრინციპით.

კვლევამ გვიჩვენა, რომ თანამედროვე ქართული პრესის ჟანრები, ზოგადად, შეესაბამება დასავლური პრესის ჟანრებსა და მახასიათებლებს, თუმცა მნიშვნელოვანი თავისებურებებით გამოირჩევა. კერძოდ, ქართული პრესა უპირატესობას ანიჭებს ახალ ამბებს, ნარკვევსა და კომენტარს/სვეტს. ამასთანავე, ქართულ პრესაში გავრცელებული ერთ-ერთი შესამჩნევი ტენდენცია გახლავთ ის, რომ სათაურებში ნაკლებად გვხვდება ზმნა-შემასმენელი და ხშირია *ყოფნა* ზმნის შეკვეცილი ვარიანტი.

მაგალითად,

- ალასანიას გუნდი
- მოლაპარაკებათა მორიგი რაუნდი
- კანონპროექტების დეფიციტი პარლამენტში
- შეხვედრა საგარეო საქმეთა სამინისტროში

(24 საათი, 17 თებერვალი, 2009 წელი).

ზემოთ მოცემულ მაგალითებში მსაზღვრელ-საზღვრულია წარმოდგენილი. შემთხვევითი შერჩევის პრინციპით შერჩეული 65 სათაურიდან 41 სათაურში არ იყო მოცემული ზმნა-შემასმენელი.

აღსანიშნავია, რომ ქართული სტატიების ლიდი ჩვეულებრივ 20-ზე მეტი სიტყვისგან შედგება. თუმცა, მეორე მხრივ, გადმოტრიალებული პირამიდის სტილი ქართულ ახალ ამბებში ზედმიწევნითაა დაცული. ასეთ სტატიებს ასევე არ გააჩნიათ სპეციალური დასკვნა, როგორც, ჩვეულებრივ, ამ ფორმატისათვის არის დამახასიათებელი. ამასთანავე, თვალშისაცემია ის ფაქტი, რომ ქართულ გაზეთში სემიოტიკურ ხატებს (სურათს) ამ შემთხვევაში ნაკლები კონოტაციური დატვირთვა აქვს. ძირითადად, გავრცელებულია პორტრეტები, კონფერენციის ან პრეზენტაციის სურათები. რისი მიზეზიც შესაძლოა რედაქციების მწირი ფინანსური შესაძლებლობები იყოს.

ქვემოთ უფრო დაწვრილებითაა განხილული ახალი ამბების ჟანრი.

#### 4.1 ახალი ამბები

ქართულ პრესაში დიდი ადგილი უჭირავს ახალ ამბებს. შემთხვევითი შერჩევის პრინციპით 60 სტატია იქნა შესწავლილი, რომელიც ქართულ პრესაში 2009 წელს გამოქვეყნდა.

კვლევამ აჩვენა, რომ ქართულ პრესაში ყველაზე მეტად გავრცელებულია გადმოტრიალებული პირამიდის სტილი. კერძოდ, 60 სტატიიდან 57 სწორედ ამ ფორმატში იყო მოცემული, ხოლო დანარჩენ სამ სტატიაში დაცული იყო ქვიშის საათის სტილი (ქრონოლოგიური თხრობა). აღსანიშნავია, რომ ქრონოლოგიური თხრობა იმ სტატიებში შეგვხვდა, რომლებიც სასამართლო პროცესს შეეხებოდა. მსგავსად დასავლურისა ქართულ პრესაშიც ქვიშის საათის სტილი ამ სახის სტატიებშია გავრცელებული. რადგან, ეს ფორმატი ყველაზე მეტად ხელსაყრელია დროში თანმიმდევრული მოვლენების გადმოსაცემად.

ქვემოთ მოყვანილ მაგალითში მოცემულია გადმოტრიალებული პირამიდის ფორმატის მაგალითი. სტატია შემაჯამებელი ლიდით იწყება. სტატიაში ჟურნალისტი არსებულ სიტუაციას აღწერს და გარკვეულწილად მდგომარეობასაც აფასებს, თუმცა თხრობა იმპერსონალურია. სტატიას არ აქვს დასკვნა და ბოლო ინფორმაციით მთავრდება, რაც ახალი ამბების ჟანრში დასასრულის გავრცელებული ფორმაა.

მაგალითად,

### **ექსპერტებმა გლობალური კრიზისის დაძლევის ნიშნები შეამჩნიეს**

ექსპერტები მსოფლიო ეკონომიკის გაჯანსაღების პირველი ნიშნების შესახებ საუბრობენ. მათ იმედი აქვთ, რომ რეცესია ფსკერს არა 2010, არამედ უკვე მიმდინარე წელს მიაღწევს.

თუმცა სპეციალისტები სიტუაციის გამოსწორების შესახებ ძალიან ხშირად საუბრობენ და აღნიშნავენ, რომ რეცესია ხშირად სწორხაზოვნად არ ვითარდება და არცთუ იშვიათად ცრუ იმედებს აჩენს.

ბიზნესის წარმომადგენლების გამოკითხვა ცხადყოფს, რომ მუშაობის პირობები ისეთი ცუდი აღარაა, როგორც ეს რამდენიმე თვის წინათ იყო.

აშშ-ში მენეჯერები საცალო გაყიდვების მოულოდნელი გაუმჯობესებით გაოცებულნი არიან. მათ დააფიქსირეს, რომ სამომხმარებლო ხარჯები ამ წლის პირველ კვარტალში 1%-ით გაიზარდა.

იმედების ნაპერწკალი გაჩნდა აზიაშიც: ჩინეთში მარტში მრეწველობამ ბოლო ნახევარი წლის განმავლობაში პირველად აჩვენა ზრდა.

იაპონურმა კომპანიებმა კი უახლოეს თვეებში მრეწველობის გაზრდის გეგმების შესახებ გააკეთეს განაცხადება.

აზიის ეკონომიკები სწრაფი ზრდის მოლოდინში არიან, რასაც სტიმულირების სამთავრობო გეგმებმა უნდა შეუწყოს ხელი.

ბევრი ექსპერტი დღეს უკვე დარწმუნებით ამბობს, რომ კრიზისის ყველაზე ცუდი ფაზა უკან დარჩა.

ამის მიუხედავად, როგორც HSBC-ის სპეციალისტები მიუთითებენ, სამუშაო ადგილების ლიკვიდაციის პროცესი გაგრძელდება.”

**ბანკები და ფინანსები, 7-13 აპრილი, 2009 წელი ნომერი 12 (188), გვ. 2**

როგორც უკვე აღვნიშნე, ზემოთ მოყვანილი სტატია გადმოტრიალებული პირამიდის ფორმატის შესანიშნავი მაგალითია. იგი აბსოლუტურად აკმაყოფილებს ამ ტიპის სტატიის სტანდარტებს. სტატია შემაჯამებელი ლიდით იწყება. ეს ლიდი, როგორც საკვლევემა მასალამ გვიჩვენა, ყველაზე ფართოდაა გავრცელებული ბრიტანული და ამერიკული გაზეთის ახალ ამბებში. სტატიას არ აქვს დასასრული და ის ბოლო ინფორმაციით მთავრდება.

კვლევის საგანს აგრეთვე წარმოადგენდა ახალ ამბებში გავრცელებული ლიდის ტიპები. SPSS-ში დამუშავებული მასალის შედეგად შემდეგი მონაცემები მივიღეთ.

ლიდის ტიპი	სიხშირე	პროცენტი
შემაჯამებელი	42	70.0
ციტატა	12	20.0
აღწერითი	5	8.3

კითხვა	1	1.7
სულ	60	100.0

როგორც მონაცემებიდან ჩანს, ქართულ პრესაში ყველაზე მეტად გავრცელებულია შემაჯამებელი ლიდი (70%); შედარებით ხშირია ლიდის სახით ირიბი თქმაში მოცემული ციტატა (20%), აღწერითი ლიდი პროცენტულად უფრო ნაკლებია - 8.3% და კიდევ უფრო მცირეა კითხვითი ლიდის სიხშირე - 1.7%. როგორც ჩანს, ქართული პრესა უფრო მეტად სტანდარტულ ფორმატს ეყრდნობა და შედარებით ნაკლებ მრავალფეროვნებას გვთავაზობს აღწერითი ან კითხვითი ლიდის გამოყენების თვალსაზრისით.

დესკრიფციული სტატისტიკის მეშვეობით 60 ლიდის ანალიზით დადგინდა, რომ საშუალოდ ლიდი 31 სიტყვისაგან შედგება, შერჩეული მაგალითებიდან ყველაზე მცირე მოცულობის ლიდი 11 სიტყვისაგან შედგებოდა, ხოლო ლიდში სიტყვების მაქსიმალური რაოდენობა იყო 106.

მაგალითისათვის, ქვემოთ მოცემულია შემაჯამებელი ლიდი, რომელიც 77 სიტყვისაგან შედგება.

“რუსეთის სამხედრო პროკურატურამ დეზერტირობის მუხლით სისხლის სამართლის საქმე აღძრა სერჟანტ ალექსანდრ გლუხოვის წინააღმდეგ, რომელმაც მიმდინარე წლის იანვარში ე.წ. სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე დისლოცირებული თავისი სამხედრო ნაწილი დატოვა და ქართულ მხარეს ჩაბარდა. რუსეთის მთავარი სამხედრო პროკურორის სერგეი ფრიდინის განცხადებით, უახლოეს ხანში საქართველოს გადაეგზავნება ოფიციალური მოთხოვნა გლუხოვის გადმოცემის თაობაზე. ფრიდინის ნათქვამს უკვე მოჰყვა თბილისის რეაქცია: საქართველოს შსს-ს საინფორმაციო ანალიტიკური დეპარტამენტის დირექტორ შოთა უტიაშვილის თქმით, ალექსანდრ გლუხოვი პოლიტიკურ თავშესაფარს ითხოვს და ვიდრე ეს საკითხი განიხილება, ქართული მხარე რუს სერჟანტს არავის გადასცემს.” (24 საათი, 18 მარტი, 2009, გვ 1).

ზოგიერთ შემთხვევაში, ქართულ პრესაში გავრცელებულ ახალ ამბებში ნათლად ჩანს ჟურნალისტის დამოკიდებულება ამა თუ იმ მოვლენის მიმართ, ძირითადად ძლიერი უარყოფითი ან დადებითი კონტაქტის მქონე სიტყვების ხარჯზე, რაც განასხვავებს ამ ჟანრს ინგლისურენოვანი ახალი ამბებისაგან. მაგალითად, ერთ-ერთი სტატიის სათაურია: **რუსების მარიონეტი** ევროპელებთან დამოუკიდებლობას თამაშობს (24 საათი, 19 მარტი, 2009 წელი, ნომერი 60, გვ. 2). ამ სათაურში არსებითი სახელი “მარიონეტი” და ზმნა “თამაშობს” გარკვეულ უარყოფით დამოკიდებულებას იწვევს მკითხველში, რაც ავლენს კიდევ ავტორის ინტენციას. ასევე ჩანს ჟურნალისტის დამოკიდებულება შემდეგ მაგალითში “მითიური მილიარდები ფარაონის ქვეყნიდან” (ბანკები და ფინანსები, 7-13 აპრილი, 2009 წელი ნომერი 12 (188) გვ. 1). აქ ენობრივი ერთეული “მითიური” გარკვეულ ეჭვს იწვევს მკითხველში რაც, როგორც სტატიიდან შემდგომში ჩანს, შეესაბამება ჟურნალისტის განწყობას. უფრო მეტიც, მის პრაგმატიკულ ინტენციას სწორედ კითხვების აღძვრა წარმოადგენს მკითხველში.

#### 4. 2 ნარკვევი

ახალი ამბების შემდეგ ყველაზე გავრცელებული ჟანრია ნარკვევი. ნარკვევს ქართულ პრესაში, ისევე როგორც დასავლურ და ამერიკულ პრესაში, გასართობი და აღწერითი ფუნქცია აქვს. შემთხვევითი პრინციპით შერჩეული 122 სტატიიდან 32 სტატია წარმოადგენდა ნარკვევს. წინა თავებში განვიხილეთ ლიდის ტიპები ჟანრების მიხედვით ბრიტანულ და ამერიკულ პრესაში. კვლევის საფუძველზე ჩანს, რომ ქართულ პრესაში ნარკვევს შემდეგი ტიპის ლიდი ახასიათებს: აღწერითი, შემაჯამებელი, ამბის გადმომცემი, ციტატა და თხრობითი ლიდი. ჩვეულებრივ, ეს ლიდის ტიპები ინგლისურენოვანი ნარკვევისთვისაც არის დამახასიათებელი. შესაბამისად, ნათელია რომ ქართული პრესა ინგლისურენოვანი მედიის გავლენის ქვეშ იმყოფება. ერთიანი ჟურნალისტური სტანდარტების გავრცელებამ და თანამედროვე გამოწვევებმა ქართულ პრესაზეც ჰპოვა ასახვა.



დესკრიფციული სტატისტიკის მიხედვით ნარკვევში ზემოთ აღნიშნული ლიდის ტიპების გავრცელების სიხშირე შემდეგია:

ლიდის ტიპი	პროცენტი
აღწერითი	43.8
შემაჯამებელი	34.4
ამბის გადმომცემი	12.5
ციტატა	9.4

აღწერითი ლიდის შემთხვევაში, როგორც სახელწოდებიდან ჩანს უფრო მეტად აქცენტი სიტუაციისა და გარემოს აღწერაზე კეთდება.

“ ‘ინტელექტის’ ახალი წიგნების გამოცემას პრეზენტაციები მოსდევს. შეხვედრები ტრადიციად ჩამოყალიბებულ ფორმატში მიმდინარეობს: იქ ამ გამომცემლობის გულშემატკივრები იკრიბებიან (მათ შორის არიან: ტარიელ ჭანტურია, როსტომ ჩხეიძე, ვახტანგ ჯავახიძე, გენო კალანდია, ზაზა აბზიანიძე, სოსო ჭუმბურიძე, რეზო ადამია და სხვები), რომლებიც თავიანთ მოსაზრებებს საჯაროდ გამოთქვამენ, ახალ გამოცემასა და მის ავტორს თამამად აფასებენ და კახური ღვინით ილოცებიან.” (24 საათი, 8 აპრილი, 2009 ნომერი 77 გვ. ა 12).

ამ აღწერის დროს ავტორი აწმყო დროის ზმნებს იყენებს, როგორცაა ‘მოსდევს,’ ‘მიმდინარეობს,’ ‘იკრიბებიან,’ რაც უფრო მეტი მოქმედების და დროულობის ეფექტს ჰმატებს სტატიაში.

შემაჯამებელი ლიდი აღწერითი ლიდის შემდეგ ყველაზე მეტად გვხვდება ნარკვევში. ქვემოთ შემაჯამებელი ლიდის მაგალითს მოვიყვანო:

“ზაფხული ედინბურგში კულტურული ღონისძიებებით გამოირჩევა. ხელოვნების სხვადასხვა დარგის ფესტივალების პარალელურად, 19-23 აგვისტოს ჩატარდება ედინბურგის საერთაშორისო წიგნის ფესტივალი (ყოველწლიური), რომლის ფარგლებშიც, ყოველ ორ წელიწადში ერთხელ, ბრიტანეთის საბჭო ორგანიზებას უკეთებს ბუქ-ქეისს, სადაც წელს ამ ორგანიზაციამ ბაკურ

სულაკაურის გამომცემლობის დირექტორი თინა მამულაშვილი წარადგინა.” (24 საათი, 10 აგვისტო, სამშაბათი, 2010 ნომერი 170 გვ. ა 6).

ამ ლიდში მოცემულია არსებული სიტუაციის შეფასება და მკითხველი გარკვეულ ინფორმაციას ფლობს თავიდანვე თუ რის შესახებაა სტატია, როდის, სად და როგორ ხდება მოქმედება.

სტატიაში გამოყენებულია პირველი პირის მრავლობითი რიცხვი და ძირითადად, იგულისხმება ‘რედაქცია.’

“კითხვაზე კონკრეტულად რა მიზანს ისახავს ბრიტანეთის საბჭოს ბუქ-ქეისი, ამ ორგანიზაციის წარმომადგენელმა გვიპასუხა . . .” (24 საათი, 10 აგვისტო, სამშაბათი, 2010 ნომერი 170 გვ. ა 6).

ქვემოთ მოყვანილია ამბის გადმომცემი ლიდის მაგალითი. სტატია ლუის კეროლის “აღისა საოცრებათა ქვეყანაში” ქართული თარგმანის შესახებაა, ავტორი თხრობას ნაწარმოების ერთ-ერთი ცნობილი ეპიზოდით იწყებს. ასეთი ლიდი საკმაოდ ეფექტურადაა შერჩეული, რომ შეატყობინოს მკითხველს თუ რის შესახებაა სტატია.

“ოჰ, როგორ მაგვიანდება!”, - შესძახა თეთრმა კურდღელმა, უზარმაზარი საათი ჯიბეში ჩაიდო და თავქუდმოგლეჯილი გაიქცა. ასწლოვანი ხეებით დაბურულ ტყეში გარბოდა და მხოლოდ იმაზე ფიქრობდა, დედოფალთან არ დაგვიანებოდა. სიჩქარეში ვერც კი შენიშნა, როგორ ჩაურბინა ხის ძირში მჯდომ გოგონას, რომელიც მაშინვე უკან აედევნა და სორომდე სდია. გოგონას ღიდი თავგადასავალი სწორედ ამ სოროსთან დაიწყო. აქვე დაიწყება პატარა ქართველი მკითხველის თავგადასავალიც- ლუის კეროლის ‘აღისა საოცრებათა ქვეყანაში’ ‘ელფის გამომცემლობის’ მიერ მათთვის მომზადებული მორიგი საჩუქარია.” (24 საათი, 19 მარტი, 2009 ნომერი 60 გვ. ა 10).

ლიდი - ციტატა ნარკვევში ნაკლებადაა გავრცელებული, თუმცა ზოგჯერ სტატიის ავტორები ამ ტიპის ლიდსაც მიმართავენ ხოლმე. როგორც წესი, კარგად შერჩეული ციტატა ჟურნალისტის სიტყვებზე უფრო ზუსტად გამოხატავს სტატიის მიზანს.

მაგალითად,

“ძველი მარანი გთავაზობთ ღვინის ტურს. თქვენ გელით ტრადიციული კახური სუფრა თამადით. დააჭაშნიკეთ ქვევრიდან თქვენს თვალწინ მოხდილი ცოცხალი ღვინო და მოილხინეთ მარანში ბუხრის პირას, ხალხური სიმღერების ცოცხალი შესრულების ფონზე”-ამბობს გელა გამტკიცულაშვილი.” (24 საათი, 19 მარტი, 2009 ნომერი 60 გვ. ბ 3).

მაშასადამე, ყოველივე ზემოთმულიდან გამომდინარე, ქართულ პრესაში გავრცელებული ნარკვევი აღწერითი ხასიათისაა, ჟურნალისტი ხშირად გვთავაზობს შეფასებას ან შენიშვნას.

### 4.3 კომენტარი/სვეტი

ქართულ პრესაში გავრცელებული მესამე ჟანრი არის კომენტარი/სვეტი. თუმცა, ქართულ პრესაში ეს ჟანრი დიზაინის თვალსაზრისით არ არის ისე გაფორმებული როგორც ბრიტანულ ან ამერიკულ პრესაში. რაც მიუთითებს იმ ფაქტზე, რომ დიზაინის მხრივ საგრძნობი განსხვავებაა ქართულენოვან და ინგლისურენოვან გაზეთებს შორის. მიუხედავად იმისა, რომ როგორც შინაარსობრივი ისე გამოსახულების თვალსაზრისით პრესაში გარკვეული საერთაშორისო სტანდარტები არსებობს. მაშასადამე, ქართულენოვან პრესაში მკითხველისთვის ცხადი ხდება ჟანრობრივი განსხვავება არა ვიზუალური თვალსაზრისით არამედ შინაარსობრივი ანუ იმ შემთხვევაში, თუ მკითხველი გაზეთის სხვადასხვა ჟანრებს იცნობს. სვეტი/კომენტარი ქართულ გაზეთში ხშირად პირველ გვერდზეც გვხვდება, ამ ჟანრის მთავარი მახასიათებელი, ისევე როგორც ინგლისურენოვან პრესაში, პირველ პირში თხრობაა. ამ ჟანრში გვხვდება პირველი პირის ნაცვალსახელები “მე”, “ჩვენ”; არაფორმალური მეტყველების ელემენტები და მკვეთრი კონოტაციის სიტყვები.

მაგალითად, ერთ-ერთ სვეტში ვკითხულობთ: “ჩემი წერილის ამბიციია სულაც არ არის სათაურში დასმული უმნიშვნელოვანესი პრობლემის გადაჭრა, ან თანამედროვე ქართულ დრამატურგიასთან დაკავშირებული რამდენიმე

მნიშვნელოვანი, პრობლემატური საკითხის საფუძვლიანი მიმოხილვა.” (24 საათი, 17 თებერვალი, 2009, გვ. ა12).

სვეტში/კომენტარში ავტორი მოვლენების თავისეულ შეფასებას გვთავაზობს და დაუფარავად გამოსატავს საკუთარ მოსაზრებებს.

მაგალითად, “თუმცა, ვერ ვიტყვით, რომ ეს ურთიერთბრალდებები (როგორც ზოგიერთი დასავლელი ანალიტიკოსი მიიჩნევს) უარყოფით გავლენას ახდენს რუსეთ-ამერიკის ურთიერთობებზე.” (24 საათი, 10 აგვისტო, 2010, გვ. ა 5).

შემთხვევითი შერჩევის პრინციპით ქართულ პრესაში გამოქვეყნებული 30 სვეტი/კომენტარი იქნა შესწავლილი. გავრცელებული ლიდის ტიპებიდან სვეტში/კომენტარში გვხვდება შემდეგი: შემაჯამებელი ლიდი, აღწერითი ლიდი, პირდაპირი მიმართვა, ამბის გადმომცემი ლიდი, კითხვითი ლიდი და ციტატა.

ყველაზე მეტად შემაჯამებელი ლიდი არის გავრცელებული (53.3%), შემდეგ აღწერითი (13.3%), მიმართვა (13.3%) და ამბის გადმომცემი ლიდები (13.3%).

ლიდის ტიპი	პროცენტი
შემაჯამებელი	53.3%
აღწერითი	13.3%
მიმართვა	13.3%
ამბის გადმომცემი	13.3%
კითხვითი	3.3%
ციტატა	3.3%

შემაჯამებელი ლიდი სიტუაციის შეჯამებას გვთავაზობს და იმავე ფუნქციით გამოირჩევა კომენტარში/სვეტში როგორც სხვა ჟანრებში. მაგალითად, “ამ კვირაში აფხაზეთისა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის გარშემო უენევაში საერთაშორისო მოლაპარაკებების მორიგი რაუნდი გაიმართება.” (24 საათი, 17 თებერვალი, 2009, გვ 1).

ქვემოთ მოყვანილი აღწერითი ლიდი საინტერესო მაგალითია, მასში სვეტის/კომენტარის რამდენიმე მახასიათებელია გაერთიანებული, თხრობა პირველ პირშია და ავტორი საკუთარ მოსაზრებებს გამოხატავს, სვამს კითხვებს და იყენებს არაფორმალური მეტყველების ელემენტებს.

“ვზივარ ახლა ათენთან ახლოს, პატარა ქალაქ ლუტრაკის (ქართული ყურისთვის უცნაური სახელი კი აქვს!) ერთ-ერთ სასტუმროს აივანზე და კორინთოს ყურეს გავცქერი. ზღვიდან მონაბერი ბრიზი სასიამოვნოდ მაგრილებს. სანაპიროზე რომელიღაც ადგილობრივი კოლექტივი დამსვენებლებისთვის კონცერტს მართავს, ასე რომ, ბერძნული ჰანგებიც მატკობს და ვფიქრობ. . . ვფიქრობ, ‘მინდა ახლა მე მუშაობა და ‘კვირის ფიქრები?’ მაგრამ რას იზამ, მოვალეობა, მოვალეობაა და ღირექტორის დაგალება- დაგალება, თუნდაც ოფიციალურად იყო შეგებულიაში. თანაც, რომ არა ‘კვირის ფიქრები’, აქ ნამდვილად ვერ მოვხვდებოდი (აქ როგორ მოვხვდი, ეს სხვა ამბავია და იმედია, ოდესმე მოგიყვებით, მიუხედავად იმისა, რომ ის, ვისი წყალობითაც აქ მოვხვდი, ამის წინააღმდეგია).” (კვირის პალიტრა, 23-29 აგვისტო, 2010, გვ. 5).

კომენტარში/სვეტში აგრეთვე ფართოდაა გავრცელებული პირდაპირი მიმართვა. ასეთი ტიპის ლიდის საშუალებით ავტორი თავიდანვე ამყარებს კავშირს მკითხველთან.

“იმის თქმა, რაც ახლა მსურს, მგონია რომ ისედაც ნათელია, მაგრამ რატომღაც მეჩვენება, რომ ამას არავინ ამბობს. ან შეიძლება მე არ გამოვიცა ეს თვითცხადი ჭეშმარიტებები, რომელიც ძნელია ორიგინალურად გამოიხატოს მათივე სიცხადიდან გამომდინარე” (24 საათი, 8 აპრილი, 2009, გვ. ა4).

ამბის გადმომცემი ლიდი ეფექტურადაა გამოყენებული, როდესაც ავტორი ცდილობს გარკვეული შემთხვევის შესახებ იმსჯელოს და განაზოგადოს იგი. ამის მაგალითია, ქვემოთ მოყვანილი ამბავი, რომელსაც ავტორი მოგვითხრობს და შემდგომში, ამ შემთხვევის გამომწვევ მიზეზებს განიხილავს.

“ჯერ ჭიქა მიენარცხა კედელს, მერე კარის გაჯახუნება გაისმა და . . . გამწარებული ეკა ტელეფონს ეცა.

მიმატოვა მაგ უნამუსომ, ჯერ უსაქმოდ ყოფნა, მერე მეგობრებთან გართობა მერე ვიღაც ქალი. . . თითქოს ეს არ კმაროდა, ახლა სულ აიყარა ჩემზე გული და წავიდა, - მოთქვამდა. ყურმილს მიღმა მყოფი ამშვიდებდა, მაგრამ ეკას აღარაფერი ესმოდა.

ეკა გარეგნობითაც და ოჯახშიშვილობითაც გამორჩეული იყო. როცა თაყვანისმცემლებში გიო აირჩია, ბიჭებმა გიოს უთხრეს, - ბედი გქონიაო. . .

გავიდა შვიდი წელი. მათ შორის პირველი ბზარი მაშინ გაჩნდა, როცა გიო ბანკიდან გამოუშვეს.” (კვირის პალიტრა, 23-29 აგვისტო, 2010, გვ. 27).

შედარებით ნაკლებად არის გავრცელებული კომენტარში/სვეტში კითხვითი ლიდი და ციტატა, თუმცა მათი მაგალითებიც გვხვდება.

როგორც წინამდებარე კვლევიდან ჩანს ქართულ პრესაში გავრცელებულია ახალი ამბების, ნარკვევისა და კომენტარის/სვეტის ჟანრები. ქართული პრესის ერთ-ერთი თავისურება ის არის, რომ სამივე ჟანრში ჟურნალისტის პირადი დამოკიდებულება შეიძლება გამოხატული იყოს კონკრეტული კონოტაციის მქონე ენობრივი ერთეულების საშუალებით.

ისევე როგორც ინგლისურენოვან პრესაში, ქართულენოვანი გაზეთში ახალი ამბებისთვის დამახასიათებელია გადმოტრიალებული პირამიდის სტრუქტურა და შემაჯამებელი ლიდი (70%). სტატიების ლიდი ქართულ პრესაში ჩვეულებრივ 20-ზე მეტი სიტყვისაგან შედგება.

ნარკვევისათვის ყველაზე მეტად დამახასიათებელია აღწერითი (43.8%), შემაჯამებელი (34.4%) და ამბის გადმომცემი (12.5%) ლიდის ტიპები.

რაც შეეხება კომენტარს/სვეტს, აქ გვხვდება შემაჯამებელი (53.3%), აღწერითი (13.3%), მიმართვა(13.3%) და ამბის გადმომცემი (13.3%) ლიდის ტიპები.

როგორც კვლევის შედეგად დადგინდა, კომენტარი/სვეტი ლიდის სახესხვაობით გამოირჩევა. ამასთანავე, გაზეთის ჟანრებს შორის ის ყველაზე

თავისუფალი ჟანრია და საშუალებას აძლევს ავტორს, მიმართოს სხვადასხვა სტრუქტურულ თუ სტილისტურ ხერხს რომ სათანადო გრძნობები გამოიწვიოს მკითხველში და ამ გზით, მიაღწიოს საკუთარი პრაგმატიკული ინტენციის წარმატებულად გაცხადებას.

## **თავი V სტერეოტიპების შექმნის ხერხები მედიაში**

*საქართველოს შესახებ პოლიტიკური ტექსტების ლინგვისტური ანალიზი ამერიკულ პრესაში*

თანამედროვე მედია წარმოადგენს საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბების უაღრესად მნიშვნელოვან იარაღს. მას უდიდესი გავლენა აქვს არამარტო ქვეყნის შიდა, არამედ საგარეო პოლიტიკის მართვაზეც. მედიის საშუალებით ხდება სტერეოტიპების ჩამოყალიბება გარკვეული მოვლენების მიმართ. საზოგადოებრივი აზრი და საერთაშორისო მხარდაჭერა უფრო და უფრო მნიშვნელოვანია დემოკრატიის გავრცელებასა და დემოკრატიული ინსტიტუტების ჩამოყალიბებასთან ერთად. შესაბამისად, წარმატების მისაღწევად ნებისმიერი სახის საინფორმაციო კამპანია განსაკუთრებულ დატვირთვას იძენს გლობალურ დონეზე. საინფორმაციო საშუალებები აღწევს მსოფლიოში არსებულ სხვადასხვა კულტურულ ზონაში და სერიოზულ ცვლილებებს იწვევს.

წინამდებარე თავი წარმოადგენს 2008-2009 და 2006-2007 წლების პერიოდის საზღვარგარეთული პრესის მიმოხილვას. კვლევის მიზანი იყო იმ სტერეოტიპების შესწავლა, რომლებიც ამ პერიოდის განმავლობაში ყალიბდებოდა უცხოურ პრესაში საქართველოს შესახებ, როგორ შეფასდა ქვეყანაში განვითარებული მოვლენები და როგორ აისახებოდა ეს შეფასება ექსპლიციტურ- ენობრივ დონეზე.

განსაკუთრებით საინტერესო იყო, თუ როგორ აშუქებდა ამერიკული მედია 2008 წლის აგვისტოს მოვლენების შემდეგ არსებულ სიტუაციას საქართველოში. სტატიები (ახალი ამბები, ნარკვევი, კომენტარი) განხილულია მედია ტექსტების სუბიექტურობისა და პრაგმატიკული მიზანმიმართების თვალსაზრისით.

აღსანიშნავია, რომ მედიის ყურადღება საქართველოში მნიშვნელოვნად გაიზარდა 2003 წლის ვარდების რევოლუციის შემდეგ, რომელმაც საქართველო

გააცნო მსოფლიოს - დემოკრატიული ღირებულებებისა და საბჭოთა წარსულის მქონე, მცირე ზომის სახელმწიფოდ კავკასიის რეგიონში.

წინამდებარე თავის პირველ ნაწილში მოცემულია 2008-2009 წლების ნიუ იორკ ტაიმსში გამოქვეყნებული მასალების ანალიზი, რომელიც რუსეთ-საქართველოს ომს შეეხება. მონაცემების ანალიზის მიზნით გამოყენებულია თვისებრივი მეთოდები, განსაკუთრებით კოდირება და ენუმერაცია. მეორე ნაწილში მოცემულია 2006-2007 წლის ინგლისურენოვანი პრესის სტატიების საფუძველზე საქართველოში მიმდინარე მოვლენების აღწერა და შედარება. მოცემული მაგალითები საშუალებას იძლევა, რომ აღიწეროს, როგორ აშუქებდა უცხოური მედია ახალ ამბებს საქართველოს შესახებ, ჩანს თუ არა სუბიექტურობის კვალი ან ცვლილებები მიდგომაში.

ანალიზი საინტერესოა ლინგვისტური და ჟურნალისტური თვალსაზრისითაც. შინაარსობრივ დონეზე განვიხილავ სტატიების სემანტიკურ მაკროსტრუქტურას, თემას, ხოლო კონტექსტის დონეზე – ნიუსის სქემას, სტრუქტურასა და ენობრივი ერთეულების გამოყენებას. განსაზღვრებების, მეტაფორებისა და ეპითეტების ხშირი გამოყენება ხაზს უსვამს სტატიებში სუბიექტურობას. მნიშვნელოვანია სემიოტიკური და დეიქტიკური ნიშნების ილუსტრირება სტატიებში რაც ხელს უწყობს ავტორების პრაგმატიკული ინტენციის განხილვას.

ემპირიული მონაცემების შეგროვების მიზნით გამოყენებულ იქნა შემთხვევითი შერჩევის პრინციპი. სულ 50 სტატია იქნა განხილული, 30 სტატია 2008-2009 წლების განმავლობაში და 20 სტატია 2006-2007 წლების განმავლობაში. მონაცემების ანალიზისათვის, როგორც ზემოთ აღვნიშნე, გამოყენებულია: სემენტაცია, კოდირება და ენუმერაცია. სტატიები განხილული იყო ლინგვისტური თვალსაზრისით (სემანტიკა, პრაგმატიკა) შინაარსობრივ დონეზე. აგრეთვე ყურადსაღები იყო, იძლეოდა თუ არა მედია ტექსტი მრავალფეროვან მასალას ინტერპრეტაციისათვის და მოცემული იყო თუ არა მინიშნებები (იმპლიკაციები) მედია ტექსტის შერჩეულ სემენტებში. სემენტაციისა და კოდირებისას აღნიშნულ იქნა კატეგორიის სახელწოდებები,



რაც ამავე დროს იძლევა საშუალებას მათ მიღმა დაგინახოთ გარკვეული მნიშვნელობები.

იმისათვის რომ განისაზღვროს, რამდენად ხშირად ჩნდება სიტყვები ან კოდირებული კატეგორიები მონაცემებში, გამოყენებულ იქნა ენუმერაცია. “ენუმერაცია ხელს უწყობს თვისებრივი მეთოდის გამოყენების დროს მკვლევარებს გადმოსცენ ისეთი ცნებები როგორცაა ‘რაოდენობა’ ან ‘სიხშირე’ როდესაც ისინი შედეგს აღწერენ.” (ჯონსონი ბ. & კრისტინსენი ლ., 2008, გვ. 541). სიხშირის შესწავლა, თუ რამდენჯერ იქნა გამოყენებული კონკრეტული სიტყვები და იდეები ხელს უწყობს მათი მნიშვნელობის განსაზღვრას და ტექსტის შემდგომ დეკოდირებას.

თეუნ ა. ვან დაიკი (1985) აგრეთვე მხარს უჭერს თვისებრივი მეთოდების გამოყენებას ახალი ამბების, ტექსტისა და კონტექსტის ანალიზის მიზნით (ვან დაიკი, 1988). კოდირების გამოყენებით, შესაძლებელი გახდა “რელევანტურობის” დადგენა ახალ ამბებში. როგორც ვან დაიკი (1985) აღნიშნავს, ახალ ამბავს აქვს “რელევანტური სტრუქტურა” რაც მიანიშნებს იმაზე, თუ ტექსტის რომელი სემანტი ან თემა არის ყველაზე მეტად მნიშვნელოვანი. ენის მცოდნეს აქვს უნარი რამდენიმე წინადადებაში განსაზღვროს, რის შესახებაა სტატია ანუ მთავარი “თემა.” სემანტიკური მაკროსტრუქტურა მოიცავს თემას, სიუჟეტს ან ტექსტის არსს, მნიშვნელობასა და რეფერენციას (ვან დაიკი, 1985). თემა (სიუჟეტი), თავის მხრივ, დაკავშირებულია არა კონკრეტულ სიტყვასთან ან ცნებასთან, არამედ (მაკრო) პროპოზიციასთან. ავტორის მიერ ნაგულისხმევი და მკითხველის მიერ დანახული მაკროსტრუქტურა შეიძლება განსხვავდებოდეს. ეს დამოკიდებულია მკითხველის თეზაურუსსა და გამოცდილებაზე. მაკროსტრუქტურის გარდა ვან დაიკი (1985) აგრეთვე გამოყოფს ნიუსის სქემას ანუ სუპერსტრუქტურას, რაც გულისხმობს ტრადიციული ელემენტებისაგან შემდგარ სქემას შინაარსის გადმოსაცემად: სათაური, ლიდი, ფონი, ციტატა (ე.წ. ვერბალური რეაქცია), მთავარი ამბავი, წინა ამბავი (იმ მიზნით, რომ შეახსენონ მკითხველს მანამდე რა მოხდა), და შედეგი. აღსანიშნავია, რომ ყველაზე კარგად მაკროსტრუქტურა წარმოდგენილია სათაურსა და სტატიის პირველ წინადადებაში ანუ ლიდში (ვან დაიკი, 1985). მაგალითად, საკვლევი მასალიდან

ერთ-ერთი სტატიის სათაური “დავითი და გოლიათი” საქართველოსა და რუსეთთან მიმართებაში ნათელს ჰფენს თავად სტატიის მაკროსტრუქტურას, პატარა-ჩაგრულისა და დიდი-მჩაგრელის ხატების შექმნას.

ეს კვლევა წარმოადგენს მოკრძალებულ მცდელობას, შესწავლილ იქნას, საქართველოს შესახებ თუ როგორი იმიჯის დამკვიდრებას უწყობს ხელს ინგლისურენოვანი მედია და ამასთანავე, გაანალიზდეს, როგორ არის გამოხატული ავტორის პრაგმატიკული ინტენცია თუ მაკროსტრუქტურა ენობრივი ერთეულების საშუალებებით მედია ტექსტებში. კვლევის ერთ-ერთ შეზღუდვას წარმოადგენს მასალების მოკრძალებული რაოდენობა.

### *კვლევის შედეგები*

ანალიზის შედეგად ჩანს, რომ რუსეთ-საქართველოს დაპირისპირების დროს ამერიკული მედია გამოცემები აქცენტს აკეთებდნენ საქართველოს ჯარის მცირე გამოცდილებაზე. ამ კატეგორიაში ძირითადად შემდეგი ფრაზები გვხვდება: “საქართველოს გამოუცდელი ჯარი” (Georgia’s inexperienced military) ან “ქართველი მაღალჩინოსნები, მწირი სამხედრო გამოცდილების მქონე ჯგუფი” (Senior Georgian officials, a group of scant military experience) (ნიუ იორკ ტაიმსი, 7 ნოემბერი, 2008).

მედია აგრეთვე ინტენსიურად საუბრობდა ამ ომის ნეგატიურ შედეგებზე და განსაკუთრებით, ხაზს უსვამდა, რომ ეს ომი “უბედურება” იყო საქართველოსთვის, თუმცა, შეარყია როგორც საქართველოს, ისე რუსეთის მდგომარეობაც.

“For both Russia and Georgia, the stakes are higher than just boosting patriotism among their people. The war shook the world’s trust in each country, and both Moscow and Tbilisi are eager to stitch those wounds.” (New York Times, August 6, 2009).

“ორივესთვის რუსეთისა და საქართველოსთვის, სასწორზე უფრო მეტი დევს, ვიდრე უბრალოდ პატრიოტიზმის გრძნობის გაზრდა ხალხში. ამ ომმა

შეარყია მსოფლიოს ნდობა თითოეული ამ ქვეყნისადმი, და ორივეს მოსკოვს და თბილისს სურთ, მოიჩინონ ეს ნაიარვეი.”

1990იან წლებში საქართველოს ორ ავტონომიურ რესპუბლიკებში ეთნიკურ ნიადაგზე მიმდინარე დაპირისპირებებში რუსეთი ძირითადად კულისებიდან იყო ჩართული. იმ პერიოდში კონფლიქტები ამ ტერიტორიების ეთნიკური ქართველებისაგან გაწმენდით დამთავრდა. დასავლეთის მედიაშეცდომა ნაკლები ყურადღება დაუთმო ქართულ-აფხაზურ და ქართულ-ოსურ კონფლიქტებს. 2008 წლის **რუსეთ-საქართველოს ომმა** მოიპოვა ფართო მას მედიის ყურადღება და ნათელი გახდა ის ფაქტი, რომ სინამდვილეში დაპირისპირება არსებობდა **რუსეთსა და საქართველოს შორის**.

ამერიკული მედიის ანალიზით დადგინდა, რომ რუსეთმა მოიპოვა **აგრესორის** იმიჯი ამ დაპირისპირებაში.

“**The advance into Georgia** proper fed fears that Moscow aimed to take the entire country that had once been part of the **Russian Empire**.” (New York Times, Aug. 6, 2009).

“The European Union said Monday that it would resume negotiations with Russia that it had halted following **Russia’s invasion of Georgia**...” (New York Times, Nov. 11, 2009).

“საქართველოს ტერიტორიის კიდევ უფრო მითვისებამ გაზარდა შეშფოთება, რომ მოსკოვი მიზნად ისახავდა მთელი ქვეყნის დაპყრობას, რომელიც ოდესღაც **რუსეთის იმპერიის** ნაწილი იყო.” (ნიუ იორკ ტაიმსი, 9 აგვისტო, 2009).

“ევროკავშირმა განაცხადა ორშაბათს, რომ ის განაახლებდა მოლაპარაკებებს რუსეთთან, რომელიც მან შეწყვიტა რუსეთის მიერ **საქართველოში შეჭრის** შედეგად . . .” (ნიუ იორკ ტაიმსი, 11 ნოემბერი, 2009).

“... a step they believe could deter **aggression from Russian** or separatist forces...” (New York Times, July 21, 2009)

“. . . ნაბიჯი, რომელიც მათი რწმენით შეაჩერებდა **აგრესიას რუსეთისაგან** ან სეპარატისტული ძალებისაგან . . .” (ნიუ იორკ ტაიმსი, 21 ივლისი, 2009).

“...Mr. Biden saved his **harshest** words for Russia.” (New York Times, July 24, 2009).

“. . . მისტერ ბაიდენმა შეინახა ყველაზე მკაცრი სიტყვები რუსეთისათვის.” (ნიუ იორკ ტაიმსი, 24 ივლისი, 2009).

“... It also criticized **Russia for bombarding Georgian territory** later and for allowing South Ossetian forces to loot ethnic Georgian villages for weeks.” (New York Times, Nov. 18, 2009).

“. . . მოგვიანებით, მან აგრეთვე გააკრიტიკა რუსეთი საქართველოს ტერიტორიის დაბომბვისა და სამხრეთ ოსური ძალებისათვის უფლების მიცემისათვის, რომ გაეძარცვათ ეთნიკური ქართველების სოფლები რამდენიმე კვირის განმავლობაში.” (ნიუ იორკ ტაიმსი, 18 ნოემბერი, 2009).

ლინგვისტური ერთეულები, რომლებიც გამოყენებულია ამ მაგალითებში “რუსეთის იმპერია,” “რუსეთის მიერ საქართველოში შეჭრა,” “აგრესია რუსეთის მხრიდან” და ა.შ. ატარებს უარყოფით კონოტაციებს და მედია გამოშვების დამოკიდებულებას შესწავლილ ტექსტებში. ნათელია, რომ ამ ენობრივი ერთეულების მიღმა გარკვეული პრაგმატიკული ინტენციია და ემსახურება რუსეთის როგორც აგრესორის სახის შექმნას.

ამასთანავე, რამდენიმე ორაზროვნება ჩნდება მოსახრებებში მაშინ, როდესაც ამერიკული მედია მსჯელობს იმ საკითხზე, ვინ დაიწყო ომი 7 აგვისტოს, 2008 წელს.

“The accounts are neither fully conclusive nor broad enough to settle the many lingering disputes over blame in a war that hardened relations between the Kremlin and the West. But they raise questions about the accuracy and honesty of Georgia’s insistence that its shelling of Tskhinvali, the capital of the breakaway region of South Ossetia, was a precise operation. Georgia has variously defended the shelling as necessary to stop heavy Ossetian shelling of Georgian villages, bring order to the region or counter a Russian invasion.” (New York Times, Nov. 7, 2008)

“ანგარიშები არც სრულიად დამაჯერებელია და არც ამომწურავი რომ პასუხი გასცეს კითხვებს თუ ვინ არის დამნაშავე ომში, რომელმაც გაამძაფრა

ურთიერთობები კრემლსა და დასავლეთს შორის. მაგრამ მათ [ანგარიშები] წინ წამოსწიეს კითხვები საქართველოს ობიექტურობასა და გულწრფელობაში, რომ ცხინვალის, დე ფაქტო სამხრეთ ოსეთის დედაქალაქის, დაბომბვა ზუსტი ოპერაცია იყო. საქართველომ სხვადასხვა გზით გაამართლა ეს ფაქტი რომ საჭირო იყო შეეჩერებინათ ოსეთის მიერ საქართველოს სოფლების დაბომბვა, დაემყარებინათ წესრიგი რეგიონში და დაპირისპირებოდნენ რუსეთის შემოჭრას.” (ნიუ იორკ ტაიმსი, 7 ნოემბერი, 2008).

მიუხედავად ამისა, საქართველოს მიმართ ამერიკული მედიის სიმპათია მაინც აშკარაა. ეს განსაკუთრებით იძულებით გადაადგილებული პირების აღწერის დროს ჩანს. ამასთანავე, ამერიკის სამხედრო მოხელეები ვერბალურად მხარს უჭერენ საქართველოს “პრო-დასავლურ” პოლიტიკას და სთავაზობენ, შემდგომ მხარდაჭერას თავიანთ “მოკავშირეს.”

“But even though European monitors have long been on the ground, Russia still holds large areas that had irrefutably been under Georgian control, and thousands of **Georgians have not been allowed free access to homes** far from the disputed territory where the war began.” (New York Times, April 3, 2009).

“მაგრამ თუ ევროპელი მონიტორები დიდი ხნის განმავლობაში იყვნენ ადგილზე, რუსეთი ჯერ კიდევ იკავებს დიდ ტერიტორიას, რომელიც უპირობოდ იყო საქართველოს კონტროლის ქვეშ, და ათასობით ქართველს დაშორებულს საკამათო ტერიტორიებიდან საიდანაც ომი დაიწყო არ აქვს უფლება თავისუფლად მივიდეს თავის სახლში.” (ნიუ იორკ ტაიმსი, 3 აპრილი, 2009).

“**The Georgians have been quite clear that they were shelling targets** – the mayor’s office, police headquarters –**that had been used for military purposes,**” said Matthew J. Bryza, a deputy assistant secretary of state and one of Mr. Saakashvili’s vocal supporters in Washington.” (New York Times, Nov. 7, 2008).

“ქართველებმა ნათლად გაუსვეს ხაზი იმ ფაქტს, რომ ბომბავდნენ სამიზნეებს – მერის ოფისს, პოლიციის შტაბს - რომელსაც იყენებდნენ სამხედრო მიზნებისათვის,” განაცხადა მეთიუ ბრაიზამ, სახელმწიფო მდივნის

წარმომადგენელმა და სააკაშვილის ერთ-ერთმა მხარდამჭერმა ვაშინგტონში. (ნიუ იორკ ტაიმსი, 7 ნოემბერი, 2008).

“ [Joe Biden] He noted **the largess of Americans**- “they said, ‘It’s OK., take my money, raise my taxes”” – in pledging \$1 billion in aid to Georgia after the war. Only five million people live in Georgia, making it one of the highest per capita recipients of American aid in the world.” (New York Times, July 24, 2009).

“[ჯო ბაიდენი] მან შენიშნა **ამერიკელების გულუხვობა**- “მათ თქვეს,” “კარგი, აიღეთ ჩემი ფული და გაზარდეთ გადასახადები”- 1 მილიარდი დოლარი გაიღეს ომის შემდგომი საქართველოს დასახმარებლად. საქართველოს მოსახლეობა მხოლოდ ხუთი მილიონია რის გამოც ამერიკის მხრიდან საქართველო ყველაზე დიდ დახმარებას იღებს ერთ სულ მოსახელზე.” (ნიუ იორკ ტაიმსი, 24 ივლისი, 2009).

“Mr. Biden intends to make it clear on this trip that the **United States will not abandon its allies** in deference to Russia, said one of his senior advisers. ‘We will continue to reject the notion of spheres of influence,’ Antony J. Blinken, Mr. Biden’s national security adviser, said in a conference call with reporters last week. ‘We will continue to stand by the principle that sovereign democracies have the right to make their own decisions and choose their own partnerships and alliances.’” (New York Times, July 21, 2009).

“მისტერ ბაიდენი მიზნად ისახავს ამ მოგზაურობის დროს ნათელი გახადოს ის ფაქტი, რომ **ამერიკის შეერთებული შტატები არ მიატოვებს თავის მოკავშირეებს** რუსეთთან მიმართებაში, განაცხადა ერთ-ერთმა მთავარმა მრჩეველმა. “ჩვენ ვაგრძელებთ გავლენის სფეროების ცნების უარყოფას,” განაცხადა კონფერენციაზე რეპორტიორებთან გასულ კვირას ანტონი ბლინკენმა, მისტერ ბაიდენის მრჩეველმა ეროვნული უსაფრთხოების საკითხებში. “ჩვენ ვაგრძელებთ იმ პრინციპის დაცვას რომ სუვერენულ დემოკრატიებს უფლება აქვთ, მიიღონ საკუთარი გადაწყვეტილება და შეარჩიონ მათი საკუთარი პარტნიორები და მოკავშირეები.” (ნიუ იორკ ტაიმსი, 21 ივლისი, 2009).

“His [Joe Biden’s] visit after President Obama’s meeting with the Russian president, Dmitri A. Medvedev, in Moscow, is aimed at reassuring the countries that **American support will remain** despite an improvement in Russian relations.” (New York Times, July 21, 2009).

“მისი [ჯო ბაიდენის] ვიზიტი პრეზიდენტ ობამას შეხვედრის შემდეგ რუსეთის პრეზიდენტ, დიმიტრი ა. მედვედევთან, მოსკოვში, მიზნად ისახავს დაარწმუნობს ქვეყნები რომ ამერიკის მხარდაჭერა შენარჩუნდება მიუხედავად ურთიერთობების გაუმჯობესებისა რუსეთთან.” (ნიუ იორკ ტაიმსი, 21 ივლისი, 2009).

აგრეთვე საინტერესო იყო, როგორ განიხილავდა მედია საქართველოს დე ფაქტო რეგიონებს, სამხრეთ ოსეთსა და აფხაზეთს, რომლებიც იურიდიულად აღიარებულია სუვერენული საქართველოს ტერიტორიებად. მედია გამოშვებებში, უმეტესად, ორ ტერმინს ვხვდებით დე ფაქტო აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის აღსანიშნად: ანკლავი (34 შემთხვევა) (enclaves) და შედარებით ნაკლებად გამოყენებული სეპარატისტული (8 შემთხვევა) (separatist). აგრეთვე, უნდა აღინიშნოს, რომ ეს ტერმინები გვხვდება ინგლისურენოვან მედიაში ავტონომიურ რესპუბლიკებთან მიმართებაში 2006-2007 წლის სტატიებში. ამგვარად, ომს დიდი ცვლილება არ გამოუწვევია იურიდიული სტატუსისა და საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის მიმართ დამოკიდებულებაში. 2006 წელს მედიაში გვხვდებოდა შემდეგი ტერმინები სამხრეთ ოსეთსა და აფხაზეთთან მიმართებაში: ანკლავი, მუამბოსე რეგიონი, პრო-რუსული რეგიონი (enclave, rebel region, pro-Russian separatist regions). საქართველოს აღწერისას დასავლურ მედიაში გაჩნდა ისეთი ლინგვისტური ერთეულები (ეპითეტები) როგორიცაა პატარა, მცირე, პაწაწინა (small, little, tiny).

“Moscow has also imposed economic sanctions on **tiny Georgia**.” (Reuters, November 27, 2006).

“მოსკოვმა აგრეთვე დააწესა ეკონომიკური სანქციები პაწაწინა საქართველოზე.” (როიტერი, 27 ნოემბერი, 2006).

ოპოზიცია პატარა: დიდი საქართველოსა და რუსეთთან მიმართებაში მოცემულია ვაშინგტონ პოსტის 2006 წლის ერთ-ერთი სტატიის სათაურში “დავითი და გოლიათი.” თუმცა ეს მეტაფორა პირველად პრეზიდენტმა სააკაშვილმა გამოიყენა. მაკროსტრუქტურის და მოცემული სემანტიკური მნიშვნელობების ანალიზის თვალსაზრისით ეს მეტაფორა აქტუალიზებული სათაურშივე ატარებს დიქტომიის/ოპოზიციის იდეას და მიუთითებს იმპლიციტურ მნიშვნელობაზე. დასავლეთის მედია საკმაოდ მჭევრმეტყველური იყო პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის აღწერის დროს: ახალგაზრდა, პრო-ამერიკული, პრო-დემოკრატიული, ამერიკული განათლების, კოლუმბიის უნივერსიტეტში განათლებული იურისტი, პრო-დასავლური და დემოკრატიული განათლების მქონე პრეზიდენტი (young, pro-American, pro-democracy, US-educated, Columbia-educated lawyer, pro-western, and western-educated president).

როგორც ზემოთ აღვნიშნე, კვლევამ აჩვენა რომ 2006 წლიდან დრამატული ცვლილება ინგლისურენოვანი მედიის დამოკიდებულებაში საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის მიმართ არ მომხდარა. მიუხედავად ამისა, დღეს ირონიულად უღერს, რომ 2006 წელს დასავლური მედია განიხილავდა ომის იდეას როგორც სეპარატისტული რეგიონების დაბრუნების ერთ-ერთ საშუალებას, მაგრამ მაშინვე უარყოფდა მას და აღნიშნავდა რომ ამ ტერიტორიების უკან რუსეთი იდგა.

“War, though, would be crazy-because, it would in effect be war against Russia, whose support helped the two enclaves to achieve their quasi-secession and sustains them in it.” (The Economist, August 3, 2006).

“ომი, თუმცა, სიგიჟე იქნება- რადგან, ფაქტობრივად, ეს იქნება ომი რუსეთთან, რომლის მხარდაჭერით შეძლო ამ ორმა ანკლავმა ნახევრად დამოუკიდებლობის მიღწევა და დღემდე ეხმარება მათ.” (ეკონომისტი, 3 აგვისტო, 2006).

ამ მცირე კვლევის საფუძველზე ჩანს, რომ დასავლეთის პოლიტიკოსებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების განცხადებებმა მნიშვნელოვანი გავლენა იქონიეს საგაზეთო სტატიებზე რომლებიც ამერიკულ პრესასა და დასავლურ



მედიაში გამოქვეყნდა. 2008-2009 წლის ამერიკული მედიის ანალიზის შედეგად ნათელი გახდა, რომ საქართველოს მიმართ პოლიტიკური მხარდაჭერა, რომელიც წინა წლებში აშკარად ჩანდა, არ შემცირებულა, მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთი ფაქტორი უფრო დაწვრილებითი განსჯის საგანი გახდა. ამ პერიოდის განმავლობაში ამერიკულ მედიაში ფართოდ დამკვიდრდა რუსეთის როგორც აგრესორის იმიჯი, ხოლო საქართველოს იმიჯი, როგორც მოკავშირისა, გაიზარდა. შესწავლილი სტატიების სათაურებსა და ლიდში ჩანს სემანტიკური მაკროსტრუქტურა ანუ მთავარი “თემა.” ავტორის დამოკიდებულება გადმოცემულია იმპლიციტურად ფაქტების შერჩევასა და კონსტატაციაში, ხოლო შედარებით ექსპლიციტურად - ეპითეტებსა და მეტაფორებში.

## **თავი VI ბეჭდვითი მედიის მომავალი – ინტერნეტ გაზეთი?**

მთელ მსოფლიოში ტექნოლოგიის განვითარებასთან ერთად იცვლება ინფორმაციის მიწოდების ხერხებიც. თუ მე-19 საუკუნეში გაზეთი ინფორმაციის მიწოდების საუკეთესო საშუალება იყო, შემდგომ მას რადიო და ტელევიზია დაემატა. დღეს კი ვხედავთ ამ სამი საკომუნიკაციო საშუალების გაერთიანების მცდელობას ინტერნეტ ჟურნალისტიკის სახით.

მსოფლიო ინტერნეტ ქსელში (World Wide Web) უამრავი გაზეთის ელექტრონული ვერსიის მოძიებაა შესაძლებელი. ისეთ დიდ გაზეთებს როგორცაა ნიუ იორკ ტაიმსი, ვაშინგტონ პოსტი, ინდიფენდენტი, გარდენი აქვთ თავიანთი ინტერტენ ვერსია. ამჟამად, მცირებიუჯრეტიანი გაზეთებიც, იშვიათი გამონაკლისის გარდა, აქვეყნებენ თავიანთ ვებ გვერდებს.

ჟურნალისტიკის სფეროში რამდენიმე წარმატებული წიგნის ავტორი, იან ჰარგრივსი თვლის, რომ გაზეთები ცუდ მდგომარეობაშია, რადგან უჭირთ ელექტრონულ მედიასთან კონკურენცია. (ი. ჰარგრივსი, ჟურნალისტიკა, 2005). ეს უნივერსალური მოვლენაა მთელს მსოფლიოში. თუმცა ტექსტური მედიის მოყვარულები მიიჩნევენ, რომ ინტერნეტ გაზეთი არ უნდა განვითარდეს ბეჭდვითი მედიის ხარჯზე.

“გვჯერა, რომ ტრადიციული ქალაქებზე შავით თეთრზე დაბეჭდილი გაზეთი არსებობას მაშინაც გააგრძელებს, როცა ახალი ტექნოლოგიების შედეგად ინტერნეტ გაზეთები შეიქმნება. ისიც გვჯერა, რომ ამ გარდამავალ პერიოდში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ახალი ამბების სფეროში მიმდინარე ფუნდამენტური პროცესების გაგებას, იმის გაგებას, თუ რა მუშაობს აქ კარგად და რა-ცუდად,” წერენ ჯონ მაქსველ ჰამილტონი და ჯორჯ კრიმსკი თავიანთ ნაშრომში “ჩაეჭიდეთ პრესას.” (ჯ.მ. ჰამილტონი & ჯ. კრიმსკი, ჩაეჭიდეთ პრესას, გვ. 7).

მიუხედავად ამისა, ინტერნეტ გაზეთი დღეს განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს. თანდათან გაზეთისაგან უფრო განსხვავებული და მრავალფეროვანი ხდება მათ მიერ ინფორმაციის მიწოდების გზები და მანერა.

სტატიაში “რა უნდა გააკეთონ გაზეთებმა და მათმა ვებსაიტებმა თავის გადასარჩენად” ვინ ქროსბი (2004) წერს, რომ 1994 წელს ახალი მედიის აღმასრულებლები ვითარების რადიკალურად შეცვლას მოელოდნენ რამდენიმე წელიწადში, რადგანაც ინტერნეტი ერთ-ერთი ყველაზე სწრაფად მზარდი საკომუნიკაციო საშუალებაა კაცობრიობის ისტორიაში.

ამასთანავე, გაზეთის ცირკულაცია და მკითხველთა რაოდენობა ისევ განიცდის თავის 40-წლიან დაღმასვლას. “ონლაინ ჟურნალისტიკის მიმოხილვის” (Online Journalism Review) მიერ გამოქვეყნებული ინფორმაციით 1964 წელს ამერიკელთა ზრდასრული მოსახლეობის 80% კითხულობდა გაზეთს ყოველდღე, ეს ციფრი 50% -მდე შემცირდა 1997 წლისთვის.

მიუხედავად ამისა, შეიძლება ითქვას რომ დღესდღეობით გაზეთს უფრო მეტი მკითხველი ჰყავს, ვიდრე მის ინტერნეტ ვერსიას.

Nielsen/Netratings სტატისტიკით NYTimes.com-ს 2003 წლის ივლისში, ამ საიტის 8, 283, 000 მომხმარებელმა მხოლოდ 5.74-ჯერ ნახა საიტი და თითოეულმა 35 წუთზე ნაკლები დრო დახარჯა მთელი თვის განმავლობაში.

ნორტვესტერნ უნივერსიტეტის მკითხველთა ინსტიტუტის მედია მენეჯმენტის ცენტრის 2002 წლის კვლევის მიხედვით საშუალოდ გაზეთის

მკითხველი გაზეთს 3.4-ჯერ კითხულობს კვირაში (14.7-ჯერ თვეში) და საშუალოდ 28.2 წუთს ხარჯავს დღეში.

სხვადასხვა კვლევების თანახმად (Mori Minnesota Opinion Research Inc.) 2001 წელს 18-დან 34 წლამდე ასაკის მკითხველის მხოლოდ 26% კითხულობდა გაზეთს. ეს ციფრი გაცილებით მაღალი იყო 1997 წელს- 39%.

ამჟამად, ჟურნალისტიკის სფეროში მოღვაწეები უამრავ ენერჯიას და თანხას დებენ ახალი მედიის (ინტერნეტ ჟურნალისტიკის) განვითარებისათვის.

ბევრი თვლის რომ ახალგაზრდა თაობა, რომელიც დღეს ინტერნეტ გაზეთს ანიჭებს უპირატესობას, დროთა განმავლობაში ამ ჩვეულებას არ შეიცვლის. ჩრდილოეთ კაროლინის უნივერსიტეტის პროფესორმა ფილიპ მეიერმა დაადგინა, რომ საზოგადოდ ადამიანებს ის კითხვის წესები უნარჩუნდებათ, რაც მათ 20 წლის ასაკში ჰქონდათ. ([www.ojr.org](http://www.ojr.org)).

წამყვანი ჰოლანდიური გაზეთების რედაქტორები თვლიან, რომ ინტერნეტი მკითხველთან ურთიერთობის საუკეთესო საშუალებაა. თუმცა იმ მიზნით, რომ შეინარჩუნონ გაზეთის მკითხველები ვებ საიტი ინფორმაციის მიწოდების დამატებითი საშუალება უნდა იყოს. გაზეთ deVolkskrant- ის ვებ რედაქტორი გ. ბოგარტი ჩვენთან ინტერვიუში აღნიშნავს, რომ ვებ საიტზე ახალი ამბები ქვეყნდება, მაგრამ ნაბეჭდ სტატიაში სრული დეტალებია მოცემული. “ჩვენ ვცდილობთ, ღირებულება შევმატოთ გაზეთს,” აღნიშნა გ. ბოგარტი.

და მაინც, რას სთავაზობს განსაკუთრებულს ინტერნეტ გაზეთი მის მომხმარებელს და რითი განსხვავდება იგი ტრადიციული გაზეთისაგან?

ტრადიციული გაზეთისთვის ლინეალური მოდელია დამახასიათებელი, ხოლო ინტერნეტი არალინეალური ბუნებისაა, რადგანაც საიტის მომხმარებელმა ინფორმაცია შესაძლოა მიიღოს რამდენიმე სხვადასხვა გზით - ვიდეო, აუდიო, ფოტო და გრაფიკული გამოსახულება.

მაიკ ვორდი (2002) თვლის, რომ გაზეთის საიტზე მკითხველი ძირითადად ლინეალური პროდუქციის სტატიის და მულტიმედიური პროდუქციის (სლაიდ შოუ, ვიდეო და აუდიო სიუჟეტი) არაღინეალურად აღქმას ახდენს.

ამ ეტაპზე ქაღალდის გაზეთზე დაბეჭდილი სტატია და მისი ინტერნეტ ვერსია იდენტურია. მხოლოდ თუ ნაბეჭდ გაზეთში უპირატესობა პირამიდის სტილს ენიჭება, ინტერნეტ საიტებზე ხშირია სტატიის დანაწევრების მცდელობა, რაც ინფორმაციის გამარტივებულ აღქმასთან არის დაკავშირებული. მთლიანი სტატია საიტზე აზრობრივ-თემატურად არის დაყოფილი ქვეთავების საშუალებით.

მ. ვორდი (2002) თვლის, რომ სტატიის სეგმენტაცია შემდეგი პრინციპით ხდება:

1. სტატიის მახასიათებლები (რამდენად მნიშვნელოვან მოვლენას აღწერს, რა ზომისაა, ახლავს თუ არა მას მულტიმედია);
2. მომხმარებლის საჭიროება და ინტერესი;
3. გარდა ინტერნეტ ტექსტისა რა სახით მოხდება ინფორმაციის მიწოდება.

აღიარებულია, რომ წერის მანერა უნდა იყოს მარტივი და ნათელი. თავად ქვეთავში შეიძლება იყოს შენარჩუნებული პირამიდის კონსტრუქცია და შემაჯამებელი ლიდი.

გაზეთისაგან განსხვავებით საიტზე მოცემული სტატიის ქვეთავები ცალკე დამოუკიდებელ ინფორმაციას უნდა იძლეოდეს, უნდა იყოს გაშიფრული ყველა დეტალი, რაც სტატიის წაკითხვას გაადვილებს. ეს იმით აიხსნება, რომ საიტზე სტატიის სხვადასხვა ქვეთავი შესაძლოა, ვიზუალურად ცალ-ცალკე იყოს განთავსებული.

კრაუფორდ კილიანი (მ. ვორდი, 2002) შემდეგ რჩევებს იძლევა:

- სათაურები უნდა იყოს მარტივი და ინფორმაციული;

- გამოიყენეთ ციტატები, რადგან მკითხველი ამჯობინებს, იცოდეს ზუსტად თუ რა თქვა სხვა პირმა;
- ჩართეთ კითხვები, რადგან ისინი გვაიძულებენ ვეძებოთ პასუხი;
- ჩართეთ მოულოდნელი წინადადებები, რადგან მკითხველს უყვარს სიურპრიზები;
- ჩართეთ მოსალოდნელი კონფლიქტის ელემენტები - ჩვენ გვიყვარს ბრძოლა;
- ჩაეჭიდეთ უახლეს მოვლენებს;
- პირდაპირ მიმართეთ მკითხველს.

ინტერნეტ გაზეთში განსაკუთრებული სიახლე მულტიმედიაში ჩანს- ვიდეო, აუდიო და ფოტო სიუჟეტებში და მათთვის დამახასიათებელ ენაში. აუდიო და ვიდეო უფრო მეტ საშუალებას აძლევს გაზეთის ჟურნალისტს გამოხატოს საკუთარი თავი. მულტიმედიის საინტერესო მაგალითი გვხვდება ნიუ იორკ ტაიმსის ვებ გვერდზე.

სლაიდ შოუს ტიტრები და აუდიო სიუჟეტები, რომლებიც ხშირად არის განთავსებული ნიუ იორკ ტაიმსის ნარკვევის გვერდზე გარკვეული ენობრივი თავისებურებებით ხასიათდება. სლაიდ შოუების, რომლებიც ციფრული ფოტოებისა და ტიტრებისაგან შედგება, ძირითადი ფუნქცია მკითხველისთვის დამატებითი და სასარგებლო ინფორმაციის მიწოდებაა.

არანაკლებ საინტერესოა, თუ როგორ ხდება ერთდროულად ჟურნალისტის მიერ სტატიის მიწოდება და აუდიო სიუჟეტის დამზადება, რადგან ამ შემთხვევაში ჟურნალისტი სხვადასხვა პოზიციებიდან აღწერს ერთდროულად სურათს.

მაგალითისათვის, განვიხილოთ სტატია პარიზის 2006 წლის ფეშენ შოუს შესახებ და მისი აუდიო ვერსია. ნაბეჭდი ტექსტი გავრცელებული შემაჯამებელი ლილით იწყება. სტატიაში არის რამდენიმე წინადადება, რომელიც შეფასებას

გამოხატავს, თუმცა ავტორი ძირითადად დიზაინერებისა და კრიტიკოსების აზრს ეფუძნება, მოჰყავს ციტატები.

“ეს გარკვეული სახის ხუმრობა იყო, განაცხადა დიზაინერმა იუნ ტაკაჰაშიმ.”

“It was a kind of a joke,” said the designer Jun Takahashi.

სტატიაში მოცემულია დამატებითი დეტალები და ფონისეული ინფორმაცია. აუდიო ვერსიაში ფონისეულ ინფორმაციაზე ყურადღება არ არის გამახვილებული. ავტორი, პირველ რიგში, მკითხველს ეცნობა, “გამარჯობა, ეს სტეფანი როზენბლუმი, ნიუ იორკ ტაიმსიდან” (“Hello, this is Stephanie Rosenbloom from the New York Times”).

შემდეგ ჟურნალისტი პარიზის ფეშენ შოუს აღწერაზე გადადის.

“One of the most striking trends at the Paris fashion shows last week was the obscuring of the models by masks, veils, giant hats, this dark swath of fabric.” (The New York Times, March 5, 2006, audio).

“ყველაზე აშკარა ტენდენცია პარიზის მოდის კვირეულზე გასულ კვირას გახლდათ მოდელების შემოსვა მუქი ფერის ქსოვილის ნიღბებით, პირბადეებით, უზარმაზარი ქუდებით.” (ნიუ იორკ ტაიმსი, 5 მარტი, 2006, აუდიო).

ეს ლიდი სტატიის ლიდისაგან განსხვავდება სიტყვებით “უზარმაზარი”, “ამ ბნელი” (“giant,” “this dark”) – რაც ავტორის დამოკიდებულებას ააშკარავებს. მეტი თვალსაჩინოებისათვის აქვე დავურთავთ ნაბეჭდი სტატიის ლიდს.

“One of the most striking trends at the Paris fashion shows last week was the obscuring, by masks, hoods, hats and swath of fabric, of the radiant faces of the models.” (New York Times, March 5, 2006).

“ყველაზე აშკარა ტენდენცია პარიზის მოდის კვირეულზე გასულ კვირას გახლდათ მოდელების აფერადებული სახეების გაბუნდოვნება ნიღბებით,

კაპიშონით, ქუდებითა და ქსოვილის ნაჭრებით.” (ნიუ იორკ ტაიმსი, 5 მარტი, 2006).

ეს ორი ლიდი თითქმის იდენტურია, მაგრამ ავტორი სტატიის ლიდში აღწერის იმპერსონალურ სტილს არჩევს.

აუდიო ჩანაწერში ჟურნალისტი არ ერიდება აშკარა შეფასებას:

“Jun Takahashi had one of the more startling masks, because it was completely covering the models’ faces.” (New York Times, March 5, 2006).

“იუნ ტაკაჰაშის ჰქონდა ერთ-ერთი ყველაზე გამაოგნებელი ნიღაბი, რომელიც მთლიანად ფარავდა მოდელების სახეებს.” (ნიუ იორკ ტაიმსი, 5 მარტი, 2006).

აქ ფრაზა ერთ-ერთი ყველაზე გამაოგნებელი (one of the more startling masks) ნათლად აჩვენებს ავტორის დამოკიდებულებას.

აუდიო სიუჟეტის ბოლოს ჟურნალისტი აჯამებს მოდის კვირეულით სტუმრებში გამოწვეულ არაერთგვაროვან შეფასებას, რაც სტატიაში ციტატებით არის გადმოცემული რამდენიმე აბზაცში.

“თითქოს სამი შეხედულება იყო” (“There were sort of three views”) – აუდიო სიუჟეტში შეინიშნება სასაუბრო ენისთვის დამახასიათებელი ელემენტები: თითქოს (sort of), უფრო საშიში რამ (more sinister thing), რაღაც რომელიც გამოიყურებოდა (something look like), ასე რომ (so), რამდენიმე რამ (couple of things), უფრო გამაოგნებელი ნიღბები (the more startling masks). ეს ენობრივი ფრაზები ნაბეჭდ სტატიაში, სადაც აქცენტი ენის სიზუსტესა და კომპაქტურობაზე კეთდება ნაკლებად გვხვდება. მაგ. ავტორი ერთწუთიან აუდიო ჩანაწერში სამჯერ წარმოთქვამს ფრაზას თითქოს (sort of).

მაშასადამე, ელექტრონული გაზეთი წარმოადგენს ტექსტის, აუდიოსა და ვიდეოს ერთიანობას. იგი ლინეალური პროდუქციისგან შედგება, თუმცა მომხმარებლის მიერ ინფორმაციის აღქმის პროცესი არააღინეალურია.

სტატიასთან დართული აუდიო ან ვიდეო სიუჟეტი ჟურნალისტს აძლევს საკუთარი ინდივიდუალიზმის გამოხატვის საშუალებას. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ამ ნაშრომში ჩემი მცდელობა არ წარმოადგენს ინტერნეტ გაზეთის ლინგვისტური თავისებურებების შესწავლას. მაგრამ, ბეჭდვითი მედიის ანალიზისას ხშირად ჩნდება კითხვა, არის თუ არა ინტერნეტ გაზეთი მისი მომავალი, მაშინ როდესაც ინტერნეტი ერთ-ერთი ყველაზე მზარდი სფეროა. შესაბამისად, შევეცადე ზოგადად დამეხასიათებინა ინტერნეტ გაზეთის თავისებურებები, რადგან მიმაჩნია, რომ ეს საკითხი ლინგვისტებისა თუ მედია სპეციალისტებისათვის საინტერესო საკვლევ თემას წარმოადგენს.

### დასკვნა

წინამდებარე ნაშრომში შესწავლილია ბრიტანული, ამერიკული და ქართული ავტორიტეტული პრესის ჟანრთა ლინგვისტური და სტრუქტურული მახასიათებლები. განხილულია როგორ აშუქებს ამერიკული პრესა საქართველოში მიმდინარე მოვლენებს და ჩანს თუ არა მედია ტექსტებში ავტორის პრაგმატიკული ინტენცია. ნაშრომში აგრეთვე შესწავლილია მედიის როგორც მითის შექმნის ერთ-ერთი საშუალების საკითხი და განხილულია ინტერნეტ გაზეთი როგორც ბეჭდვითი, რადიო და ტელე მედიის გაერთიანების ერთ-ერთი საშუალება.

პრესის ჟანრებიდან ძირითადად განხილულ იქნა ახალი ამბები, ნარკვევი, წერილი რედაქციისაგან და კომენტარი/სვეტი. კვლევის შედეგად დადგინდა, რომ ბრიტანულ და ამერიკულ პრესაში ახალი ამბის გავრცელებული სტრუქტურა გადმოტრიალებული პირამიდის სტილია. ახალი ამბების შესწავლის საფუძველზე გამოიკვეთა, რომ შერჩეული ნიმუშებიდან 88.3% ბრიტანულ გაზეთში წარმოადგენდა გადმოტრიალებული პირამიდის სტილს, ხოლო 85% ამერიკულ გაზეთში. ბრიტანული ახალი ამბებისთვის აგრეთვე დამახასიათებელია ქვიშის საათის სტილის სტრუქტურა, მისი მაგალითი ამერიკული გაზეთიდან შერჩეულ ნიმუშებში არ აღმოჩნდა. ყველაზე მეტად გავრცელებული ლიდი კი - შემაჯამებელი ლიდია. ახალი ამბები როგორც



ამერიკულ, ისევე ბრიტანულ გაზეთში იმპერსონალურია, თუმცა იმპლიციტურ დონეზე შესაძლოა ავტორის პრაგმატიკულ ინტენციაზე ვისაუბროთ. როგორც ზემოთაა აღნიშნული, საგაზეთო სტატია შეიძლება განხილულ იყოს ადრესატისა და ადრესანტის თვალსაზრისით, ხოლო მეტყველების ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ფუნქცია კი რეფერენციალური ფუნქციაა, რომელიც გულისხმობს კონტექსტში შეტყობინების გაშიფვრას ადრესანტის მიერ. ისევე როგორც ინგლისურენოვანი პრესისათვის ქართულ პრესაშიც ახალი ამბებისთვის, უპირველეს ყოვლისა, დამახასიათებელია გადმოტრიალებული პირამიდის სტრუქტურა და შემაჯამებელი ლიდი (70%). ახალ ამბებში აქცენტი კეთდება ფაქტებსა და აღწერაზე და თხრობა, როგორც წესი, მესამე პირშია.

პრესის მეორე ჟანრი ნარკვევი უფრო მეტად გამოხატავს აღწერასა და შეფასებას. ბრიტანულ და ამერიკულ გაზეთში ნარკვევის ყველაზე მეტად დამკვიდრებული სტრუქტურაა ვოლ სტრიტ ჟურნალის ფორმულა. აგრეთვე, გავრცელებულია გადმოტრიალებული პირამიდის ფორმატი. რაც შეეხება ნარკვევის ლიდს, ბრიტანულ და ამერიკულ გაზეთში ძირითადად გავრცელებულია შემაჯამებელი და ამბის გადმომცემი ლიდი. პირველი პირის ნაცვალსახელი მე (I) ბრიტანულ გაზეთშია ყველაზე გავრცელებული, ხოლო ამერიკულ გაზეთში უფრო მეტად მეორე პირის ნაცვალსახელი შენ (you) გვხვდება. ეს აიხსნება იმ ფაქტით, რომ ამერიკული გაზეთი უფრო მეტად სტრუქტურირებულია, ჟანრებს შორის განსხვავება გამოკვეთილია და მეტად დაცული. ამიტომ, ამერიკულ გაზეთში ნარკვევში ჩანს მიმართვა ადრესანტის მიმართ კომუნიკაციის გაძლიერების მიზნით, ხოლო პირველი პირის ნაცვალსახელი მაინც კომენტარი/სვეტისთვის არის განკუთვნილი. ქართულ პრესაში ნარკვევისათვის ყველაზე მეტად დამახასიათებელია აღწერითი, შემაჯამებელი და კონკრეტული ამბის გადმომცემი ლიდის ტიპები, გვხვდება პირველი პირის ნაცვალსახელიც. როგორც ჩანს, ქართული ნარკვევისთვისაც დამახასიათებელია ლიდის ის ტიპები, რაც ინგლისურენოვან პრესაშია. ჟურნალისტის პირადი აზრის გამოხატვა ქართულენოვან ნარკვევში, ისევე როგორც ბრიტანულ პრესაში, ნაკლებად შეზღუდულია ამ ჟანრში განსხვავებით

ამერიკული პრესისგან, რაც შეიძლება აიხსნას ევროპული პრესის ხანგრძლივი ისტორიითა და განსხვავებული კულტურული მახასიათებლებით.

ბრიტანულსა და ამერიკულ გაზეთში წერილი რედაქციისაგან დამახასიათებელი ლიდი - შემაჯამებელი ლიდია, შემდეგ გავრცელებულია ამბის გადმომცემი ლიდი და მიმართვა. წერილში რედაქციისაგან გავრცელებული დეიქსისი პირველი პირის ნაცვალსახელი ჩვენ (we) არის, რადგან ის აღწერს რედაქციას როგორც კრებით სახელს. *წერილს რედაქციისაგან* ახასიათებს ექვსი ტიპის დასასრული: მოწოდება, მოწონება, დაწუნება, სამართლიანი დასკვნა, ნუგეშისცემა და არარადიკალური “შერბილებული” დასასრული. რაც შეეხება სტრუქტურას, აქ გვხვდება ცალმხრივი და ორმხრივი არგუმენტაციის შემთხვევები. როგორც აღვნიშნე, ზოგადად, პირველი ტიპის ნაცვალსახელი “ჩვენ” მიღებულია ამ ჟანრში, როგორც კოლექტიური (რედაქციის) აზრის გამომხატველი, ამ მხრივ, გამონაკლისს არც ქართული პრესა წარმოადგენს.

კომენტარი ყველაზე თავისუფალი ჟანრია ინდივიდუალური აზრის გამომხატვის თვალსაზრისით. იგი საშუალებას აძლევს ავტორს მიმართოს სხვადასხვა სტრუქტურულ თუ სტილისტურ ხერხს რომ სათანადო გრძნობები გამოიწვიოს მკითხველში და ამ გზით, მიადწიოს საკუთარ პრაგმატიკულ ინტენციას. ყველაზე ხშირად აქ გვხვდება პირველი პირის ნაცვალსახელი *მე* (I). კომენტარის ლიდის ტიპებიდან კი ყველაზე გავრცელებულია შემაჯამებელი, აღწერითი ლიდი და ლიდი მიმართვა. ქართულ პრესაში გავრცელებულია შემაჯამებელი, აღწერითი, მიმართვა და ამბის გადმომცემი ლიდის ტიპები. ეს მახასიათებლები თავად ჟანრის თავისებურებიდან გამომდინარეობს, კომენტარს/სვეტს კონკრეტული პირი წერს, რომლის მიზანია კომუნიკაციისა და უკუკავშირის დამყარება მკითხველთან.

სემიოტიკური ხატების სემანტიკური და პრაგმატიკული ანალიზის საფუძველზე აგრეთვე განვიხილე ბეჭდვითი მედიის როლი მითისა და სტერეოტიპების შექმნის საკითხში. აღსანიშნავია რომ სემანტიკური მაკროსტრუქტურა, მთავარი “თემა”, ნათლად ჩანს სტატიის სათაურსა და

ლიდში. ხოლო სტატიაში სუბიექტივიზმი იმპლიციტურად მოცემულია ფაქტების, სემანტიკური ხატების შერჩევასა და მოვლენების კონსტატაციაში, ხოლო შედარებით ექსპლიციტურად მეტაფორების, ეპითეტების, დიქოტომიის გამოყენებაში. მაგალითად, 2008-2009 წლის ამერიკული მედიის ანალიზის შედეგად ნათელი გახდა, რომ აღნიშნული პერიოდის განმავლობაში საქართველოს მიმართ პოლიტიკური მხარდაჭერა გრძელდებოდა და შესაბამისად, ამდროინდელ ამერიკულ მედიაში ექსპლიციტურ და იმპლიციტურ დონეზე ფართოდ დამკვიდრდა რუსეთის როგორც აგრესორის იმიჯი, ხოლო საქართველოს - როგორც მოკავშირისა.

ნაშრომი აგრეთვე მოკლედ აღწერს ინტერნეტ გაზეთის მომავალს, თუმცა გავრცელებული მოსაზრებების მიუხედავად ინტერნეტის მომავალზე, ინტერნეტ გაზეთმა ჯერჯერობით ვერ შეძლო ბეჭდვითი მედიის სრულად ჩანაცვლება. დღესდღეობით, ინტერნეტ გაზეთის მთავარი მახასიათებელი ინფორმაციის არალინეალური გზით მიწოდებაა. ის წარმოადგენს ტექსტის, აუდიოსა და ვიდეოს ერთიანობას და გაუმჯობესებულ საშუალებებს სთავაზობს ჟურნალისტს ინდივიდუალიზმის გამოხატვის თვალსაზრისით.

### გამოყენებული ლიტერატურა:

Altschull, J. H., (1990). From Milton to McLuhan, The ideas behind American Journalism, Longman

Adam, S.G. (1993). Notes Towards a Definition of Journalism, Understanding an old craft as an art form. The Poynter Institute for Media Studies.

Bach, Kent. Applying Pragmatics to Epistemology. *Philosophical Issues*, Oct. 2008, 18 (1), pp. 68-88.

ბალიაშვილი. (2008). საინფორმაციო საგაზეთო სტატიათა პრაგმატული თავისებურებანი.

ბანკები და ფინანსები, 7-13 აპრილი, ნომერი 12 (188), 2009.

Blanc N., Kendeou P., Broek P. v. d., Brouillet D. (2008). Updating Situation Models During Reading of News Reports: Evidence From Empirical Data and Simulations. *Discourse Processes*. 45. pp.103-121.

Bellin G., Berardi S., Crolard T. (2008). Logic of Pragmatics. *Fundamenta Informaticae*, vol. 84, Issue 2, pp. i-iii.

Bell A., Language of News Media, Slackwell, Publishing Ltd, Oxford, 1999.

Brett, M. (1995). How to Read Financial Pages. Century Limited, London, 1995

Berner, T.R. (1998). Writing Literary Features. The Pennsylvania State University.

- Brooks B.S., the Missouri Group, News Reporting and Writing, New York, 1996.
- Capone, A. (2003). *Linguistics*. 41(6). pp. 1170-1173.
- Clark, R. P.(1994). *The American Conversation and the Language of Journalism*, The United States of America.
- Crosbie, V. (2004). *What Newspapers and Their Web Sites Must Do To Survive*. ამოღებულია 24 მარტს, 2004 საიტიდან [www.ojr.org](http://www.ojr.org)
- Creswell, J. (2003). *Research Design*. University of Nebraska, Lincoln
- Data Analysis in Qualitative and Mixed Research*. (2010). ამოღებულია 22 ნოემბერს, 2010 საიტიდან [www.sagepub.com/bjohnsonstudy/review\\_questions/Ch19\\_Answers.doc](http://www.sagepub.com/bjohnsonstudy/review_questions/Ch19_Answers.doc)
- Davy, D. (1971). *Advanced English Course*. The Linguaphone Institute Limited
- ენუქიძე, რ. (2000). *ლექციების კურსი ტექსტის ლინგვისტიკაში*. თბილისი.
- Evas, T. (Sep. 2007). *Elitist with a Russian Twist: Mass Media Discourses on European Constitutional Ratification in Estonia and Latvia*. *Perspectives on European Politics and Society*. 8 (3). pp.374-413.
- Fan, J. (Dec. 2005). *Online Searches Grow 55 Percent Year-Over-Year to Nearly 5.1 Billion Searches in December 2005*, According to Nielsen/NetRating and Rebulia 8 oqtombers, 2005 saitan NetRating Inc.
- Fludernik, M. (1991). *Shifters and Deixis*. *Semiotica* 86 (3/4). pp. 193-230.
- Freeborn, D., French, P., Langford D. (1993). *Varieties of English*. Macmillan.
- Fedler, F. (1993). *Reporting for the Print Media*. University of Central Florida.
- Fedler, F., Bender J.R., Davenport L.D., Drager M.W., (2001). *Reporting for the Print Media*. Harcourt College Publishers.
- Galperin, I.R. (1977). *Stylistics*. Moscow Higher School.

Gerstl- Pepin, C. (2007). Introduction to the Special Issue on the Media, Democracy, and the Politics of Education. *Peabody Journal of Education*. 82 (1). pp.1-9.

Goodman, S. and Craddol, D. (1996). Redesigning English, new texts, new identities. The Open University.

გუთბროლი, კ. (2004). მეგზური წარმატებული ურთიერთობისათვის, გამომცემლობა სანი.

Hargreaves, I. (2005). Journalism, oxford University Press. 2005.

Hargreaves, I. & James, I. (2002). New news, old news, An ITC and BSC Research Publication, Cardiff.

ჰამილტონი, ჯ. მ. და კრიმსკი, ჯ. (2004). ჩაეჭიდეთ პრესას. საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი.

Hartley, J. (1990). Understanding News. Routledge.

Harroson, L.E. & Huntington, S. P.(Eds). (2000). Culture Matters, How Values Shape Human Progress. A member of the Perseus Books Group.

Hudson, R.A. (1998). Sociolinguistics, Cambridge University Press.

Hough, G.A. (1988). News Writing. Boston.

Kohlbacher, F. (2006). The Use of Qualitative Content Analysis in Case Study Research.

ამოღებულია 22 ნოემბერს, 2010 საიტისაინ <http://www.qualitative-research.net/index.php/fqs/article/viewArticle/75/153#g523>

In: van Dijk, (Ed.) (1985) Discourse and Communication. Berlin: De Gruyter, pp. 69-93.

In: K Bruhn-Jensen & N. Jankowski (Eds.) (1991). Van Dijk T.A. Handbook of Qualitative Methods in Mass Communication Research. London, Routledge.

In: S. Greenbaum & Cooper, (Eds.). (1988). Studying Writing. Linguistic approaches, pp. 155-186.

International Herald Tribune, December 7, 2006. Retrieved January 20, 2006 from iht.org

International Herald Tribune, November 1, 2006

Itule, B.D.& Anderson, D.A. (1994). *New Writing and Reporting for Today's Media*, Arizona State University, Mcraw-Hill.

Johnson, B. & Christensen, L. (2008). *Educational Research*. გვ. 529-558.

Jakobson, R. (1962). *Language in Literature. Linguistics and Poetics*. Retrieved March 9, 2010 <http://studio.berkeley.edu/coursework/moses/courses/texts/auteur-genre/Jakobson%20Functions.pdf>

Jefkins, F. (1998). *Public Relations*. England.

კოპალეიშვილი, ნ. & გოქსაძე, ლ. (2005). *საენათმეცნიერო ძიებანი. მოთხრობები*. თბილისი.

კოპალეიშვილი, ნ. (2006). *საენათმეცნიერო ძიებანი. რას გვთავაზობს ინტერნეტ გაზეთი*. თბილისი.

Kopaleishvili, N. (2010). *The Asian Conference on Media and Mass Communication Official Conference Proceedings. Development of Stereotypes in Press. Linguistic Analysis of Political Texts on Georgia in U.S. Media*. Osaka, Japan. ამოღებულია 1 ნოემბერს, 2010 საიტიდან <http://www.iafor.org/MediAsia%202010%20Official%20Conference%20Proceedings.pdf>

კვირის პალიტრა, 23-29 აგვისტო, 2010.

ხასაია, ზ.(2003). *ფილოსოფიის ძირითადი ცნებები და პრობლემები (მეტაფიზიკური ნიჰილიზმის დაფუძნების მცდელობა), გამომცემლობა "ლეგა"*, თბილისი.

LondonEyetrack III, *What You Most Need to Know*, ამოღებულია 20 სექტემბერს, 2005 საიტიდან <http://www.poynterextra.org/eyetrack 2004/main.htm>

Mencher, M. (1993). *Basic Media Writing*. Columbia University.

- Moyes, N.B.(1984). Journalism, Ginn and Company.
- Reagan: Media Myth and Reality.(2004). ამოღებულია 20 ოქტომბერს, 2005  
საიტოვან [www.fair.org](http://www.fair.org)
- Nel, F. (1999). Writing for the Media. Oxford University Press.
- Orwell, S. & Augus, I.(1968). George Orwell “Politics and the English Language” in the collected essays, Journalism and Letters of George Orwell. New York.
- O’Sullivan, S. Journal for cultural Researc. (Oct. 2006). Pragmatics for the Production of Subjectivity: Time for Probe-Heads. 10 (4). pp. 309-322.
- Osepashvili, D. (2011). Media, Education, Analysis: Georgian Case, Tbilisi.
- Rayner, P., Wall, P., Kruger, S. (2001). Media Studies. Routledge.
- Rivers, L. W. (1994) Writing Opinion Reviews.
- Richardson, K. (Jul. 1991). Modern Language Review. Pragmatics, Discourse and Text: Some Systematically Inspired Approaches. 86 (3). pp. 651-652.
- Repkova, T. (2001). New Times: Making a Professional Newspaper in an Emerging Democracy. Paris.
- Reuters. (1992). Reuters Handbook for Journalists.
- Reuters, November 27, 2006. Retrieved March 25, 2006 from <http://www.reuters.com/>
- Rich, C. (1994). Writing and Reporting News. University of Kansas.
- Rystrom, K. (1999). The Why Who and How of the Editorial Page. State College of Pennsylvania.
- Searle, J.R. (1969). Speech Acts. An Essay in the Philosophy of Language. Cambridge.
- Strunk W. Jr. & White, E.B. (1959). *The Elements of Style*. New York: Macmillan.
- Silverblatt, A., Ferry, F. , Final, B. (1998). Approaches to Media Literacy. A Handbook, Routledge.



Stevens, P. (1978). *British and American English*. London.

Sweetser, E. E. (1997). *From Etymology to Pragmatics (Cambridge Studies in Linguistics)*, Cambridge University Press.

საყვარელიძე, ნ. (2001). თარგმანის თეორიის საკითხების ლინგვისტური და ექსტრალინგვისტური ასპექტები. თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა.

Tanjuakio, J. (2002). *Evolution of Journalism in the Digital Age*. Retrieved February 24, 2006 from <http://home.utm.utoronto.ca/>

The Washington Post, November 27, 2006. Retrieved March 26, 2006 from <http://www.washingtonpost.com/>

The Economist, August 3, 2006. Retrieved September 10, 2006 from <http://www.economist.com/>

The Scotsman, July 26, 2006. Retrieved September 10, 2006 from <http://www.economist.com/>

The New York Times, April 3, 2009. Retrieved April 5, 2009 from [nytimes.org](http://nytimes.org)

The New York Times, July 21, 2009. Retrieved November 23, 2009 from [nytimes.org](http://nytimes.org)

The New York Times, July 24, 2009. Retrieved July 25, 2009 from [nytimes.org](http://nytimes.org)

The New York Times, August 6, 2009. Retrieved August 7, 2009 from [nytimes.org](http://nytimes.org)

The New York Times, November 7, 2008. Retrieved November 11, 2008 from [nytimes.org](http://nytimes.org)

The New York Times, Nov. 11, 2009. Retrieved November 15, 2009 from [nytimes.org](http://nytimes.org)

The New York Times, Nov. 18, 2009. Retrieved November 20, 2009 from [nytimes.org](http://nytimes.org)

The Washington Post, April 3, 2003.

The Washington Post, April 2, 2003.

The New York Times, April 2, 2003. Retrieved October 24, 2006 from [nytimes.org](http://nytimes.org)

The New York Times, March 5, 2006. Retrieved May 15, 2006 from nytimes.org

The New York Times, March 2, 2006. Retrieved May 15, 2006 from nytimes.org

The New York Times, August 28, 2010. Retrieved August 29, 2010 from nytimes.org

The American Heritage Dictionary. (1996). Boston-New York.

Turner, G. (1992). British Cultural Studies. Routledge.

Clark, R. P. (1994). The American Conversation and the Language of Journalism. The Poynter Institute for Media Studies.

უზნაძე, დ. (2006). ზოგადი ფსიქოლოგია. გამომცემლობა “საქართველოს მაცნე.”

Van Dijk, T.A. (1988). European Journal of Communication. Semantics a Press Panic: The Tamil ‘Invasion.’ (SAGE, London, Newbury Park, Beverly Hills and New Delhi), 3, pp. 167-187.

Van Dijk T. A. (1989). Race, riots, and the press, An analysis of editorials in the British press about the 1985 disorders. Gazette.

Ward, M. (2002). Journalism Online. Elsevier Science Ltd.

Weaver, P. H. (1994). News and Culture of Lying. The Free Press.

Widdowson, H.G. (1996). Teaching Language as Communication. Oxford University Press.

უიქსი, ი. ლ., სილვი, ჯ., ჰოლიფილდი, ს. ა., ლეისი, ს., სონი, ა. ბ. (2006). მედია მენეჯმენტი, საერთაშორისო კვლევისა და გაცვლების საბჭო (IREX).

World Englishes. (2008). 27 (1). pp.144-147.

24 საათი, 2009 24 საათი, 8 აპრილი, ნომერი 77, 2009.

24 საათი, 17 თებერვალი, 2009.

24 საათი, 10 აგვისტო, 2010.

24 საათი, 19 მარტი, 2009 ნომერი 60.

24 საათი, 10 აგვისტო, სამშაბათი, ნომერი 170, 2010.